ISSN 0132 - 6007

ეროვნული ბიბლიოთეკა

140/1989/2



# პიონერი

4
1989

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

19.390

## 1989 წლის 11 აპრილი — გლოვის დღე

საზარელ ტკივილად დაუარა ქართველობას თანამოძმეთა გულებიდან აღმომხდარმა გმინვამ.

სულისშემძვრელ გუგუნად გადაუარა ჩვენს მთა-ბარს თბილისში ჩამოკრულმა გლოვის ზარმა.

ვაი, რომ წლევანდელმა გაზაფხულმა ჩვეული სიხარულის ნაცვლად ცრემლი და მწუხარება მოგვიტანა.

ვაი, რომ ამ დღეებში ჩვენს მიწა-წყალზე მოსული ყველა ყვავილი გლოვის გამოსახატავად დაგვჭირდა.

რა უცბად შეუცვალა თალხმა ფერმა ჩვენს სოფელ-ქალაქებს იერ-სახე, რა უცბად ჩაგვიქრო უბედურებამ ღიმილი, რა უცბად დასწია დაღვრილმა სისხლმა უკან ყველა საზრუნავი.

სრულიად საქართველომ უჭირისუფლა 9 აპრილს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დატრიალებული ტრაგედიის დროს დაღუპულ თავის შვილებს.

კიდევ დიდხანს ვივლით ცრემლით თვალდაბინდულნი და გაოგნებულნი, დიდხანს გვეტკიება ჭრილობა, მაგრამ სწორედ ახლა გვმართებს დიდ-პატარას კეთილგონიერება, სულიერი ძალების მოკრება და თავის ამაყად აწევა. დღეს ხომ ჩვენ ყველანი ასე ვჭირდებით ჩვენს სამშობლოს, ათას ჭირგამოვლილ მამულს.

გვერწმუნეთ, დიდი და ზოგჯერ მწარე გამოცდილების მქონე უფროს თაობას უფლება აქვს გირჩიოთ და მოგიწოდოთ: დღეს მთელ ჩვენს ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს მოზარდ თაობას უპირველესად გრძნობების დაოკება, წინდახედულობის, გონიერების მოხმობა მართებს. ნებისმიერმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა შეიძლება უფრო გაგვიმრავლოს ჭირი. თითოეულმა გაუაზრებელმა სიტყვამ, თავდაუჭერელმა საქციელმა შეიძლება მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენოს სათაყვანებელ სამშობლოს.

სწორედ თქვენ, დღევანდელი მოზარდები ხართ მამულის ხვალინდელი დღე და ნუ ინდომებთ მის უბედურებას.

ნუ დაგვივიწყდებათ — თქვენზე ჰკიდია საქართველოს მომავალი!

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი
პიონერი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
4 აპრილი 1989

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გაისმის სიტყვები — „პატრიოტიზმი“, „მამულიშვილობა“ და სულ უფრო ნათელი ხდება ისიც, რომ ყველას ერთნაირად როდი ესმის ეს ცნებები. ახლახან რედაქციაში მოვიდა გორელი მოსწავლეების კოლექტიური წერილი თხოვნით — განვუმარტოთ, რა არის ჭეშმარიტი პატრიოტიზმი. ამ თემაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ სოციალისტური შრომის გმირი, მწერალი გრიგოლ აბაშიძე.



პატრიოტიზმი სამშობლოს სიყვარულია. სამშობლოს სიყვარული ფართო ცნებაა და იგი მოიცავს არა მარტო იმ მიწა-წყლის სიყვარულს,

# შენი პატრიოტული ვალი

გრიგოლ აბაშიძე

სადაც ადამიანი დაიბადა და იზრდება. პატრიოტიზმი არის მშობელი ხალხის აწმყოს, წარსულისა და მომავლის სიყვარული, სიყვარული მშობლიური ენისა და კულტურისა.

რუსთაველი გვასწავლის, სიყვარული აგვამაღლებსო და ყველაზე ამამაღლებელი სიყვარული სწორედ სამშობლოს სიყვარულია.

ეს გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა იმდენად ძლიერია, რომ ადამიანი მზად არის, თავი გაწიროს სამშობლოს გადასარჩენად.

ყველაზე დიდი გმირობა სამშობლოს ბედნიერებისთვის თავდადებაა და ხალხი განსაკუთრებული სიყვარულით იმ ადამიანების ხსოვნას ინახავს, ვინც სამშობლოს დიდების სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლეც უყოყმანოდ მიიტანა.

ქართველ ხალხს შესანიშნავი ისტორია აქვს. ჩვენ ბევრი გმირი გვყავდა წარსულში, რომელთა ცხოვრება და ღვაწლი შესანიშნავ მაგალითად, მისაბაძად დარჩა შთამომავლობას.

ჩვენი ახალგაზრდობა ღირსეული მემკვიდრეა თავისი გმირი წინაპრებისა.

ჩვენს დროში, როცა გართულებული ცხოვრება უამრავ პრობლემას აყენებს გადასაჭრელად, ახალგაზრდობის უმთავრესი მოვალეობაა, მიიღოს საჭირო განათლება, საფუძვლიანად მოემზადოს იმისათვის, რომ უფროსი თაობის მიერ გადმოცემული ესტაფეტა საიმედოდ ჩაიბაროს, ახალი მიღწევებით გაუთქვას სახელი მშობელ ხალხს.

ამიტომ ჩვენი მოზარდი თაობის გმირობა ბეჯითი სწავლაა, რაც უფრო ღრმად ჩასწვდება მეცნიერებას, მით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ახალგაზრდობა თავის ქვეყანას.

სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ სწავლაც გაართულა. ხალხთა შემოქმედებით შეჯიბრებაზე მხოლოდ ის ერები დაიპყრობენ ახალ მწვერვალებს, რომლებიც სხვაზე მეტ ახალგაზრდას შეაიარაღებენ მოწინავე ცოდნითა და განათლებით.

ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს, მას კარგად ესმის თავისი პატრიოტული ვალი და გვჯერა, რომ იგი სახელოვნად გააგრძელებს ჩვენი ხალხის ტრადიციებს.

ამ ტრადიციებს ამშვენებს სხვა ხალხებისადმი პატივისცემაც.

ქართველი ხალხი პატივს სცემდა ყოველთვის სხვა ხალხებს, სხვათა ენასა და კულტურას.

ეს გრძნობა სამშობლოს უსაზღვროდ სიყვარულისა და სხვა ხალხებისადმი პატივისცემისა დიდებულად აქვს გამოთქმული აკაკი წერეთელს:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა“.

ჩვენი ახალგაზრდობა შესძლებს, ღირსეულად ემსახუროს თავის ხატს — საყვარელ სამშობლოს და თავისი წვლილით დაამშვენოს დიდი სახატე — საკაცობრიო კულტურის საგანძური.



# როგორ ვიმუშაოთ? — ხალისიანად!

რა საზომით უნდა შეფასდეს დღეს სასკოლო პიონერული ორგანიზაციის მუშაობა? აქტიური პიონერების რაოდენობით? „წარმატებით ჩატარებულ ღონისძიებათა“ რიცხვით? ან იქნებ დისციპლინის დამრღვევებსა და სწავლაში ჩამორჩენილებთან ბრძოლის „ეფექტიანობის“ მაჩვენებლებით?

საბედნიეროდ, როგორც ბოლნისის № 1 საშუალო სკოლაში მიაჩნიათ, ეს დრო წარსულს ბარდება. უფრო მოზრდილი პიონერები იგონებენ, რამდენ ხანს უნდებოდნენ პიონერხელმძღვანელთან ერთად წლის პირველი ექვსი თვის, მერე კი მეორე ექვსი თვის სამუშაო გეგმის შედგენას, რამდენი დრო ეხარჯებოდათ კიდევ სხვა სრულიად უმაქნის და უსარგებლო წვრილმანებზე. საწყენი და გაუგებარი იყო, რატომ არ ჰქონდა წითელყელსახვევიანი გოგობიჭების უმეტესობას სურვილი, შეეღო კარი წარწერით „პიონერთა ოთახი“, რატომ არ აინტერესებდა, რა ხდებოდა იმ კარს მიღმა. მას შემდეგ, რაც პიონერებმა უფროს პიონერხელმძღვანელ ლია კორტავასთან ერთად გადაწყვიტეს უარი ეთქვათ მუშაობის ტრადიციულ, მომაბეზრებელ მეთოდებზე, გამოეცოცხლებინათ იგი და უბრალოდ, მათი ასაკისათვის ბუნებრივ, თუნდაც გასართობ სურვილებზე აეგოთ (რაც ადრე საძრახისად ითვლებოდა), სულ უფრო მეტმა მანამდე პასიურად ცნობილმა გოგონამ თუ ბიჭუნამ იწყო პიონერთა ოთახში შემორბენა და დახმარებისა თუ ახალი იდეის შემოთავაზება.

— ადრე კი რა მოსაწყენი იყო, — ამბობს ქ. ბენდელიანის სახელობის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, მერვეკლასელი ხათუნა გაბიძაშვილი, — ლოზუნგების მეტი არაფერი გვესმოდა და ჩვენც შესაბამისად დაპროგრამებული რობოტებივით ვიქცეოდით. ვთქვათ, გავიკეთებდით სამკლაურს და დავდიოდით წესრიგის დამცველის ამაყი სახით — აბა სხვა რა უნდა გვექნა, როცა დისციპლინისა და აკადემიური მოსწრებისათვის პასუხისმგებლობა გვქონდა დაკისრებული! განა ეს ყველაფერი არ ახშობდა და არ კლავდა ნებისმიერ ცოცხალ ინიციატივას, რომელიც „პიონერთა წესებსა და მოვალეობებში“ არ იყო გათვალისწინებული?

ხათუნა მართალია, ხოლო იმისათვის, რომ დაიჯეროთ, ერთ მაგალითს მოგიყვანთ:

როგორ გგონიათ, მასხრად არ აიგდებდნენ მეექვსეკლასელ თამაზ სტეფანიას, ადრე მსგავსი იდეა რომ გამოეთქვა? აი, რა შესთავაზა თამაზმა ამხანაგებს: სკოლაში ზოოლოგიური კუთხე შევქმნათ და ვიდრე თუთიყუშებსა და თევზებს შევიძენდეთ, სკოლის უკანა ეზოში სადგომები ავაშენოთ იმ ძაღლებისათვის, ჩვენი სკოლის ბაღს რომ შემოაფარეს თავი. სადგომების გაკეთება ძველი ფიცრებისაგან შეგვიძლია შრომის გაკვეთილებზე. ძაღლებს რიგ-რიგობით მოვუაროთ, მერე მონადირე ძაღლიც შეგვიძლია ვიყოლიოთ, ლაშქრობებშიც წავიყვანოთ ხოლმე, ცხოველების კვალის ამოცნობაში დაგვეხმარებაო. თამაზს მიაჩნია, რომ ვისაც მართლა უყვარს ცხოველები, აუცილებლად უნდა შეეძლოს მათი გამოცნობა კვალით. თქვენ წარმოიდგინეთ, თამაზის იდეას თითქმის ყველამ დაუჭირა მხარი. აკვარიუმებისა და ფრინველების საყიდელი ფულის შოვნაც სულ იოლი გამოდგა: ერთი სასკოლო ბაზრობა-გაყიდვა და — პიონერულ ანგარიშზე უკვე გაჩნდა გარკვეული თანხა.

საკვირველია, საიდან გამოჩნდა უცბად ამდენი ენთუზიასტი, როცა რაზმეულის საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გამოითქვა აზრი რაიონის არქიტექტურული ძეგლების შეფობის თაობაზე. ითქვა და გაკეთდა კიდეც — ბოლნისის სიონი ხომ სულ ახლოს არის.

— იცით, რამდენს გვაძლევს ამ უძველესი ძეგლის თითოეული მონახულება? — გვიყვება მეშვიდეკლასელი მაია ჯინჭარაძე. — რაც უნდა გულისყურით გვეგდო ყური გაკვეთილზე ახსნილისთვის, მაინც არ დაგვამახსოვრდებოდა ამ ძეგლის ისტორია ისე ზედმიწევნით, როგორც იქ, უშუალოდ ტაძართან, იქ ყველაფერი სხვანაირად აღიქმება. იქნებ ერთი შეხედვით ვინმეს არც ისე დიდ საქმედ მოეჩვენოს ჩვენი ეს თაოსნობა — გავასუფთაოთ ძეგლის მიმდებარე ტერიტორია, მაგრამ ძეგლთა დაცვის საქმეში თუნდაც ასე მცირე მონაწილეობას



ბოლნისელი ყმაწვილები მონაწილეობენ რაიონის ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობაში.



ქართული ხელთუქმნელი ძეგლის ყოველი მონახულება სულიერად ამდიდრებს მოსწავლეებს.

სკოლის ზოოლოგიურ კუთხეს ერთბაშად ბევრი გულშემატკივარი გამოუჩნდა.

რომ ვიღებთ, ამის შეგრძნებაც კი სიამაყით გვავსებს.

— დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეებში ლიტერატურული კომპოზიცია მოვამზადეთ. იქ, ბოლნისის სიონთან, საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებიც სულ სხვანაირად ჟღერს, ვიდრე, ვთქვათ, სადმე შენობაში, სცენაზე, — ამას უკვე თამუნა მეტივიშვილი გვიყვება. — მოგვიანებით, ადრე გაზაფხულზე, იქ ნერგები მივიტანეთ და დავრგეთ.

და აი, ისევ მოჰკიდეს პიონერებმა ალბომებს ხელი, ოღონდ იმისთვის კი არა, რომ „ლონისძიებების“ მოსაწყენი გეგმები ჩაწერონ შიგ ლამაზი ხელით, არამედ იმისათვის, რომ ამგვარი დღეებისგან მიღებული შთაბეჭდილებები გადაიტანონ მათ ფურცლებზე. ასე დგება რაზმეულის საქმეთა თავისებური მატიანე. აქვეა თელავში, ვარძიაში სტუმრობის შემდეგ დაწერილი დღიურები, პიონერის მთის დალაშქვრით, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრებით მიღებული შთაბეჭდილებები.

სხვათა შორის, თუ დაინტერესდებით, აქ გაეცნობით პირველსკოლელების მიმოწერას თანამემამულესთან, რომელიც ავღანეთში მსახურობდა. იმედა ოქროპელიძე კარგა ხანია დაბრუნდა შინ, ბოლნისში, მაგრამ იგი ახლაც ხშირად და სიამოვნებით მოდის სკოლაში თავის უმცროს მეგობრებთან. იმედა დაბრუნდა, პიონერები კი კვლავაც აგრძელებენ თავიანთ ტრადიციას, კვლავაც სწერენ წერილებს თავიანთი სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში რომ იხდიან მხედრულ ვალს. სხვათა შორის, წლის დასაწყისიდან ბევრ იმ სამხედრო ნაწილში, სადაც ბოლნისელი ახალგაზრდები მსახურობენ, მათთვის მოულოდნელად ქართული გაზეთების „ლელოსა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ მიღება დაიწყეს. უკვირდათ ჯარისკაცებს: ნუთუ მშობლებმა მოიფიქრესო? თან უხაროდათ: რესპუბლიკის ყველა ახალი ამბავი გვეცოდინებაო. ხოლო როცა მიღებული წერილების კონვერტებზე ბოლნისის პირველი სკოლის მისამართი ამოიკითხეს, ყველაფერს მიხვდნენ.



სკოლაში ახლახან შეიქმნა იუმორისტებისა და სატირიკოსების წრე, საჭირო თემები ხომ ქვეყნისაა! ჰოდა, უშვებენ მოსწავლეები გაზეთს, დგამენ პატარ-პატარა სპექტაკლებს.

თურმე რამდენი წერდა ჩუმ-ჩუმად ლექსებს, ზოგს სცხვენოდა და ვერ ბედავდა გამჟღავნებას, ზოგმაც, არ იცოდა, როგორ გაეცნო ისინი ამხანაგებისათვის. ახლა კი სკოლაში ნორჩი პოეტების კუთხე აქვთ. ყველას შეუძლია თავისი ლექსი მოათავსოს აქ — ვისაც უნდა, მოაწერს გვარს, ვისაც არა, ანონიმად რჩება.

უცბად გახდა ნათელი, თუ რა წვრილმანი, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი რამეები უშლის ხელს საინტერესო მუშაობის გაშლას, რამდენ რამეს შეუძლია ძველისკენ მიაბრუნოს პიონერული ცხოვრება. აი, თუნდაც ჯერ კიდევ არსებული უამრავი რაღაც „თანამდებობები“ ერთმანეთის მადუბლირებელი ფუნქციებით. მაგალითად, კლასის ორგანიზატორი. იგი თვალს ადევნებს წესრიგს, აკადემიურ მოსწრებას, ნიშნავს მორიგეებს. მაშ კლასის მამასახლისი და რაზმის საბჭოს თავმჯდომარე რაღას აკეთებენ? თითქმის იმავეს, ანდა სულაც არაფერს.

— თანდათანობით ეს ხელოვნური, მოგონილი დავალებები თავისთავად მოჭამენ დროს, — ასე ფიქრობს ხათუნა გაბიძაშვილი.

როგორც ჩანს, პიონერული ორგანიზაცია ახლა მართლაც უფრო საინტერესო და ხალისიანი ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას. ოღონდ, როგორც თვითონ პიონერებმა აღნიშნეს, ხანდახან ძალიან სჭირდებათ, უფროსებმა შეამჩნიონ მათი მონდომება, ყურადღება მიაქციონ მათ საქმეებს.

**ქეთევან გოგორიშვილი**

თ. ცაგარელის ფოტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მუხრან მაჭავარიანი 60



შესრულდა 60 წელი გამოჩენილი ქართველი პოეტის და საზოგადო მოღვაწის მუხრან მაჭავარიანის დაბადებიდან.

ქართული მწერლობის ასპარეზზე მუხრან მაჭავარიანის გამოჩენა ნამდვილი მოვლენა იყო. ორიგინალური, მკვეთრად გამორჩეული ხმის მქონე ჭაბუკი პოეტის „საბა", „მიდის... მიდის...", „საქართველო", „კომუნიზმი", „პუშკინი ტფილისში", „გრიგოლ ორბელიანი" და სხვა ლექსები აღტაცებით მიიღო მკითხველმა და მათ ავტორს იმედის თვალი მიაპყრო.

მუხრან მაჭავარიანმა გაამართლა ეს იმედი —იგი ამჟამად ქართველი ერის ერთ-ერთი უპირველესი რჩეულთაგანია როგორც შემოქმედი და როგორც მოქალაქე. მის შემოქმედებაში საკუთარ გულისთქმას, ოცნებას, ტკივილებს ცნობს ყველა ჭეშმარიტი ქართველი. საქართველო, თავისი წარსულით, დღევანდელობით და მომავლით, არის პოეტის მარადი საფიქრალი და სანუხარი: „ჩემი ოქრო და ვერცხლი სამშობლოა; ვყვირი! — მისთვის ვყვირი! ვდუმვარ! — მისთვის ვდუმვარ!" სულხან-საბას, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას „წყალგადასხმული" პოეტი მშობელ ხალხში ნერგავს სწრაფვას ისეთი ყოფისაკენ, სახელოვან წინაპართა შთამომავლობას რომ ეკადრება. განსაკუთრებული სიმძაფრით რეკდა მისი სიტყვა ე. წ. უძრაობის პერიოდში, როცა ქვეყანას ზნეობრივად გადაგვარების საფრთხე დაემუქრა. „...დიდო კოლხეთო, დიდო ქართლო, დიდო შამქორო, ვერ დამადუმონ, ვერ დამძლიონ, თუნდაც ჩამქოლონ. ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს, ფრთები მასხია თქვენგნით... მხოლოდ თქვენგნით რამეთუ". გაბედული სიტყვის თქმა კი იმხანად თავგანწირვას გულისხმობდა...

მუხრან მაჭავარიანი უსაზღვრო ტრფიალი და ხმალჩაუგებელი გუშაგია იმ ენისა, „წერდნენ რა ენაზეც ვაჟა და შოთა"; „სიცოცხლეც მარტო იმისთვის მინდა, რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა"... „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს..."

ბევრი ბრწყინვალე ლექსი მიუძღვნა პოეტმა სიცოცხლის ძლიერებას, დედაშვილობას, მეგობრობას...

არაერთმა მუხრანისეულმა საყმაწვილო ლექსმა დაამშვენა ქართული საბავშვო მწერლობა. „ყაყაჩო და დალი", „მზექალა და თინა", „პატარა ქალიშვილი", „დედა", „გილოცავ", „ვინც იყო იგი რომ არა" და სხვანი ნორჩმა მკითხველმა გამოქვეყნებისთანავე აიტაცა და შეიყვარა.

ფრიად ძვირფასი და ახლობელია მუხრან მაჭავარიანი ჩვენი ჟურნალისათვის. იგი გარკვეული დროის მანძილზე რედაქტორობდა ამ ჟურნალს და დაუვიწყარი ამაგი დასდო მას. მის ხელში „პიონერს" ახალი სული შთაებერა, გამრავალფეროვნდა მთელი რიგი სიახლეებით, საინტერესო განყოფილებებითა და რუბრიკებით, უფრო დაუახლოვდა თავის მკითხველს.

ახლახან მუხრან მაჭავარიანს რესპუბლიკის უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო — რუსთაველის პრემიის ლაურეატობა მიენიჭა.

ჟურნალ „პიონერის" რედაქცია და სარედაქციო კოლეგია სულითა და გულით ულოცავენ სასიქადულო პოეტს თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს — 60 წლის იუბილეს, უსურვებენ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, სათაყვანო მამულის კვლავაც მრავალჯერ გახარებას პოეტური ქმნილებებითა და მამულიშვილური საქმეებით.

# ნაკრძალში

ე. მერაბიშვილი
მოთხრობა

მხატვარი
თ. ფხიკაძე



გამაჯანსაღებელი ბანაკიდან დაბრუნებული ზაზა შინ ადგილს ველარ პოულობდა. როგორც კი მარტო დარჩა, მაშინვე თავის განუყრელ მეგობართან [illegible].

— მამასახლისო, აგვისტო დადგა, [illegible] თასხის რემონტს არ აპირებ?

— მოსწავლეთა ძალებით თანხის შეგროვება უკანონოდ მიმაჩნია, — სოსოს [illegible], ტელეფონში ხან ბოხი ხმა ისმოდა, და ხან წრიპინა.

— აქაოდა ნოტარიუსის შვილი [illegible] კანონების ცოდნით ნუკი დაგვხაგრავ. ბავშვთა თვითმმართველობამ ასე გადაწყვიტა. შენ რა შუაში ხარ?

— კარგი, ხვალ დილით შევიკრიბებით, სხვებსაც გავაფრთხილებ. ახლა რას აკეთებ?

— ლეკვი მინდა გავასეირნო, შენც ხომ არ გამოხვიდოდი?.. დაგეხედა მაინც, წმინდა სისხლის სეტერია.

— ბიჭო, თუ სეტერია, ჩვენი პროფილით იმუშავებს, ორნითოლოგიაში წაგვეხმარება. ტბაზე უკვე გყავდა?

— არა, გინდა წავიყვანოთ? შუა აგვისტოც მალე იქნება და ტბაზე ბევრი საინტერესო სანახაობა გველის.

— რაც ბანაკიდან დავბრუნდი, ძია დიმა არ მინახავს, ერთი სული მაქვს, როდის ავალ ტბაზე, მაგრამ ვერ მოვიცალე...

— გინდა, ხვალ დილით წავიდეთ.

— დამირეკე. ახლა კი — ჩაო, დედა მეძახის...

ზაზამ ყურმილი დადო და ლეკვს მიეფერა.

●

ბალახშემხმარ ტრამალზე უცხო ფრინველებმა გადაიფრინეს და ჩრდილის რუხი პუნქტირი გადაატარეს.

ბორცვზე მდგარმა ჭაღარა კაცმა დურბინდი მოიმარჯვა და ასე გააყოლა მზერა დამფრთხალ ფრთოსნებს. მალე უკნიდან ნაბიჯების ჩქამი მოესმა და მკვეთრად შებრუნდა.

— აი, თურმე ვინ დაარღვია ლელიანის მყუდროება! მადლობა ღმერთს — გაგახსენდით, მაგრამ ეგ მესამე ვიღაა? — წარბები შეკრა და მაღალ ბალახებში მოშლიგინე ლეკვს გაადევნა თვალი.

— ეს სინგოა, ეგეც ფრინველების განხრით სპეცდება, — მიუგო სოსომ, — დღეს პირველად გამოვიდა საველე პრაქტიკაზე.

კაცს ზოლებით გაწყობილი ბრეზენტის შარვალი ეცვა, ნაკერებზე გახეხილი ტოტები რეზინის ჩექმებში ჰქონდა ჩატანებული. მაღალი კაცი იყო, წითური და ლოყებღაჟღაჟა, ძალიან უხდებოდა მოკლედ შეკრეჭილი თეთრი წვერი და ჭაღარა თმა. დოინჯშემოყრილი იდგა და გულდიად შემოსცინოდა ბიჭებს.

— რომელ პრაქტიკაზე მელაპარაკებით, პირწავარდნილი ბრაკონიერი მოგიყვანიათ! თუ ღმერთი გწამთ, უკან დააბრუნეთ!

— სინგ, ჩემთან! — გასძახა ბიჭმა.

ლეკვი შედგა, მოიხედა და ყურები დაცქვიტა. მეორედ დაძახება აღარ დასჭირვებია, უკან გამოიქცა.

კაცს კმაყოფილების ღიმილმა შეურხია თეთრი ულვაში. ერთხელ კიდევ შეათვალიერა ჯიშიანი ლეკვი და ბიჭებს ჩამოსართმევად გაუწოდა ხელი.

— ჩემს ნაკრძალში ნადირობა საერთოდ დაუშვებელია, მაგრამ ამჯერად ძალიან მჭირდება მარეკი, თანაც ისეთი, ცურვა რომ შეეძლოს. წამოდით, იმ მხრიდან მოვუაროთ დიდ ტბას და გეტყვით, რისთვისაც. თქვენ კი გზადაგზა ბანაკის ამბები მიამბეთ. ეგ სეტერი წყალში თუ შედის? — ბიჭებს ერთხელ კიდევ ახედ-დახედა.

— ჯერ არ გამოგვიცდია, — მიუგო სოსომ.

— ძაან დაუვაჟკაცებიხართ ამ ერთ თვეს, — ჩაიცინა დიმამ და წვერზე ჩამოისვა ხელი. — შორს იყავით?

— არა, აქვე, ქალაქგარეთ, — თაფლისფერი თვალები შეანათა ზაზამ და დასძინა: — იმ ბანაკში ვიყავით, სადაც ჩრდილოეთიდან ჩამოყვანილი პიონერები ისვენებდნენ.

დიმამ წარბები შეჰყარა და გულისტკივილით ჩაილაპარაკა:

— ეგენი ჩერნობილის ზონიდან გამოყვანილი ბავშვები არიან, არა?

სოსომ თავი დაუქნია.

— წავიდნენ თუ ისევ აქ არიან?

— ჩვენზე ადრე წავიდნენ, — მიუგო ზაზამ, — ვერ გაძლეს, სამშობლო მოენატრათ.

— ასეა, ბაბა, ბუნებას უკვე დაეტყო ადამიანის უხეში ჩარევის კვალი... იქით ბავშვები ჩამოყარა თავიანთი ჩვეული ადგილებიდან და სამხრეთისაკენ გამოაქცია საშიშმა გამოსხივებამ, აქეთ ეს ფრინველი გადმოაგდო ალბათ ასევე მავნე ტოქსინებმა.

— რომელ ფრინველზე გვეუბნებით? — შეეკითხა სოსო.

მათ წინ გადაშლილ ბალახგადამხმარ ხერეშს შუა, ტაფობში, ლურჯად კამკამებდა ლელიანით ნაპირებგადამწვანებული ტბა.

— უცხო მიგრანტი მყავს ტბაზე. ამ ადგილებში ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ნახული გადამფრენი ფრინველი. ესეც თქვენი მეგობარი ჩრდილოელი ბავშვებივით მოულოდნელად თავს დამტყდარმა არაბუნებრივმა მოვლენამ გადმოაგდო აქეთ.

დიმა ოთარის ძე ლაზი, ყოფილი შორეული ნაოსნობის კაპიტანი და ბევრის მნახველი კაცი, შეშფოთებული ჩანდა. მან კისერზე ჩამოკიდებული დურბინდი მოიხსნა და ზაზას გაუწოდა: — ტბის შუაგულში რომ დაცურავს, იმას შეხედე. იქნება სულაც უსულო საგანია და მე ფრინველად მეჩვენებაო.

ზაზამ გამოართვა და გახედა. არაფერი უთქვამს, ახლა სოსოს გაუწოდა დურბინდი.

— რომელი უსულო საგანი, კარგა გემრიელად ყურყუმალობს! — წამოიძახა სოსომ.

— გარეგნულად ყარყატს მაგონებს, ფრთებს კი ზოგჯერ სავათიივით აქნევს, მაგრამ ფერით არც ერთს არა ჰგავს... ნუთუ ბუნებაში მომხდარმა ანომალიამ გადაასხვაფერა? — თავისთვის ვარაუდობდა დიმა ლაზი.

— ლეკვი მივუსიოთ, იქნებ ნაპირისკენ გამოცუროს, — უთხრა ზაზამ.

დიმამ წვერზე შეივლო ხელი და დაეჭვებით შეათვალიერა ნაბულზე მდგარი სეტერი.

— ვერ იზამს, ჯერ პატარაა. ახლაც დარწმუნებული ვარ, ხვლიკმა ან თაგვმა გაიფაჩუნა ბალახებში და იმაზე გააკეთა ნაბული.

— სინგო, ეცი! — გასძახა სოსომ.

ლეკვმა კამარა შეკრა და წინა თათებით რაღაცას დაახტა, იმავ წამს იმ ადგილიდან ვეება კალია წამოფრინდა.

ბიჭებს გაეცინათ. დიმა კი მშვიდად შეჰყურებდა ბალახებში მოშლიგინე ლეკვს, ყეფა-გნიასით რომ უახლოვდებოდა ლელიანს.

— სინგო, ჩემთან! — გასძახა ზაზამ.

— გაუშვი ინავარდოს. ბარტყები ყველამ წამოჩიტა, საშიში არაფერია, — დიმა წინ წავიდა და კვლავ დურბინდი მოიმარჯვა.

ლელიანიდან ზანტად ადიოდა ცაში ფრთათეთრი ყანჩა, მერე იხვებიც წამოიშალნენ და მახლობელ შამბნარს მიაშურეს.

— ტბის მთელი ავლადიდება ჰაერშია — მხიარულად დაიძახა სოსომ.

— ტბის ავლადიდების მხოლოდ მცირე ნაწილს ხედავთ, — გაეპასუხა დიმა და წინ წავიდა. ნაპირ-ნაპირ მიდიოდა და ყველაფერს ყურადღებით ათვალიერებდა.

მომდევნო ლელიანიდან ბატასინები აფრინდნენ, მერე კი თოლიებმა მორთეს წივილი.

სინგურა ლეკვი მთლად დასველდა და მუქი სისხლისფერი გახდა. ეტყობოდა, ძალიან მოსწონდა წყალში ტოპვა, მხიარულად ყეფდა და ზედიზედ პოულობდა ნაჭუჭითა და ბუმბულით სავსე საბუდრებს, ფრინველის სუნი ახელებდა, გაავებული დაშლიგინობდა ლელიანში.

ჰაერში უკვე ათასნაირი ფრინველი ირეოდა.

— დიმა ბიძია, ახლა მაინც ხომ ჰაერშია ყველა? — კითხვა დააწია უკან მომავალმა სოსომ.

— თითქმის... მაგრამ ზოგიერთი სახეობა მაინც აკლია, — ლაზმა დურბინდი მოიშორა და ბიჭებს დაელოდა. — ზოგი თუ გამოჩნდება, ზოგს აღარც ველოდები, ბრაკონიერები მიხოცავენ... მცირეყალიბიანი შაშხანებით ნადირობენ, მისი ხმა კი შორს არ ისმის... რაც ძაღლი აღარ მყავს, მას შემდეგ უფრო გათამამდნენ.

— ძაღლს რა დაემართა? — ჰკითხა ზაზამ.

— ორ კვირაზე მეტია, რაც მომიკვდა... გონიერი სულდგმული იყო. რომ დაატყო თავს, რომ საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა, ღამით წავიდა და გადაიკარგა... ამის გამო ვერ გავარკვიე, მომიწამლეს თუ თავისით მოკვდა.

— იქნებ, როცა ავად იყო, მაშინ მოგპარეს, წაიყვანეს და მოკლეს, — ვარაუდი გამოთქვა სოსომ.

დიმამ თავი გადააქნია და როდის-როდის თქვა:

— ამ ორი დღის წინ, ზემოთ, მიუვალ ხევში მძორი ვნახე... წამოქოხილი ლოდის ქვეშ შემძვრალა... ეხლანდელი წელმოწყვეტილების ამბავი რომ ვიცი, მისი იქამდე თრევით თავს არავინ შეიწუხებდა.

— დიმა ბიძია, გინდათ ჩემ ლეკვს დაგიტოვებთ, ნაკლებ გონიერი არც ეს დადგება, — შესცინა ზაზამ.

დიმამ დაფანჩული წარბები შეჰყარა და ერთხელ კიდევ შეათვალიერა წყალ-წყალ მონავარდე სეტერი. არაფერი უთქვამს, გაბრუნდა და წინ წავიდა.

აღმა აუყვა ფერდობს. მახლობელ სერზე მისი მახვილსახურავიანი სახლი მოჩანდა. აივნები ფერადი პლასტიკატით იყო გადახურული და ვარდისფერ არშიასავით ევლო სახლს.

სახლის წინ ბაღი იყო გაშენებული, იქ უმეტესად ტყის ჯიშები ხარობდა, შემოდგომის პირს კენკრით იყო სავსე და უამრავი ჩიტი ეხვია. ბაღის შუაში დიდი ვოლიერი იდგა, მავთულის წმინდა ბადე ჰქონდა შემოვლებული და ცისფერი პლასტიკატით იყო გადახურული; ბეტონისნაპირებიან აუზში წყალმცენარეებით გადამწვანებული წყალი ტორტმანებდა.

— სულხანი რას შვრება? — იკითხა დიმამ, ქვისიატაკიან აივანზე შედგა და ცალი ხელით მოაჯირს დაეყრდნო, — ცოლი ხომ არ მოიყვანა?

. ზაზამ თავი გადააქნია უარის ნიშნად, ეუხერხულა კიდეც, ამას რას მეკითხებაო, განზე გაიხედა.

— სულხანი მოსკოვშია, — თქვა ერთგვარი სიამაყით.

— ეუჰ, ეგ რა მითხარი, როგორი იმედი მქონდა მაგისი, ვიფიქრე, აქაურობას ჩავაბარებ-მეთქი, — დიმამ ამოიოხრა და შიდა კიბით მეორე სართულზე დააპირა ასვლა. — მაღლა ამოდით და ეგ დამთხვეულიც ამოიყვანეთ, — ლეკვზე ანიშნა, — თორემ ვოლიერში ავადმყოფი ფრინველები მყავს, ერთი შეშინება ეყოფათ, რომ სული გასძვრეთ.

ზაზამ საყელურში ჩაავლო ხელი ლეკვს და კიბისაკენ გაუძღვა, სოსოც უკან მისდევდა.

— დიმა ბიძია, სულხანისთვის რად უნდა დაგეტოვებინათ აქაურობა, თქვენ სად მიდიხართ? — მაღლა ასვლისთანავე ჰკითხა სოსომ.

დიმამ პასუხი დააგვიანა, ოთახებში შევიდა, ფანჯრები გამოაღო, ქარის შიშით ღიად ვერაფერი დამიტოვებიაო, ჩაილაპარაკა და ლანგრით ხელში კვლავ აივანზე დაბრუნდა. აღარც რეზინის ჩექმები ეცვა და აღარც ბრეზენტის ბალთებიანი შარვალი — პიჟამოში იყო გამოწყობილი. პირსაბანთან მივიდა, ხელები გადაიბანა, ბწკლის კალათიდან ხილი ამოალაგა ლანგარზე, წყალი გადაავლო და მაგიდასთან მიიტანა. დასხედით, რა ფეხზე დგახართო, ბიჭებს შეუძახა და ლეკვსაც გაუჩინა სასუსნავი.

— სულხანის ამბავი იმიტომ გკითხე, მეგონა, იმ თეთრთმიან, მზეთუნახავივით ლამაზ გოგოს ითხოვს და თაფლობის თვეს ამ ჩემ ნაკრძალში გაატარებს-მეთქი, საანკესო ადგილებიც ბევრია და საბანაოც, ნიჩბიანი ნავებიც მაქვს სასეირნოდ. სასმელიც აქ არის და საჭმელიც. თუ ცივ წყალში არ ენდომებათ ბანაობა, თბილიც აქ არი, აგერ გუბურა! — ბაღის ბოლოსკენ გაიშვირა ხელი.

— რომელ გოგოზე ამბობთ? — ყურები დაცქვიტა ზაზამ.

დიმამ თვალები მოჭუტა და ეშმაკურად მიაჩერდა ბიჭებს.

— თქვენ, ბიჭო, დიმიტრი ლაზს რას გამოაპარებთ, ოკეანეები და ზღვები დამივლია, კუნძულები და კონტინენტები საკუთარი გემით შემომიხაზავს, საცა ერთი ტყუილი თქმულა მთელ დედამიწის ზურგზე, სულ გუდაში მაქვს მოგროვილი და მარცვალ-მარცვალ გამიფრული... უჰ, ენად გავიკრიფე ამხელა კაცი, — ჩაიქნია ხელი, ვაშლი აიღო და მოკბიჩა, უნდოდა, რომ ბიჭებსაც ასე თავისუფლად ეგრძნოთ თავი. — კრისტინა და სულხანი სალამოობით აქ ხშირად ამოდიოდნენ და ნავით დასეირნობდნენ ტბაზე... რომ იცოდეთ, იმისთანა ფონოთეკა მაქვს, რომ უკეთესს ვერსად ნახავთ, რომელ ფრინველს დამისახელებთ, რომ მისი გალობა არ მქონდეს ჩაწერილი. აბა, გაიხედეთ, ტბის იქითა ნაპირას აზიდულ პიტალოებს ხომ ხედავთ?! იქ ორ ადგილას, მშრალი ხევის გაღმა-გამოღმა, ორი დინამიკი მაქვს კლდის ფოსოებში ჩადგმული და ნალექებისაგან საიმედოდ დაცული, რომელი ფრინველის გალობასაც მოინდომებდა კრისტინა, იმას ვასმენინებდი. ვიჯექი ხოლმე ამ ადგილას, სადაც ახლა ვზივარ და, როგორც კი ნავი იმ კლდეებთან გაივლიდა, ჩავრთავდი შეპირებულ ჭიკჭიკსა თუ გალობას... თუ არა და, ისედაც ისმის იქ ლამის ფრინველთა ხმები.

— როკ-მუსიკის კასეტებიც გაქვთ? — ჰკითხა სოსომ.

— ყოველნაირი მუსიკის ჩანაწერები მაქვს, მაგრამ ტბაზე ყველანაირი სიმღერა და მუსიკა ავკრძალე. აქ მხოლოდ ფრინველთა ხმები უნდა ისმოდეს, ოღონდ ყველასი კი არა, მაგალითად, მტაცებელთა ხმები მთელ კოლონიებს მიფორიაქებენ, მათ ულტრაბგერებით ვაფრთხობ, ახლოს არ ვაკარებ ნაკრძალს...

ლაზი დაფიქრებული გაჰყურებდა მსუბუქი ფრთოსნებით შეძრულ ტბას. აღმოსავლეთის ცხელი ქარი ქროდა და დაღლილი იერი ედო ნაკრძალს.

— აპენდიციტის შეტევები გამიხშირდა,—ჩაილაპარაკა ყრუ ხმით. — გუშინ დილითაც ვიყავი ექიმთან, მითხრა, ისეა გატიკნილი ჩირქისაგან, შეიძლება გაგისკდეს და მაშინ კარგად მეყოლეო. ექიმების წესია, უნდა შეგაშინონ, რადგან კარგად აქვთ შესწავლილი ჩემისთანა დაუდევრების ფსიქოლოგია. მართლაცდა — რომ არ მეშინოდეს, წავუყრუებდი...

— ბრმა ნაწლავის ოპერაცია მსუბუქია, ორ კვირაში გამოეწერებით, — ანუგეშა სოსომ.

— რომ ვერ გამოვეწერო და კარგახნით შემაგვიანდეს, აქაურობას ვინ გამოუჩნდება გულშემატკივარი... ეგ ლეკვი რომ შემომთავაზეთ, ძალიან გამიხარდა, მაგრამ პატრონი რომ სჭირდება?.. უპატრონო ძაღლი გინდ ყოფილა, გინდ არა... თქვენ რომ გეცათ პატივი და მორიგეობა დაგეწესებინათ, ხვალვე დავწვებოდი საავადმყოფოში... იქიდან გიხელმძღვანელებდით, გეტყოდით, რა როგორ გაგეკეთებინათ.

— დავაწესებთ, რატომაც არა, — მიუგო ზაზამ, — ოღონდაც იმკურნალეთ, ჩვენ ყველაფერს მოვუვლით.

— ძალიან დამავალებთ... სანამ თქვენ სწავლის დრო მოგივათ, მეც ალბათ გამოვალ საავადმყოფოდან.

— დიმა ბიძია, სიტყვას გაძლევთ, რომ გავამართლებთ თქვენს ნდობას, — რიხით თქვა სოსომ.

— სულხანიც ალბათ მალე ჩამოვა და ისიც მოგეხმარებათ, — მეოცნებედ ამბობდა დიმა და გვალვით გადახანძრულ სერებს გაჰყურებდა.

— დიმა ბიძია, თქვენ გყავთ ოჯახი? — შეეკითხა სოსო.

დიმამ მძიმედ გადააქნია თავი.

— ოჯახიან კაცს აქ ვინ დაასახლებდა. ქალაქს ტყეპარკების ზოლი უნდა ერტყას, ბუნებრივი ტბებით, ლაგუნებითა და საგუბრებით, სადაც წყლის ფრინველები მოიყრიან თავს და არავინ იქნება მათი ხელშემშლელი... სადღა არ ვიარე, რომ აქ დასახლების უფლება მოეცათ. გეოლოგებმა სწორედ იმ წელს დაჰკრეს ბურღი ამ ადგილას, ეხლაც არ ვიცი, რას ეძებდნენ, თბილმა წყალმა კი ამოხეთქა. ესეც მოვიმველიე, თერმული წყალი სახსრების სამკურნალოდ მჭირდება-მეთქი, თან ფრინველთა ქომაგი რომ ვიყავი, ამის საბუთებიც მქონდა. არაფერმა გაჭრა. ბოლოს ისევ გმირის წოდებამ მიშველა, გამონაკლისის სახით დამრთეს ნება, რომ აქ მეცხოვრა და არც შემცდარან. ეს ნაკრძალი ჩემი აქ ყოფნის შედეგია... ოჯახი კი, რომ იცოდეთ, მაინც მყავს, ოღონდ აქედან შორს არიან, ქალაქში ცხოვრობენ. უფროსი ვაჟი სამხედრო ექიმია, ქალიშვილი — ჟურნალისტი, მეუღლე კი უცხო ტომის ქალია და არ უნდა აქ ჩამოსვლა, მიზეზობს, ქალაქში რომ გეცხოვრა, კიდევ შეიძლებოდა, მაგ სიმაღლეზე რა მაცხოვრებს წნევიან ქალსო, მითვლის ხოლმე.

— საბჭოთა კავშირის გმირის წოდება რისთვის მოგცეს? — ჰკითხა ზაზამ და სოსოც მის გვერდით დადგა, აგრძნობინა დიმას, ამას ორივენი გეკითხებითო.

— ღამით შიფრული რადიოგრამა მოგვივიდა ოკეანიდან. რეისიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი და ოდესის ნავსადგურთან საუწყებო ბინაში ვათევდი ღამეს. განგაშით წამოგვყარეს და შექმნილი მდგომარეობა გაგვაცნეს: ჩვენი ერთი გემი ატლანტის ოკეანეში მიცურავდა, კურსი თავისუფლების კუნძულისაკენ ეჭირა. გემის ტრიუმი ძვირფასი ტვირთით იყო სავსე, რომლის ღირებულება ათობით მილიონ მანეთად იყო შეფასებული. როგორც რადიოგრამა იტყობინებოდა, ოთხ თავზეხელაღებულ მეკობრეს, დამნაშავეთა სამყაროსათვის კარგად ცნობილ მსოფლიო კლასის ბანდიტებს, იარაღის მუქარით დაემორჩილებინათ გემის ეკიპაჟი და თავიანთ ნებას კარნახობდნენ.

გემმა უკვე გადაუხვია აღებული კურსიდან და არავინ იცოდა, რომელი სახელმწიფოს ნაპირს მიადგებოდა. შეიძლებოდა გარედან მიგვეტანა იერიში გემზე, მაგრამ მეკობრეები ეკიპაჟის გაჟლეტით და გემის ჩაძირვით იმუქრებოდნენ. საჭირო იყო ფარულად შეგვეღწია გემზე და კბილებამდე შეიარაღებული ბანდიტები დაგვემორჩილებინა. სათქმელად ადვილია, მაგრამ აბა სცადე და ჯერ გემზე შეაღწიე და მერე შეებრძოლე, თანაც ვის, ბუზს რომ არ აცილებენ ტყვიას. რომ ვყვები, ახლაც გული მიჩქროლავს... ჰიდრომფრინავით ორნი გავფრინდით, ოღონდ თვითმფრინავში კი არა, მასზე ტროსით გამობმულ პლანერში ვისხედით — ფირფიცრით შეკრულ თვითმფრინავის ფიტულში, რომელსაც არც მოტორი აქვს და არც სხვა რამ დანადგარი, მხოლოდ პლანირება, ერთხანს ფრენა და ძირს დაშვება შეუძლია... დასახულ კვადრატში როცა მივფრინდით, ჰიდროთვითმფრინავმა ჩაიხსნა პლანერი და ფრენა განაგრძო, ჩვენ კი ნარნარად ვეშვებოდით და თან გემს ვეძებდით ოპტიკური თვალთვალის ხელსაწყოებით.

გემზე არსებულ ლოკატორს ის კი შეეძლო შეემჩნია, რომ მის სიახლოვეს თვითმფრინავმა გადაიფრინა, მაგრამ მცირე პლანერის დანახვა, რომელიც უკვე მცელავ სიმაღლეზე დაფრენდა, აღარ შეეძლო.

განთიადის ბინდბუნდში ოკეანეს მკრთალ კონტურად აჩნდა გემის აბრისი. კიჩოდან დავაპირეთ შესვლა, უკანიდან მოვექეცით გემს და მალე შეუმჩნევლად წამოვეწიეთ. თოკის კიბით დავეშვი. თოკი საკმაოდ გრძელი იყო და მისი ბოლო ოკეანის ზედაპირს ეხებოდა ალბათ, რადგან მშვენივრად იყო დაჭიმული და სულაც არ ქანაობდა ქარის დაქროლებით... ანგარიში ასეთი გვქონდა: ოკეანემდე უნდა დავშვებულიყავი და წყალში ნახევრად შეტივტივებული უნდა ვეცურავებინე, სანამ გემს არ მიადგებოდა....

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვგრძნობდი — და ალბათ სხვებიც გრძნობდნენ, ვინც იმ ოპერაციებში მონაწილეობდა,—რომ ეს იყო უაზრო, ნასაფუძვლად განწირული რისკი, მაგრამ სხვა გზა არ იყო...

გემი სრული სვლით მიდიოდა. ზედად, კილვატერის ღვარცოფიან ნაკადს ავცდი და გემის კორპუსს გვერდიდან შევეხე, მერე თოკმა ამწია თუ მე თვითონ ავფორთხდი კიბის საფეხურებზე, კიჩოსთან დამაგრებულ მაშველ ნავში მოვხვდი და თოკის ბოლოც გამისხლტა ხელიდან... ალბათ მე თვითონ გავუშვი... დაცემისას გვერდი დავიჟეჟე, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა, მე უკვე გემზე ვიყავი და ეს იყო მთავარი...

ძველი გემი იყო, მისი ყოველი კუთხე-კუნჭული ზეპირად მახსოვდა. ისე შევიპარე სამანქანო განყოფილებაში, რომ ავტომატმომარჯვებული ბანდიტი, რომელიც თვალს ადევნებდა მემანქანეების მუშაობას, არც განძრეულა, უცბად განვაიარაღე. მერე ჩვენი ბიჭები წამომეშველნენ და ზურგს უკან გაუკრეს ხელები.

ვუბრძანე, რომ ძრავები გამოეთიშათ. კაპიტნის ბოგურასთან მიახლოება ერთ ტყვიად დამიჯდა, ჩემ დამხვედრ ბანდიტს — სიცოცხლედ. ერთმა კი, რაკი შეატყო, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, თავი მოიკლა, ერთი თავისით დაგვნებდა.

— ტყვია სად მოგხვდათ? — ჰკითხა სოსომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მსხვრევადი ტყვია იყო, სულ ამოფლეთილი მქონდა ზურგი, ცოტა დაბლა რომ მომხვედროდა, გულ-მუცელს დამიგლეჯდა. ეგ ისეთი ტყვიაა, მოხვედრისთანავე რომ სკდება...

— ბეწვზე გადარჩენილხართ.

— მაშ რა გგონიათ, მტერი დაგინდობთ?

— არ გეშინოდათ, როცა მიდიოდით? — არ ეშვებოდა სოსო.

— როცა ბრძოლას იწყებ, შედეგზე არ უნდა იფიქრო, თავდავიწყებით უნდა გადაეშვა, ოღონდ რისკს წინასწარი გაანგარიშებაც თან უნდა ახლდეს, თავი უბრალოდ არ უნდა წააგო... ასეთია ომის, ვაჟკაცობის კანონი, — ლაზს გაეღიმა. — რაკი ასე ძალიან გაინტერესებთ, მოდით და ნახეთ, — მხრიდან პიჟამა გადაიწია. — კიდევ კარგი, დროზე დავიხარე და ზურგზე გამიარა, თორემ სულ დამიგლეჯდა მხრის კუნთებს, — ამბობდა ერთგვარი კმაყოფილებით.

ბიჭებმა გულდასმით დაუთვალიერეს ვეება ნაჭრილობევი.

— იმ კაცს რაღა დაემართა, ვინც პლანერს მართავდა? — ჰკითხა ზაზამ მცირე ხნის ფიქრის შემდეგ.

ლაზმა წარბი შეიტეხა.

— ჰიდროთვითმფრინავი ხომ იცით, რა არის?.. ისეა მოწყობილი, რომ პირდაპირ წყალზე ჯდება. ბორტზე მან აიყვანა პლანერისტი... პლანერი კი ამასობაში ჩაიძირებოდა... დიდი რამე, ფირფიცრის ყუთს როგორმე შეელევა სახელმწიფო.

— ჩვენის მხრივ ლეკვით დაგაჯილდოვებთ, სხვა არაფერი გაგვაჩნია, — შესძახა ზაზამ, — დაიტოვებთ?

— დავიტოვებ, ოღონდ ერთი ღამით... ხვალ დილით ხომ საავადმყოფოში ვწვები. დაგავიწყდათ თუ პირს მიტეხთ, — დიმას ღიმილი დასთამაშებდა მზემოკიდებულ სახეზე.

— ასე გადაწყვეტით როგორ ამბობთ, თითქოს საავადმყოფოში ეგ არის დაგელოდებიან, როდის მოვაო, იქ ხომ რიგია... თუმცა თქვენ ვინ გეტყვით უარს... საბჭოთა კავშირის გმირს.

— მაგ პრივილეგიით თითქმის არასოდეს მისარგებლია და ახლაც ასე მოვიქცევი, მაგრამ რა ვუყო ამ ოხერ აპენდიქსს... გადაუდებელი საოპერაციო ვარ... მივალ თუ არა, ხელდახელ გამამზადებენ და საოპერაციოში მიკრავენ თავს, — დიმამ ტუჩები დაბრიცა.

ბიჭებს სიცილი წასკდათ.

— რომ იცოდეთ, რა ეშმაკი ვარ, — განაგრძო დიმამ, — ტბის მთელი ავლა-დიდება, თანაც ჰაერში გამოფენილი, — აქ მან სოსოს გადაუკრა თვალი, — იმიტომ დაგათვალიერებინეთ, რომ მეგრძნობინებინა — ამხელა სილამაზეს და სიმდიდრეს გაფრთხილება უნდა. იგრძენით?

— რა თქმა უნდა! — წამსვე შეაგება სოსომ და ზაზაც თავის ქნევით დაეთანხმა.

— კეთილი... მაგრამ ასე როგორ გაგართოთ ჩემმა საუბარმა, რომ ხილს არა ჭამთ, მაშ ეს ატამი და საადრეო ყურძენი ვისთვის მოვიტანე?.. აბა, ახლავე დაიწყეთ და თვალისდახამხამებაში მოასუფთავეთ ლანგარი! — უწინ თვითონ მისწვდა დაბრაწულ მტევანს და მერე ბიჭებს შესთავაზა.

დიმა ყურძენს ჭამდა და თან ბიჭებს ესიყვარულებოდა თვალებით, აილეთ, არ მახვეწნინოთ, შეახსენებდა ხოლმე.

— გიყვარდეთ, ბიჭებო, ეს ჩვენი დალოცვილი კუთხე. ბედმა სად არ მატარა, რა აღარ მანახვა, მაგრამ ასე ბედნიერად არსად მიგრძვნია თავი. ვენაცვალე ჩემს წინაპარს, რამდენი თავისუფლება მომცა, როცა ასეთი გვარი დამიტოვა — ლაზი. შემეძლო ვითარებას მოვრგებოდი და ლაზო გავმხდარიყავი ან ლაზარევსკი, ან ლაზიევი, ან ლაზარევი და ორი ასოს ჩამატებით სადაც ვიყავი, იქაურ ქუდს დავიხურავდი, მაგრამ არ ვქენი. ეტყობა, ჩემმა წინაპარმა ამ თავისუფლებასთან ერთად ისეთი რამეც დამიტოვა, რაც ნიადაგ მაფიქრებინებს, რომ ჩემი ჯაგლაგი მერჩივნოს სხვის ბედაურს... თან იმასაც კარგად ვხედავ, რომ ჯაგლაგის პატრონი სულაც არა ვარ... ჩემისთანა ბედაური ღმერთმა ყველას მისცეს.

ბიჭები სუნთქვაშეკრულები უსმენდნენ.

— ჩემი აქ განდეგილად ყოფნის მიზეზი კვლავ აუხსნელი მრჩება, მაგრამ დღეისანი ხომ არა ვართ, მერეც გვექნება დრო, ახლა კი ჩიტმა თავისი ბუდე იცის, ხედავთ, მზეც ჩასულა და ბინდიც წამოგვდგომია თავზე, — დიმამ დასავლეთით მდგარ წითელ ღრუბელს გაუსწორა თვალი.

ბიჭები წამოდგნენ და მასპინძელს მადლობა უთხრეს.

— თუ დაგეზაროთ, ნუ ამოხვალთ, ვინმეს ვიქირავებ... — ამის თქმაზე სახე შეიჭმუხნა, — ეგ არის, რომ გული არ ექნება იმ ოხერს... დაქირავებულ კაცს... ყველაფერს ჩუმჩუმად გამიყიდის.

— დიმა ძია, თქვენ მაგაზე სულ არ იფიქროთ, ჩვენ აუცილებლად ამოვალთ, — თვალები შეანათა ზაზამ და ლეკვს უხმო.

— ეგეც წაიყვანეთ, სულ ერთია, ერთ ღამეში ვერ შემეჩვევა! — ლაზი კმაყოფილი ჩანდა სტუმრების საქციელით.

ბიჭები კიბეზე დაეშვნენ და ლეკვიც თან გაიყოლიეს, მერე დაბლა ჩავიდნენ და ბალახიან კორდში გაწვერილ ბილიკზე დაწალიკდნენ.

დიმიტრი ლაზი დაფიქრებული გაჰყურებდა მათ გზას და თავის შორეულ ბავშვობას იხსენებდა.

●

სკოლის ჭიშკარს ქალიშვილი მოადგა.

ახალგაზრდა მასწავლებელი იზა სალუქვაძე შარშან მოვიდა ამ სკოლაში, წელს მას ბიოლოგია უნდა ესწავლებინა უფროს კლასებში, ხოლო მეშვიდე მეორეში ზოოლოგია მისცეს და კლასის ხელმძღვანელობაც დაავალეს.

სკოლიდან ბავშვები გამოცვივდნენ და ეზოშივე შეეგებნენ.

— აბა, მითხარით, რისთვის მომიყვანეთ? — ჰკითხა ღუღუნა ხმით და გოგონებს ხელი მოხვია, წინ წაიყვანა.

— ყველაფერი გვაქვს, ფუნჯებიც, საღებავებიც, საფხეკებიც და ქაფჩებიც, ამ დილით მინების საგოზავიც მოიტანეს ბიჭებმა, მარტო ხელმძღვანელი გვაკლია, — შესცინა შავგვრემანმა დიდრონთვალება გოგომ.

— მედიკო, რაებს მეუბნები, არა გრცხვენია? შენნაირად ვის შეუძლია დარაზმოს კლასი, — ალერსით უსაყვედურა მასწავლებელმა.

— ბიჭები ჯიუტობენ, მასწ., სხვაგან აპირებენ წასვლას. სოსო ამბობს, ამ დილით „დოლაზში“ მივდივართ და რემონტისათვის ვერ მოვიცლითო.

— ასე არ გვითქვამს მასწ., — ამხანაგს გამოექომაგა ზაზა, — ყველა ერთად კი არ მივდივართ „დოლაზში“, უნდა მორიგეობა შემოვიღოთ.

— „დოლაზი“ რაღაა, გამაგებინეთ!

— წყალზე მფრენი ფრინველების ნაკრძალს ჰქვია ასე, ტბასთან რომაა, — წინ წამოდგა სოსო, — მისი შემქმნელის სახელის, მამის სახელისა და გვარის პირველი ასოებისაგან შემდგარი სახელია.

— ვინ არის ნაკრძალის შემქმნელი?

— დიმიტრი ოთარის ძე ლაზი... საბჭოთა კავშირის

გმირი, სამსახურიდან გადამდგარია და ახლა ორნითოლოგიაში მუშაობს.

— ადრე სად მსახურობდა? — დაინტერესდა მასწავლებელი.

— შორეული ნაოსნობის კაპიტანია, სატვირთო გემები დაჰყავდა ოკეანეებში, — ზაზას აშკარად მოსწონდა თავი ასეთი სახელგანთქმული კაცის ნაცნობობით.

— გასაგებია, — დაფიქრებით ჩაილაპარაკა მასწავლებელმა. — ზოგი რამ მეც მსმენია მაგ კაცზე, მაგრამ დღემდე საშუალება არ მომეცა, გავცნობოდი, მით უფრო, რომ ბიოლოგიის სწავლებაში ბევრ რამ საინტერესოს გვპირდება ეგ ნაკრძალი.

— ჩვენთან ერთად წამოდით, მასწ! — შესძახა გახარებულმა სოსომ.

— ჯერ თქვენ ვინ გიშვებთ, რომ სხვებსაც ეპატიჟებით, — გაეცინა მასწავლებელს, — აბა, შეხედეთ გოგონებს, როგორი გულმოსულები არიან.

ყველას სამუშაო ტანსაცმელი ეცვა, გოგოებს სახელოები დაეკაპიწებინათ და ხილაბანდები მოეხვიათ თავზე, საქმიანი იერი ედოთ მზემოკიდებულ ჯანმრთელ სახეებზე.

— ჩვენი წასვლა აუცილებელია, — ზაზამ მავედრებელი მზერა მიაპყრო მასწავლებელს, — ძია დიმა საავადმყოფოში წევება... თუ ჩვენ არ მივედით, ის არ ინდომებს სამკურნალოდ წასვლას და შეიძლება გაუსკდეს კიდეც ბრმა ნაწლავი.

— დიახ, მასწ, ექიმს გაუფრთხილებია, თუ სასწრაფოდ არ დაწექი, შეიძლება გაგისკდესო, — დაუმატა სოსომ.

— ამას გასკდომა კი არა, აპენდიქსის გაღრღნა ჰქვია მედიცინაში და ძალიან საშიშია, — თქვა მასწავლებელმა და ფიქრიანი მზერა მიმოატარა, — მაინც რამდენი აპირებთ წასვლას.

— ექვსნი, — მიუგო ზაზამ, — მხოლოდ დღეს ვართ საჭირო ექვსივე, რათა ძია დიმამ ყველანი გაგვიცნოს და დაგვარიგოს, რა უნდა ვაკეთოთ მორიგეობის დროს, მერე ორ-ორნი ვივლით, სამ დღეში ერთხელ მოგვიწევს...

— წავიდნენ, მასწ, — წინ წამოდგა მაღალი, გრძელკისერა ბიჭი მამუკა ლალიაშვილი, — დღეს ამდენი მუშახელი არც არის საჭირო, სანამ გოგოები კედლებს ჩამოფხეკავენ, მე და მიტო იატაკის ნაპრალებს ამოვვლესავთ. ერთი სიტყვით, შესაღებავად გავამზადებთ ყველაფერს, მერე კი ფერების შერჩევა თქვენთვის მოგვინდეია.

— წამსვლელები წინ წამოდექით! — ბრძანა მასწავლებელმა.

ზაზას და სოსოს თამაზ ბურდული, ნიკა ჯანაშია, რამინ კახიშვილი და გოგი ზამთარაძე ამოუდგნენ მხარში.

— გული არც ერთზე არ მეთანაღრება, ვიცი, რომ არ შემარცხვენთ... ხომ ასეა, ბიჭებო? — მასწავლებელი ახლოს მივიდა და თვალებში ჩახედა ყოველ მათგანს.

ბავშვებს ხმა არ ამოუღიათ, ისე გულალალად შეხედეს დამრიგებელს, რომ ყველაფერი ნათელი იყო — ისინი უკადრისად არ მოიქცეოდნენ.

— წავალ, ლეკვს წამოვიყვან, — უთხრა ბიჭებს ზაზამ.

— წავიყვანოთ და იქ დავტოვოთ, — დაეთანხმა სოსო, — უფრო კარგად დაიგეშება.

ზაზა ავტობუსს გაჰყვა. დანარჩენები ფეხით წავიდნენ კოშკურა ნაგებობისაკენ, საბაგირო გზით აპირებდნენ მაღლა ასვლას.

ზაზა ჩქარობდა, ეგონა, თუ დააგვიანებდა, ამით ძალიან აწყენინებდა ძია დიმას. თითქოს ჯიბრზე, ლიფტი არ მუშაობდა, ქაქანით აირბინა კიბე, მეშვიდე სართულამდე არსად შეუსვენებია. როგორც კი გასაღები მოარგო კლიტეს, ლეკვმა ალერსიანი წკმუტუნი და ყეფა ატეხა კარს უკან, რაღაცით მიხვდა, რომ პატრონი მოვიდა.

ბიჭმა ფათიფუთით შეაბა თასმა, ტყავის ალიკაპი დრუნჩზე მოარგო, კარი გამოიკეტა და ლეკვთან ერთად კისრისტეხით დაეშვა კიბეზე...

ჯერ მეტროთი იმგზავრეს, მერე ავტობუსით გაიარეს სამი გაჩერება და საბაგიროთი მაღლა ავიდნენ. მალე ბიჭები ძია დიმას სახლს მიადგნენ.

მთიდა გასაკვირად, ძია დიმა იწვა, ორი საბანი ეხურა და თავზეც შალი ჰქონდა წაკრული.

— ძია დიმა, მოხდა რამე? — ჰკითხა ზაზამ და იქაურობა მოათვალიერა.

დიმიტრი ლაში თვალებჩამქრალი და ერთბაშად დაბერებული თავის სამუშაო კაბინეტში დივანზე იწვა. თუ ავად გახდა, რატომ საძინებელ ოთახში არ შევიდა?

— ისეთი არაფერი... ის უცხო მიგრანტი, გუშინ რომ განახეთ, მაცნე ყოფილა... უბედურების მაცნე... მისიანებიც მოფრინდნენ წუხელ... თქვენ რომ წახვედით, ერთი საათიც არ იყო გასული მას შემდეგ, რომ შავი ფრინველები დაეშვნენ ტბასთან... ეტყობოდა, ძლივს მოაღწიეს ჩვენამდე და აქ იხრჩობდნენ თავს, — ლაშს ხველა აუტყდა.

— რა ფრინველებია? — ჰკითხა სოსომ.

— გვიანობამდე ვდიე და გემოზედაც დავხელდი... იქნებ როგორმე გადავარჩინო-მეთქი, ვოლიერში მივუჩინე ადგილი, თბილ გუბურასთან... მიდით, შეხედეთ, აბა თუ ამოიცნობთ, რანი არიან და საიდან არიან მოფრენილი...

ბავშვები ვოლიერთან მივიდნენ და კარგა ხანს უყურეს თბილ გუბურასთან ჭირიანი ინდაურებივით აბუზულ შავ ფრინველებს.

ისევ მასპინძელთან დაბრუნდნენ და დივანის გვერდით გამწკრივდნენ.

— აქ იმიტომ დავწექი, ვიფიქრე, თან ჩავითბუნებ და წიგნებს მოვჩხრიკავ, ეგების მაგ გზააბნეულებს რამე წამალი მოვუნახო-მეთქი.

— რა ფრინველებია? — კითხვა მოუნაცვლა სოსომ.

— თეთრი ყარყატები ბრძანდებიან...

— თეთრები რომ არ არიან?

— არიან, როგორ არა... თუმცა აღარც არიან... და



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაირფერი ორგანიზაციების კავშირი

## პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა

პოლონელი ხარცერების კავშირი პოლონეთში უძველესი ახალგაზრდული ორგანიზაციაა. იგი 1911 წელს შეიქმნა. დღეისათვის ორგანიზაცია აერთიანებს დაახლოებით 2 მილიონ წევრს. 8-10 წლის ბავშვები ზუხების ჯგუფში არიან გაერთიანებული, 11-15 წლისანი ხარცერები არიან. ჰყავთ ინსტრუქტორები. ინსტრუქტორი შეიძლება იყოს უფროსი ხარცერი, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა, და პოლონეთის ნებისმიერი სრულწლოვანი მოქალაქე, რომელიც იზიარებს ხარცერების იდეურ, აღმზრდელობით და ორგანიზაციულ პრინციპებს.

ორგანიზაციას საკუთარი ჟურნალ-გაზეთების გარდა აქვს თავისი გამომცემლობა და რადიოსადგური.

ხარცერი ვაჟები ატარებენ ხაკისფერ შარვლებს, პერანგებს და ბერეტებს, ნაცრისფერ აქსელბანტებს, რომლის ბოლოზეც დამაგრებულია სასტვენი, და ფართო ქამარს; გოგონები კი ნაცრისფერ კაბებს, პილოტურას, ტყავის ქამარსა და აქსელბანტებს. ყელსახვევი მოთეთრო წითელი აქვთ. ზუხები ატარებენ ხაკისფერ პერანგებსა და შორტებს (კაბებს) ქამარი და ფერადი ბერეტები ყელსახვევის ტონალობისაა, ოღონდ ყოველი რაზმეულისათვის სხვადასხვა ფერისა; ფორმის ტანსაცმლის მარცხენა ჯიბეზე იმაგრებენ სამკერდე ნიშანს: მზის ფონზე არწივის თავია გამოსახული, დაბლა კი ფარია წარწერით „ზუხი“.

ხელმძღვანელი ორგანოა პოლონელი ხარცერების კავშირის მთავარი შტაბი. მისი მისამართია: ვარშავა, კონოპნიცკის ქუჩა, 6.

## კუბის რესპუბლიკა

ხოსე მარტის სახელობის კუბის პიონერული ორგანიზაცია არსებობს 1930 წლიდან. დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა არალეგალურად.

1961 წელს, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, შეიქმნა პიონერ მეამბოხეთა კავშირი. თანამედროვე სახელი ორგანიზაციას დაერქვა 1977 წელს. მას ორი ასაკობრივი საფეხური აქვს: პიონერები — მონკადოელები (1-4 კლასის მოსწავლეები) და პიონერები — ხოსე მარტი (5-9 კლასელები).

პიონერები მონაწილეობენ სკოლის რემონტში; შაქრის ლერწმის აღებაში; ელექტროენერგიის ეკონომიისათვის თვალყურის მადევნებელ ეგრეთწოდებულ „კლიკი პატრულებში“.

პიონერებს ერთიანი ფორმა აქვთ: ლურჯი შარვლები (ქვედა კაბები) თეთრი პერანგები, წითელი ბერეტები. ყელსახვევები უმცროს პიონერებს ლურჯი აქვთ, უფროსებს — წითელი. ორგანიზაციას აქვს თავისი ემბლემა: ალმოდებული სამკუთხედი ცენტრში ვარსკვლავით. სამკუთხედს სერავს ცისფერი ლენტი, რომელზეც გამოყვანილია ორგანიზაციის სახელი: ხოსე მარტი“.

ხელმძღვანელი ორგანოა ხოსე მარტის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ეროვნული საბჭო. მისამართი: ჰავანა, ველა დო, მე-15 ქუჩა, 752.

---

არც არაფერი ეშველებათ, — დიმამ ამოიოხრა და ხელი ჩაიქნია.

— რა სჭირთ? — თამაზ ბურდული წინ წადგა, რომ ისიც დაენახა მასპინძელს.

დიმამ ბიჭები შეათვალიერა და მოწონების ღიმილმა გაუნათა აქამდე მოქუფრული სახე.

— არაფერიც არა სჭირთ, მაგრამ ერთი უბრალო შეცდომა დაუშვეს და სიცოცხლის ფასად უჯდებათ... რომ ვთქვათ, შეცდომადაც არ ჩაითვლება... ადამიანის მუსანათობა ვერ გაითვალისწინეს... მაღლიდან რომ დახედავ, ნავთობის გუბურაც ისე კამკამებს, წყალი გეგონება... როგორც ჩანს, ნავთობსაძიებო კომპანია სხვა ადგილას გადაუტანიათ ფეთხუმ გეოლოგებს, ნავთობიანი გუბურა კი ღიად დაუტოვებიათ...

— გასაგებია, თეთრი ყარყატები ნავთობით არიან შავად შეღებილები, — ჩაილაპარაკა რამინმა.

— რა ეშველებათ? — დანანებით იკითხა ნიკამ.

დიმამ განგებ შეაყოვნა პასუხი, ძალიან არ უნდოდა, გული დაეწყვიტა ასეთი კარგი ბიჭებისათვის.

— სიცივისაგან დაიხოცებიან... ნავთობის ფენა, მათ სხეულზე თხელი აპკივით რომაა გადაკრული, მთლიანად არღვევს თბორეგულაციას... ფრინველები განწირულები არიან, თუ რაღაცა სასწაული არ მოხდა.

— რა სასწაული უნდა მოხდეს? — ზამთარაძეს მღელვარებისაგან ნერწყვი გადაუცდა სასულეში. ჩასუქებული ქერა ბიჭი იყო, ბულულივით ეყარა შუბლზე მწვარა თმა.

— კარგია, სამუშაო ტანსაცმელი ჩაგიცვამთ, — დიმა გამომცდელად უყურებდა ბიჭებს.

— რა არის გასაკეთებელი? — ზაზამ გუმანით იგრძნო, რომ ძია დიმას რაღაცა ჰქონდა მოფიქრებული და ვერ გადაეწყვიტა, გაენდო თუ არა მათთვის.

— ოღონდაც გვითხარით და ნახავთ, როგორ გავაკეთებთ, — სოსომ გრძელთითება ხელები ერთმანეთს გადააჭდო და ისე მიაჩერდა მწოლარეს.

— რაკი ასე თავი გამოგიდვიათ, გეტყვით, ოღონდ ერთი საათის შემდეგ, — ჩაილაპარაკა და თვალები მილულა.

— ერთი საათი რას მოგვიტანს? — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა ზამთარაძემ.

— სინჯი მაქვს აღებული... უნდა დავრწმუნდე, რომ ფრინველები ჯანსაღები არიან... ისე ვერ მივაკარებთ... მანამდე კი თქვენი მუშაობის რეჟიმი გამაცანით, მითხარით, ვინ როდის იმორიგევებს.

ზაზამ გრაფიკი გაუწოდა და დასძინა:

— მეშვიდე სინგოა, ის ყოველდღე იმორიგევებს და ღამითაც აქ დარჩება.

— მასაც ცნობა დასჭირდება, რომ ჯანმრთელია... ვეტპუნქტში უნდა გაასინჯო, ყველაზე მჭიდრო კონტაქტში ის შევა აქაურ ფრინველებთან. თქვენ კი ორნითოლოგიის დაწყებითი კურსი მაინც უნდა გქონდეთ გავლილი, რომ აქ მორიგეობა შეძლოთ... მართალია, შეუძლოდ ვიყავი, მაგრამ ლოგინიდანაც მივწვდი ზოგ რამეს, — წიგნების თაროს შეავლო თვალი, — სათანადო ლიტერატურა შეგირჩიეთ. უმეტესად ჟურნალებია, თან ახლავს ილუსტრაციებიც, კარგადაა ნაჩვენები, როგორ აწყობენ საბუდრებს ფრინველთა კოლონიები... ახლა მეტად პასუხსაგები დრო დგება — ფრინველები შორეული გადაფრენისათვის ემზადებიან.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა





ნინო ხარაზიშვილი

# მრავალი ასეთი ყოფილიყოს!

ლამაზი პროფესია აირჩია მაგულიმ. ჩაჯდება ფერად ქსოვილებში, თითოეულისაგან რაღაც კიდევ უფრო ლამაზი გამოჰყავს — კაბა, ბლუზა, ხალათი, პერანგი და სუყველაფერი — თავისი პატარა მეგობრებისათვის. მეგობარი კი, თვითონაც რომ არ ჰგონია, იმდენი გამოუჩნდება ხოლმე. ყოველდღე შემოურბენს რომელიმე მაკა ან ეკა — დეიდა მაგული, რომ იცოდე, როგორ მომენატრეო და თვალებგაბრწყინებული ყელზე შემოაფრინდება. დედობა მოუნდება ხოლმე ამ დროს, თავისი მრავალშვილიანი დედის ბედი და თბილი კალთა შეეხარბება...

ადრე მოუწია დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება. როგორც კი სკოლა დაამთავრა, ჩამოვიდა თბილისში, დასახლდა უფროს დასთან ერთად. ჩვიდმეტი წლისა ხომ იყო, რომ შეხედავდი, თხუთმეტსაც ვერ მისცემდი. ფილოლოგობაზე ოცნებობდა. ერთი-ორჯერ გავიდა კიდეც მისაღებ გამოცდებზე — ვერ ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. მაშინ იგრძნო, რა დიდი გული ჰქონია — აღარ იკადრა მუდმივი აბიტურიენტობა. დაიწყო ფიქრი, კიდევ რა მეხერხება და რა მაინტერესებსო. კერვის შესწავლა კი დამ ურჩია, სხვა რომ არა იყოს რა, ხელობაა, პურს გაჭმევს, თანაც ხელსაქმის ცოდნა რომელი განათლებული ქალისთვის ყოფილა ზედმეტიო... ასე მივიდა თბილისის 43-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში. ისწავლა ცოტა ხანს და თავისთვისაც მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ უცნაურად ქალური ხასიათი ჰქონია, რომ ძალიან ჰყვარებია ფანტაზიორობა და საკუთარი გემოვნებით მოფიქრებულ-მომთავრებულით მეგობრებში თავის მოწონება.

ჯერ კიდევ სასწავლებელში გაუვარდა კარგი მკერავის სახელი. ოსტატებსა და მასწავლებლებს მოსწონდათ, სუფთა ხელსა და მახვილ თვალს უქებდნენ. რაღაც პროფესიული ალღოც შეიძინა, შემფასებელი მზერაც. ტანზე მომდგარი სამოსის ლაზათსა და ნაკლს პირველი შეხედვითვე შეუმცდარად აგიწონიდა...

დამთავრებას ბევრი აღარაფერი ჰკლებია, სასწავლებელში რომ სწვეიათ ქალბატონი მერი მაღრაძე (იმჟამინდელი გამგე ატელიესი, სადაც მაგული დღეს მუშაობს); სასწავლებლის დირექტორისთვის შემწეობა უთხოვია, ყოჩაღი გოგონები მჭირდება და შემარჩევინეთო. დაუვლია სახელოსნოები, დაუთვალიერებია მოწაფეთა შეკერილ-ნახელავები.

ასე ჩაიბარა მაგულიმ თავის პროფესიაში პირველი, ყველაზე ძნელი გამოცდა... ასე მოხვდა გაერთიანება „თბილტანსაცმლის" ბავშვთა ტანსაცმლის ინდკერვის მე-11 ატელიეშიც, კოლექტივში, რომელშიც უკვე თორმეტი წელია მუშაობს.

არ უმტყუნია მაგულისთვის პირ-



ველ შთაბეჭდილებას — ბედნიერად შეეყარა თავის პროფესიასაც და თავის პირველ შრომით კოლექტივსაც. არც მათი „ღალატის" სურვილი გასჩენია როდისმე. მართალია, ოთხიოდე წლით კი მოუწია ატელიეს დატოვება: თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში ჩააბარა, იქაც მონათესავე სპეციალობით — კერვის ტექნოლოგიის შესწავლა დაიწყო. სწავლის დამთავრების შემდეგ კი ისევ ბავშვთა ტანსაცმლის რიგით მკერავად დაუბრუნდა მშობლიურ ატელიეს. აჯობა თავმდაბლობამ — პრეტენზიაც კი არ გასჩენია, იქნებ კერვის ტექნოლოგის ადგილი გამომინახონო...

ასეა თუ ისე, მაგული ესიავა დღეს უკვე საკმაოდ გამოცდილი მკერავია, გამორჩეული თავისი ფანტაზიით, გემოვნებით, ინდივიდუალობით და, რაც მთავარია, „სუფთა ხელით" — მკერავისთვის აუცილებელი თვისებით, მასში ჯერ კიდევ პროფტექნიკუმში სწავლის დროს რომ მოსწონდათ. მის შეკერილ ტანსაცმელს აქ ერთი შეხედვით სცნობენ, საქმეში ყოველთვის უღალატოა, ყოველთვის სინდისიანი, დაუზარელი. ამიტომ არის, რომ ბავშვთა ტანსაცმლის მკერავთა ბრიგადაში, რომელსაც აქ მედეა პანიკაშვილი ხელმძღვანელობს, მას განსაკუთრებულ პატივს სცემენ. ქალბატონი მედიკო დღემდე „სიყრმის შვილს" ეძახის და მაგულისაც შრომის დანახვისა და ამ სითბოს მეტი არაფერი სჭირდება. ყმაწვილივით გაიხარებს ხოლმე, მისი შეკერილი კაბით ბედნიერი რომელიმე კუდრაჭა გოგო სარკის წინ რომ თვალებგაბრწყინებული დაუბზრიალდება.

ყველა მათგანის სიხარული და მოწყენა ახსოვს, როგორ გაიხარებენ ხოლმე, გულისდაწყვეტას როგორ გამოხატავენ... ერთხელ ძალიან ლამაზი ხავერდის კაბა შეკერა, გოგოც ლამაზი იყო და კიდევ უფრო დახატა იმ ლამაზმა კაბამ. მეორე დღეს ისევ სწვევია იმ გოგონას დედა. შეწუხებულა მაგული. იქნებ სახლში მისულებს რაიმე აღარ მოეწონათო. თურმე, ნუ იტყვით, პატარა დაიკოც ჰყოლია იმ ლამაზ გოგოს, თავი მოუკლავს ტირილით, მეც წამიყვანეთ იმ მკერავ დეიდასთან და ასეთი კაბა შემიკერეთო...

მოვლენ, მეტიჩარა თმას მეტიჩარა პატარა ხელებით შეისწორებენ; მშობლები რომ შეეკითხებიან, როგორი კაბები გინდათო, ასე, ცხრაათი წლისები მაინც თუ არიან, ასეთი და ასეთიო — თითებს დაპრანჭავენ — აუცილებლად ისეთი, მოდაში რომ არისო...

შემწყალედ იღიმება ხოლმე მაგული, ცდილობს, საკუთარი ფანტაზია თითოეულის მოთხოვნილებებს და, რაც მთავარია, ხასიათსა და ასაკს მოარგოს. ათჯერაც რომ შეასწორებინო რაიმე, ხალისიანი ღიმილით შეასწორებს, დაზარება არ იცის. კეთილია. და ეს მოსწონთ პატარებს. მისით ყოველთვის კმაყოფილები არიან, ყოველთვის თავიანთ მეგობრად ეგულებათ.

შვილებს არცთუ იშვიათად „ენაცვლებიან" ხოლმე ახალგაზრდა დედებიც. მათაც მოსწონთ მაგულის სუფთა ნახელავი, უტყუარი ალღო, რომლითაც იგი, როგორსაც გნებავთ, უახლეს მოდელს ჩასწვდება. ამასწინებზე თავის ქალიშვილებს მოჰყოლია ერთი დედიკოც — ყველასთვის კარგად ცნობილი ახალგაზრდა მომღერალი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ირმა სოხაძე. თურმე მანაც შეაკერინა ახალი მოდური კაბა მაგული ესიავას. ირმა მაგულისთვის უკვე შეჩვეული სტუმარია. მას ხომ მისი ქალიშვილებისთვისაც ხშირად შეუკერავს ლამაზი კაბები და მისი საბავშვო მუსიკალური თეატრის ნორჩი მსახიობებისათვისაც.

საინტერესო შემკვეთები ჰყავს მაგულის. ბავშვების გარდა, სამსახურს, არცთუ იშვიათად, სთხოვენ უფროსებიც — უფრო მსახიობები, ესტრადის მომღერლები. რა თქმა უნდა, შეკვეთისამებრ, ყველას ძალზე ორიგინალურ, ეფექტურ საკონცერტო კოსტიუმებს უკერავს. ყოველ შემთხვევაში, დღემდე უკმაყოფილო არავინ ჰყოლია, კონცერტებზე კი ხედავს, მის შეკერილ ტანსაცმელს სიამოვნებით რომ იცვამენ...

მაგრამ ბავშვებთან ურთიერთობას ვერც ამ პოპულარულ შემკვეთებთან მუშაობა გადაძალავს... ნორჩების სტუმრობა ყველაზე მეტად უხარია. ისინიც ყოველდღე მოდიან — ზოგჯერ მხიარულები, ზოგჯერ სახეზე უმნიშვნელო წყენის ჩრდილდაფენილები, ზაფხულის ყოველი არდადეგების შემდეგ — შესამჩნევად გაზრდილები, დაქალიშვილებულები.

ერთი ქალი მოვიდა რამდენიმე დღის წინათ, ამბავი მოიტანა — ქალიშვილი გასთხოვებია და იმას ყვებოდა. შეკრთა მაგული — ის გოგო ხომ მისი კლიენტი იყო, მისი დაბადება თუ არა, ერთიბეწო გოგოობა ხომ გუშინდელივით ახსოვს...

ჯერ იმ ასაკში არ არის, რომ წლების დაუნდობელი სვლა ასეთი ტკივილით განიცადოს, დანახვით კი, ხედავს, როგორ წამოეწივნენ სიმაღლეში თავისი ნაამაგევები — მისი შეკერილი კაბებით მორთული ეს პატარა გოგოებიც, დისშვილ-ძმისშვილებიც... თორმეტი წელიც არ ყოფილა პატარა დრო, ღვიძლი შვილივით შეეჩვია მშობლიურ ატელიეს, მის გამგეს ქალბატონ ელენე ბურდულაძეს, თავისი ბრიგადის ქალებს, თითოეულს აქ მომუშავეს. სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია, მთელი დღე ხომ აქ არის! სამუშაო ყოველთვის სამყოფზე მეტი აქვს, მაგრამ ბევრს მამუშავებთო, ესეც არასდროს დაუჩივლია. იმიტომ, რომ უყვარს თავისი საქმე, თავისი ეს პატარა შემოქმედება, იმიტომ, რომ ხშირად სახლში დაღლილი მისულიც დისშვილ-ძმისშვილების პატარა კაბებსა და პერანგებს ჩაჰკირკიტებს, იმიტომ, რომ ასეთია — მთელი გულით ყველას მოყვარული, დაუზარელი, კეთილი, და არც უნდა, რომ სხვანაირი იყოს.

ბავშვებთან ყოველდღიური ურთიერთობა შინაგანად ანათებს, აფაქიზებს და ალამაზებს ყოველ ადამიანს. მაგული ესიავა გარეგნულადაც მომხიბლავი ქალიშვილია, მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, თავისი სითბოთი, საქმისადმი სიყვარულით, თავისი იმედებითა და რწმენით არის ლამაზი.

ფოტო
თემურ ცაგარელისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აპრილის მახსენება

კარლო კობერიძე

მხატვარი
კარლო ფაჩულია

მოთხრობა

სამ წელიწადზე მეტია, ბიძაჩემის ოჯახში ფეხი აღარ დამიდგამს: რაკი დავიფიცე, იქით აღარ გავიხედავ-მეთქი. ეგე, აქამდე ამიცხადებია კიდევაც. ამის შემდეგ რაღა იქნება, ვერაფერს ვიტყვი ჯერჯერობით, თუმცა ოდნავადაც არ გამნელებია მაშინდელი წყენა. მართალია, ცხელ გულზე დავიფიცე, მაგრამ თან ლაპალუპით ჩამომდიოდა ცრემლი, იმ ცრემლს კი არაფრით, არაფრით არ ვაპატიებ! ასეა... ორიც სხვა მყავს ბიძა — დედაჩემის ძმები; ესა, ლადო, მამაჩემის ძმაა და, სიტყვის მასალად არ ვამბობ, მამასავით მადგა თავზე, სიკეთე არ დავუფასო, უმადური ვიქნები. მაგრამ მადლს რომ შვრები, მარილიც უნდა მოაყარო.

მამაჩემი მთელი თოთხმეტი წლით იყო ძმაზე უფროსი. მანამდე არ დაოჯახდა, ვიდრე უმაღლესი არ დაამთავრებინა — გზაზე არ დააყენა და, როცა ეგონა, მეშველაო, მაშინ უმტყუნა გულმა. კალატოზი იყო მამაჩემი, სოფელში ამბობენ, ქვას არ დაიწუნებდაო, მუშტარიც ამიტომ აღონებდა. ექიმებმა ურჩიეს თურმე, გადაღლილი ხარ, უნდა დაისვენოო. არ დაუჯერა, დასვენება საფლავშიც მეყოფაო და, სოფელ ხილოვანში ნარდად რომ აშენებდა სახლს, ხარაჩოზე ჩაიკეცა. წლინახევრისა ვყოფილვარ მაშინ. ჩემი და, ნატო, ორი წლით არის ჩემზე უფროსი და იმასაც არ ახსოვს მამა. ქაფჩა რომ ჩააყოლეს თან, ეს კი მახსოვსო — ისე დაიფიცავს ხოლმე, არ დავუჯერო, ცოდვაა.

რაც თავი შემისწავლია, სულ ლადო ძიას ჩრდილი გვაფარია; მის ბიჭს, ჩემს ბიძაშვილსაც ვანო ჰქვია, სამი თვით უმცროსია ჩემზე. მამაჩემს ეთქვა ძმისთვის, ესეც ირემია, ნაკრძალშიც ველარ მიაგნო, სახელზე მეტი სხვა რაღაა, შენც ვანოს რომ არქმევო. ჩვენ ისეთი კარგი მამა გვყავდა, უკეთეს სახელს ნამდვილად ვერ მივაგნებ, მართალია, გვარიც ერთი აქვთ, სამაგიეროდ მამის სახელებით გაარჩევენ ერთმანეთისგანო. პასუხს დამიხედე, ე?! შენი სიმამრის სახელი, თომა დაარქვიო. რაღა დროს თომაა, შე კაი კაცო, მღვდლად ვამზადებ თუ დიაკვნადო?

რა ვიცი, როგორ მოხდა, ჩემი უფროსი ბიძაშვილიც ზუსტად სამი თვით უმცროსია ნატოზე. ოღონდ იმას მეორე ბებიის სახელი, მანანა ჰქვია.

რასაც თავისი შვილებისთვის ყიდულობდა ლადო ძია, ზუსტად იმასვე მოგვიტანდა ხოლმე: ტანსაცმელი გინდა, წიგნები, სათამაშოები, ველოსიპედი. ვითომ მე მიყიდა ორთვლიანი ველოსიპედი, ნატომ კი ისწავლა ჩემზე ადრე და, შენ ქალი უძახე, დამტვრევითაც აკი იმან დაამტვრია!

ლადო ძია გვერდითა სოფელში, ხილოვანში ცხოვრობს — ზედსიძედ მივიდა, უმაღლესი რომ დაამთავრა, იმის მომდევნო წელს. კარგ სამსახურში ჩადგა და ცოლეურების სახლიც აღარინდომა — ისეთი სასახლე წამოაფრინა, ამ ახლომახლო ორი არ მოიძებნება ბადალი. ის იმხელა სასახლე მამაჩემმა დაიწყო და დაამთავრა კიდევაც, ხელის მუშებიც სულ ჩვენიანები იყვნენ — ნათესავები.

ბევრი მეგობარი ჰყავს ლადო ძიას, თითქოს განგებ შეარჩიაო, ყველა მღერის. დედაჩემი ამბობს, ზოგიერთი მეგობარი ბუზსა ჰგავს, საითაც თაფლს დაიგულებს, იქით მიბზუისო... უფრო კვირაძალზე ესტუმრებიან ხოლმე. მოახლოვდება შაბათი და ბუზღუნსაც უმატებს ლია ძალო, მომკლა სუფრის გაშლა-ალაგებამ, გამათავაო. გათავებისა კი არაფერი ეტყობა, იმხელაა, ორი გამოიჭრება ბიძაჩემი. მაგრამ ისეთი სიხარულით, ღიმილით ხვდება სტუმრებს, იფიქრებ, მთელი დღე ამათ მოლოდინში იყოო. კარგი ხალხია, რას ერჩი — სმა არ უყვართ. დალევენ ორიოდე ჭიქას, დაილოცებიან, მერე ისე კარგად მღერიან, ეზოში ტრიალებდე, იფიქრებ, ტელევიზორია ჩართულიო. კიდეც ამიტომ უყვარს თომა პაპას სტუმრების გამოჩენა. იმ სტუმრებისა, ბიძაჩემთან ერთად რომ მუშაობენ ღვინის ქარხანაში. კარგად მღერის თომა პაპაც — ყველა ხალხურ სიმღერას ეს იწყებს ყოველთვის.

აკი წეღანაც ვთქვი, ბიძაჩემს სტუმრები შაბათობითა ჰყავს-მეთქი. ჰოდა, მეც მაშინ მივდიოდი სტუმრად. დავბრუნდებოდი სკოლიდან, დავაგდებდი ჩანთას მაგიდაზე და, ჰაიდა, ხილოვნისკენ — იმ ღამეს იქა ვრჩებოდი. მეორე დღეს ზუსტად იმ დროს მოვდიოდი შინ, რა დროსაც ხილოვანში გადაველ — გაკვეთილები მქონდა მოსამზადებელი. მე და ვანო ახლაც ერთ კლასში ვართ, განა მისი წიგნებით ვერ მოვამზადებდი, მაგრამ თვითონაც უბედური ზარმაცია და სულ სხვა წიგნში ჩამეხედა, ისე, სურათების დასათვალიერებლად, მაშინაც იღრინებოდა, მაგის გულისთვის თუ გადმოხველ, რა ძალა გედგა, დააბარებდი ვინმეს, შინ მოგართმევდიო. წიგნის გარდა ყველაფერი უყვარს — მურიას წვალება, ტელევიზორის ყურება, ანეკდოტი, დის გაბრაზება, სალაყბოზე დაყუდება. თოხნაც კი!..

ჰო, მარტო მაშინ არ მივდიოდი ხილოვანში, როცა უამინდობა იყო — ან ქარი, ანდა ნიაღვარს მიჰქონდა არემარე. თოვლი ვერც ახლა გამომკეტავს შინ — თოვლში სიარულს რა სჯობია!.. თუ ამინდი იყო და შაბათს არ გადავიდოდი ხილოვანში, ნეტა რა დაემართა, რაიმე ხიფათს ხომ არ გადაეყარაო, მანქანით მომაკითხავდა ხოლმე ბიძაჩემი. რაღა თქმა უნდა, ვანოც მოჰყვებოდა.

ასე გადიოდა დრო, მაგრამ აპრილის ერთ შაბათს ისე გამამწარა ბიძაჩემმა, ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ გაცინებულ გვირილას დავინახავ, ფერიცვალას თუ ოთახის რომელიმე ყვავილს, აპრილის ის საღამო მახსენდება და გულიც დამეხურება ხოლმე. მოვა აპრილი, ააფერადებს ხეხილს, ზღაპრად აქცევს მიდამოს და, მაშინ ხომ ის დღე, თითქოს ნაბიჯს მითვლიდეს, ერთი წუთითაც არ მტოვებს, არ მშორდება. რამდენჯერ მითხრა დედაჩემმა, ნატომაც, ვანომაც, თომა პაპამაც კი, რა მოხდა მერე. ცხოვრება უარესსაც შეგახვედრებსო. პასუხსაც დალოდებიან, მაგრამ არაფერი მითქვამს, უფრო ეს გაკვირვებიათ. ალბათ უარესიც ხდება და მოხდება კიდევაც, არავინ დაობს ამაზე, თუმცა უარესი რაღა უნდა იყოს, ჯერჯერობით არ ვიცი. მთელი ჩვენი ოჯახი ბიძაჩემის ხელის შემყურე იყო მაშინაც და იმდენი დაფიქრების უნარი უნდა გაემეტებინა ბუნებასა თუ განგებას, მიმხვდარიყო — მე მაინც არ ვიკადრებდი იმას, რაც მაშინ დამაბრალა. მაშინ მეხუთე კლასში ვიყავი და მადლისა და უმადურობისა მშვენივრად გამეგებოდა უკვე. თანაც ბიძაჩემის თქმისა არ იყოს, ობლები უფრო მგრძნობიარენი, დაკვირვებულნი არიან — ბუნება მთლად უნუგეშოდ არ ტოვებს არავის; მე ბუნებას ვემადლიერები, სხვები ღმერთს უხდიან მადლობას.

რაკი ჩემიანებს ვერ გავაგებინე, უფრო სწორად, ვერ მიხვდნენ, აქამდე რატომ არ გამიარა მაშინდელმა წყენამ, რა ჩახლართული ამბავი ეს არის, — ორიოდე წუთში მოგიყვებით. თუ გამამტყუნებთ, აკი პარასკევია დღეს. ეს თოვლ-ჭყაპი ხვალაც ასე იქნება გაბმული და, ჩემი თავი მოგიკვდეთ, თუ ხვალ ფეხით არ გადავიდე ხილოვანში!..

სკოლიდან რომ დავბრუნდი, ღობის გასწვრივ ჩარიგებულ ორმოციოდე ბუდნა ფიჩხის ლობიოს შემოვუთოხნე, წინადღის წვერწაჩეკილი ჭიგოც შევუდგი და ამასობაში საღამოს ნიავმაც შემოჰკრა. ექთანია დედაჩემი, სადაცაა დაბრუნდებოდა სამსახურიდან. ნატო კიბეზე იჯდა და ჭინჭარს არჩევდა — ხელები ესუსხებოდა და მალიმალ იბერავდა ზედ.

— ხელთათმანს ვერ გაიკეთებ?

— დასუსხვა სასარგებლოაო.

— რაკი ეგრეა, ისიამოვნე.

ხელ-პირი დავიბანე და აივნიდან გამოველ.

— მშიერი მიდიხარ?

— ჰო, დამაგვიანდა კიდევაც. იქა ვჭამ.

— ლია ძალოს უთხარი, საკაბეს რომ დამპირდი, ხომ არ დაგავიწყდათქო.

— თუ არ დამავიწყდა, ვეტყვი.

— მელანი წაისვი თითზე.

— ჭინჭრით დასუსხვა არა სჯობია?

ისეთი დღე იყო, სიცოცხლით, სიკეთით რომ გავსებს. გზა-გზა არ ვაპირებდი ხილოვანში წასვლას, მინდოდა სოფლის თავში ავსულიყავი, მინდორ-მინდორ, ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ მევლო, ბოლო-ბოლო წელიწადში ერთხელ მოდის აპრილი და ერთხელ მოაქვს განუმეორებელი ხალისი, სილამაზე, სურნელი. მაგრამ გზაზე რომ გამოველ, ჩემი მეზობელი, რეზო ძიაც გამოვიდა ეზოდან „ჟიგულით“. მანქანა გზის პირას მიაყენა, ჭიშკარი დაკეტა და მერე მკითხა:

— ხილოვანში მიხვალ?

— ჰო, ჩემი ბაღდადი კიდევ ის არის.

— დაჯე, წაგიყვანო.

— რა მეჩქარება, სოფლის თავში ავალ, აეგრე გავყვები და, მინდვრების, ტყეების, ბაღ-ბოსტნების გაზაფხულს მოვავლებ თვალს. იქნებ ორღობესაც წავაწყდე სადმე.

— იქიდან გამოჰყევი, — მანქანის კარი გამოაღო, — წამო, ბიჭო, იქნებ საქმე მაქვს?

საქმე ჰქონდა: რეზო ძიას ბიჭი, გივია, ერთი კლასით არის ჩემზე წინ, პაპიროსს ხომ არ ეწევაო. არ დამინახავს-მეთქი. რომც დამენახა, მაინც არ ვეტყოდი. თუ დაინახე, მითხარიო. ჩვენი დირექტორის მოადგილეს, შენს ნათესავს ჯერ „მალბორო“ რომ დავუნახო და მერე „პრიმაც“, ორივე მოგახარო თუ როგორ მოვიქცე-მეთქი. ეგ არ მაინტერესებს, ოღონდ დირექტორმა თუ გააბოლა, ის არ დამიმალოო. ჩვენი სკოლის დირექტორი კი ქალია.

რა შორი მანძილი ხილოვნამდეა!

— მალეც მივედით.

მურია აეშვათ, ამით მივხვდი, შინ რომ არავინ იყო. რა გაიხარა მურიამ! ბარე ათჯერ ამომეტოტა, საგულდაგულოდ დაიწმინდა წინა თათები.

მარნის კარიც ღია დაეტოვებინათ, ოთახებისაც. მეორე სართულზე არ ავსულვარ.

მშვენიერი ეზო აქვს ბიძაჩემს, რა ხეხილი გინდა არ ედგეს. მარტო უნაბი აკლდა და კახეთში რომ ვერ იშოვა ნერგი. იმერეთიდან ჩამოიტა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა. ჯერ უნაბები ვნახე — სამივეს ეხარა, ისეთი ხასხასა ფოთოლი გამოეფინათ, თითქოს შემოდგომაზე კი არ დარგეს, ფესვზეა ამოსულიო.

იმ წელიწადს თბილი, თოვლიანი ზამთარი იყო, არც გაზაფხულის მოახლოებისას დაუჭერია ყინვები, ამიტომ ხეხილი არ დამზრალა, მარტო მეწლეული ხეჭეჭური იდგა ცარიელი, შარშან კი ისე ესხა, მთლად ჩამოელეწა ისედაც მალალი ტოტები. ხეჭეჭური ღელეზეა გადახრილი, თითქოს გაბუტულივით იმიტომ გამდგარიყო განზე, ყვავილი რომ არ გამოიტანა.

მთელი ეზო ნაირ-ნაირი ყვავილით არის განათებული. ბალჩა-ბაღის ბილიკების გაყოლებითაც ვარდებია ჩარიგებული. მესერს აქეთ კი, სადაც მანქანა და ადამიანის ფეხი ხვდება, დაბალი, დეკორატიული ტყრუშული ღობეა. მესერსა და ამ ღობის შუაშიც ვარდებია დარგული. მაგრამ უფრო ლამაზად მინდვრის, ტყის ყვავილები ანათებენ იქაურობას. ია ზედ კიბეზეა მიმდგარი, ფათალო უშვებდეს, კედელს მიაწყდებოდა.

19.39დ



ოთახში შევედი, ტელევიზორი ჩავრთე. ზუსტად ასეთი ფერადი ტელევიზორი მეორე სართულზეც უდგათ. ციმციმს რომ მორჩა ტელევიზორი და გაიმართა, ვიღაც ზონზროხა დედაკაცი დამენახვა, ისე ეჭირა ხელები, ვატყობდი, სიმღერასაც აპირებდა. გრძელი კაბაც უპრიალებდა, ლოყებიც. ისეთი წვრილი ხმით შემოსძახა, თვალი მოგერიდებინა, იფიქრებდი, ბალღი მღერისო. არ მომეწონა და გადავრთე. იქ კიდევ მეძროხეობის ფერმას გვათვალიერებინებდნენ. მე თუ ძროხებისა და ფერმის ნახვაღა მაკლია!..

წიგნის კარადა გამოვაღე, ამოვარჩევ რამეს, ვიდრე გამოჩნდებიან, გულს გადავაყოლებ-მეთქი. მაშინ იყო, ჯერ მანქანის ხმაური გავიგონე, მერე მურიას წკმუტუნი — ბიძაჩემი დაბრუნდა.

— სხვები სადღა არიან?

— შაბათობაზე. როგორა ხარ?

— სად არიანო?!

— ჩემი მეგობარი როა, ნოდარა, იმასა აქვს პურ-მარილი. წამოხვალ?

— ყველანი თუ იქ იქნებით, მე რაღა გავაკეთო აქ.

— იცოდნენ, რომ გადმოხვიდოდი და კარები ღია დატოვეს, მაგრამ მურია კი აუშვეს... რაკი მოდიხარ, მანქანა გამოასუფთავე და, სველი ნაჭერიც მიუსვ-მოუსვი, არაფერი დაშავდება.

— რაღაც წვერს ვერ გამჩნევ გასაპარსს!

— ვითომ არ იცი შენი ძალოს ამბავი: ყოველდღე არ გავიპარსო, შემჭამს.

ბიძაჩემი კარგად უვლის მანქანას, სულ გაკრიალებული დაჰყავს. შორს წასვლასაც არ აპირებდეს, კაპოტი უნდა ახადოს, დაათვალიეროს, საბურავების ჰანჰიკებსაც ამოწმებს, ხომ არ მოეშვაო — რკინაა, მაგრამ მოვლა უნდა, არ მოუვლი და გიმტყუნებსო. მართალია!

შიგ არაფერი იყო, მაგრამ მაინც გამოვგავე მანქანა, გარედანაც გავაპრიალე, ამასობაში ბიძაჩემმა წვერიც გაიპარსა, ტანისამოსიც გამოიცვალა და ქვედა ოთახშიც ჩამოვიდა.

მეც უკვე დავიბანე ხელები, ახლა ვდგავარ და ველოდები, ჩვენ რომ ვიცით, იმას თუ მეტყვის-მეთქი. მითხრა:

— მოაბრუნე და გაიყვანე ჭიშკრიდან.

მანქანის ტარება უკვე ვიცოდი, მეც ვიცოდი, ვანომაც. ლადო ძიამ მასწავლა -- საჭეს რომ გვანდობდა, ლია ძალო უწყრებოდა, რამე უბედურებას დამართებ ამ ჭყინტ ბალღებსო. რას ამბობ, ქალო, პატარობიდანვე რომ ისწავლის, იმ ცოდნასა აქვს მადლიო.

გასაღები გამოვართვი და მანქანის კარი რომ გამოვაღე, მაშინ მითხრა:

— ვანო, ტელევიზორზე ორი ოცდახუთმანეთიანი დავდე და, შენ ხომ არ აგიღია?

— რაც მოხველ, მას აქეთ არც შემოვსულვარ ოთახში.

— აბა, მურიამ აიღო?

— რატომ უნდა ამეღო?

-- არ შეიძლება რო ხელი წაგიცდეს?

-- სხვა დროს როდის რაზე წამცდენია ხელი?

— რა ვიცი, კაცნი ვართ... მაშ მიწის მგელი გამოუვარდა?

მოტორი ჩავრთე და მაშინ მივხვდი, რასაც მეუბნებოდა. არც გამოვმხტარვარ მანქანიდან, არც კარი მიმიჯახუნებია. ისე გამოველ ეზოდან, თითქოს ვიპარებოდი. გზისკენ კი არ წაველ, სოფლის თავისკენ ავუხვიე. უცებ, ერთბაშად მომაწვა ცრემლი. ხილოვნის სოფლის თავიც ტირილით გადმოვიარე, ჩემი სოფელიც. არც აყვავებული ტყემლები შემიმჩნევია, არც ვაშლები, არც ატმები. არც მინდვრის ყვავილები მომხვედრია თვალში და არც ასკილის ყვავილის სურნელი მიგრძვნია.

დამინახა დედაჩემმა და გაიოცა, რა მოხდა, რა მოგარბენინებსო. ბიძაჩემის ოჯახში ფეხს არასოდეს, არასოდეს დავადგამ-მეთქი, მარტო ეს ვუთხარი.

იმ დღისით არაფერი. მეორე დილას, რიჟრაჟზე გადმოვიდა ბიძაჩემი, ჯერ ისევ ძილ-ბურანში ვიყავი, თავზე რომ დამადგა:

— ბოდიშის მოსახდელად გადმოველ. ვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდი ვიცვალე — კედლისკენ გადავბრუნდი.

— თურმე ზევითა ტელევიზორზე დამიდვია.

არც ახლა გავეცი ხმა.

— ადე, უშენოდ შინ აღარ მიმესვლეინება.

უარესად რომ დავმუნჯდი და დავყრუვდი, გატრიალდა და წავიდა.

ეს იყო და ეს, მას შემდეგ ხილოვანში აღარ გადავსულვარ. ახლა ვანო გვეწვეოდა ხოლმე შაბათობით. ბიძაჩემი რომ მოდიოდა ჩვენსა, ვცდილობდი არ დავენახე. ასე გავიდა სამი წელიწადი. ერთი საათის წინ კი, ერთი საათისა...

— ბიჭო, — მეუბნება დედაჩემი, — ვის დაემსგავსე ასეთი ურჯუკი! მამასავით გადგას თავზე და შენ კი ხმას არა სცემ. კაცი ამან გააბოროტა და დავიღუპეთ: ავარიაში მოხვედრილა, — გვერდზე მიაბრუნა თავი და ასლუკუნდა. ნატომაც ხელებში ჩარგო თავი.

რაო, ლადო ძია ავარიაში მოყვაო?! მაშინვე წამოვხტი, ხილოვნისკენ გავენთე. მივრბივარ და ცრემლის ღვიარება ჩამომდის. რა დრო გავიდა, აღარ მახსოვს. კარს მივაწყდი და ვხედავ: ბიძაჩემი სავარძელში ზის და ტელევიზორს უყურებს. ყველანი შინ არიან.

— ვა! — ტაში შემოჰკრა ვანომ.

დამინახა ბიძაჩემმა და წამოდგა:

— მოდი, შვილო, მოდი! — ხელები გაშალა.

მოვეხვიე, თან ისევ ვტიროდი.

ლია ძალოც ტიროდა.



# დავით აღმაშენებელი და სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის საკითხი

1089 წელს, როცა დავით IV საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა, ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. XI ს. 60-იანი წლებიდან საქართველოს მოევლინენ თურქ-სელჩუკნი, რომელნიც „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქვეყანისასა, ვითარცა მკალნი". ე. წ. „დიდმა თურქობამ" სახელმწიფო დაღუპვის პირამდე მიიყვანა. მეფის ხელისუფლება ფაქტიურად მხოლოდ ლიხთ-იმერით შემოიფარგლა, ხოლო ქართულ ფეოდალურ მეურნეობას თავისი საფუძველი — მიწა გამოეცალა. სელჩუკები თავიანთი ოჯახებითა და ჯოგებით მოდიან, სახლდებიან დაპყრობილ ტერიტორიებზე და საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ინტენსიურ მეურნეობას (მებაღეობა, მემინდვრეობა, მევენახეობა) ექსტენსიური მომთაბარულ-მეჯოგური მესაქონლეობით ცვლიან. ქვეყანას მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის საშიშროება დაემუქრა. დავითის ისტორიკოსის სიტყვებით: „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა..." დიოდნენ „მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა". შექმნილ ვითარებას ზედ დაერთო ძლიერი მიწისძვრა, როცა „მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა" იქცნენ და რამაც სამეფოს დიდი ეკონომიკური ზარალი მოუტანა. ქვეყანა დამპყრობელთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისა და დიდი რეფორმატულ-აღმშენებლობითი სამუშაოების ორგანიზატორს საჭიროებდა.

დავით აღმაშენებლის მამა — გიორგი II მაშინ, როცა „არა სადათ იყო ღონე ხსნისა და შეწევნისა, არცა დამხსნელი ამათ ძვირთა", ძალდატანებით თუ ნებით თავად ადგამს გვირგვინს თავის ვაჟს — „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან". ეს „მზე" დავით აღმაშენებელია. ისტორიამ მას უმძიმესი ამოცანების გადაჭრა დააკისრა: აშლილი ქვეყნის აღორძინება, დიდ ფეოდალთა სეპარატისტული მისწრაფებების აღაგმვა, თურქ-სელჩუკთა განდევნა, სრული დამოუკიდებლობის აღდგენა და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. დავით IV-მ გარშემო შემოიკრიბა ერთგული, ქვეყნისათვის თავდადებულ მოღვაწეთა დასი, გონივრულად განჭვრიტა ისტორიული მოვლენების განვითარების პერსპექტივები და სახელმწიფო პოლიტიკა გეგმაზომიერად და მიზანდასახულად წარმართა.

უპირველესი ამოცანა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ საშინაო საქმეების მოგვარების შემდეგ შეიძლებოდა. დავითმა ლაშქრის ორგანიზაციით დაიწყო. სელჩუკთაგან მრავალგზის „დაჯაბნული" მოლაშქრენი „თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი" იყვნენ. დავით აღმაშენებელი თავისი მოღვაწეობის პირველსავე წლებში თანდათან საფუძველს უყრის ქართული ლაშქრის ისეთ სახეს, რომელსაც ჩვენ მთელი XII საუკუნის განმავლობაში და XIII საუკუნის დამდეგისათვის ვხედავთ საქართველოში. დავით აღმაშენებელი მცირე რაზმებით თავს ესხმის ქართლში ჩასახლებულ თურქებს და ერეკება მათ, რაც მთაში გახიზნულ ქართულ მოსახლეობას საშუალებას აძლევს, თავის ნაფუძარს დაუბრუნდეს. „და სოფლებადცა იწყეს შთამოსვლად და დასხდომად", — აღნიშნავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. პირველმა წარმატებულმა ბრძოლებმა დიდი როლი ითამაშა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისა და ამაღლების საქმეში — დემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რალიზებული ლაშქარი იბრუნებს საკუთარი ძალებისადმი რწმენას, ხოლო თავად ქართულ მოსახლეობაში ქრება მითი თურქთა უძლეველობისა.

ამ ბრძოლების პარალელურად, ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარების მიზნით, დავით აღმაშენებელი განსაკუთრებული სიმკაცრით იბრძვის დიდგვარიან ფეოდალთა სეპარატიზმის წინააღმდეგ, რომელთაც მეფის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლით მანამდეც არაერთხელ „აუშლია“ ქვეყანა. უპირველესი ამ მხრივ ბაღვაშთა ძლიერი ფეოდალური სახლი იყო. დავით მეფე დარწმუნდა, რომ როგორც „კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“, ისე ლიპარიტ ბაღვაშიც არ შეწყვეტს თავის „მამულ-პაპურთა კუალთა სლვას“, ამიტომ 1097 წ. შეიპყრო იგი და ბიზანტიაში გააძევა. საბოლოოდ, სამეფო ხელისუფლებამ ბაღვაშთა საერისთავოც გააუქმა. ასევე უკომპრომისო იყო დავით IV-ის ბრძოლა აბულეთისძეთა ურჩი სახლის წინააღმდეგ. სამეფო ტახტის ასეთმა მკაცრმა მოთხოვნამ საერო საქმის ერთგულებისადმი, საბოლოოდ, დიდი როლი შეასრულა ერთიანი ძლიერი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნაში.

XI ს. ბოლოს ქვეყნის შიგნით უკვე მომზადებული იყო ნიადაგი საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღსადგენად. დავით აღმაშენებელი ამავე დროს ითვალისწინებს ხელსაყრელ საგარეო ვითარებას — შინააშლილობას თურქ-სელჩუკთა სამეფოში და „ქრისტეს საფლავის“ გასათავისუფლებლად ევროპიდან დაძრულ ჯვაროსანთა ლაშქრობების შედეგებს, და სულთანს ხარკის გადახდას უწყვეტს. სულთანისათვის „არღარა ხარაჯის მიცემას“ თანდათანობით მოჰყვა თურქ-სელჩუკთა ფეხის ამოკვეთა საქართველოს მიწაწყლიდან. ამრიგად, XI ს. ბოლოს დავით აღმაშენებელმა სულ რაღაც 8-10 წელიწადში შეძლო ქვეყნის მომძლავრება და უპირველესი მიზნის მიღწევა — საქართველოს სამეფოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა.

ხელისუფლების ცენტრალიზაციის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიის პოზიციას. ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ უდიდესი როლი შეასრულა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების, სახელმწიფოს ერთიანობის, კულტურული მთლიანობისა და ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში. დავით აღმაშენებლის სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთკავშირი. XI-XII სს. ეკლესიაში ძლიერი იყო ფეოდალური არისტოკრატიის გავლენა, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი ამ პერიოდში ფესვგამდგარმა მემკვიდრეობითმა წესმა, რომლის ძალითაც უმაღლესი საეკლესიო თანამდებობების დაკავება მხოლოდ მაღალი წოდების წარმომადგენლებს შეეძლოთ. ეკლესია სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგეთა საკრებულოდ იქცა. ბუნებრივია, გაძლიერებულ ეკლესიას ხელს არ აძლევდა ძლიერი საერო ხელისუფლება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებით, „წმინდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს“. ერთიანი ძლიერი ქართული ფეოდალური მონარქიის შესაქმნელად სამეფო ტახტს უნდა დაემარცხებინა „ულირსთა“ ძლიერი ოპოზიცია, განედევნა ისინი ეკლესიიდან, აღეკვეთა საეკლესიო წესთა დარღვევის შემთხვევები და ეკლესიის საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება მოეპოვებინა. 1103 (ზოგის მოსაზრებით — 1104 ან 1105 წ.) წელს დავითმა მოიწვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომლის ძეგლისწერითაც არაღირსებისამებრ აღზევებული მღვდელმსახურნი განდევნილი იქნენ ეკლესიიდან და მათ ადგილზე სამეფო ტახტის ერთგული პირები დაინიშნენ. საეკლესიო რეფორმებმა, რომლებიც ამ კრების მეშვეობით განხორციელდა, უზრუნველყო საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთიანობის საკითხი. დიდგვარიანთა რეაქციულ ოპოზიციას ჩამოშორდა დიდი ზნეობრივი და ნივთიერი ძალის მქონე საქართველოს ეკლესია. ამან შექმნა საფუძველი დავითის ხელისუფლების სიძლიერისა და „თვითმპყრობელობისათვის“.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრე-

ბის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საერო ხელისუფლებასა და ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას შორის მოპოვებული ერთიანობის განმტკიცების საკითხი, რის შედეგადაც სამეფო ტახტს საეკლესიო საქმეებში უმტკივნეულოდ ჩარევის საშუალება უნდა მისცემოდა. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ისახავდა დავით აღმაშენებელი მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობების გაერთიანებით.

შემთხვევითი არ იყო, რომ დიდმა დავითმა სწორედ ეს ორი „სახელო“ (თანამდებობა) გააერთიანა. მწიგნობართუხუცესი, როგორც ბერი და სამეფოს უპირველესი ვაზირი, ყოველთვის დაინტერესებული იყო სამეფო ხელისუფლების სიძლიერით. ასევე, იყო ბერძნული ეკლესიის საპირისპიროდ აღზევებული ჭყონდიდის ეპისკოპოსი, რომელიც კათალიკოსის შემდეგ ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა და სამეფო ტახტისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდა. დავით აღმაშენებელმა სწორედ ორი ასეთი „სახელო“ გააერთიანა და, როგორც ჩანს, უშუალოდ რუისურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ, 1104-1105 წ.წ., შექმნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა. ამიერიდან მეფის უპირველეს ვაზირს — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს საშუალება ეძლევა აშკარად ჩაერიოს საეკლესიო საქმეებში და მისი პოლიტიკა სამეფო ტახტისათვის სასურველი კუთხით წარმართოს.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს მოჰყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვეყნის მართვა-გამგეობაში, ამან კი შექმნა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიისა და ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების არსებობის საფუძველი. ამავე დროს, მომზადდა ნიადაგი საქართველოს სამეფოს შემდგომი გაძლიერებისათვის.

დავით ნინიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის კათედრის
მეცნიერ თანამშრომელი.



ალილი
ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 4

## შველი

კვირა დღე იყო. ლოგინში ვნებივრობდი. უცებ რეზოს ხმა მომესმა. მე მეძახდა.

ფანჯრიდან გადავიხედე. შემოდიმეთქი, გავძახე.

— ბიძინას ხომ იცნობ, — შემოვიდა თუ არა, მკითხა, — გოგეშვილს?

ვიცნობდი.

— აგე, — რეზომ პატარა წიგნი ამოიღო უბიდან. — წიგნი დაუწერია ფრინველებზე, ცხოველებზე, ბუნებაზე. ჰოდა, იცი, რა ვიფიქრე? ჩვენი კლასი ხომ ტყის მეგობარია, მოდი, მოვიწვიოთ, შეხვედრა გავუმართოთ, ჰა?

მომეწონა რეზოს ჩანაფიქრი.

— კარგია, — წამოვხტი და სწრაფად ჩავიცვი. — აბა, წავედით.

სამიოდე თანაკლასელს გავუარეთ და მდინარის პირას, ჩეროში დავსხედით. რეზომ წიგნი გადაშალა. პატარა იყო, ორმოციოდე წუთში მორჩა კითხვას. მოგვეწონა.

მეორე დღეს მე და რეზო წავედით ახალგაზრდა მწერლის მოსაწვევად. ტყისპირს მივუყვებოდით. მდინარეზე ფონი მოვნახეთ და გადავედით. შარვლის ტოტები დაგვისველდა. გავიხადეთ, გავწურეთ და ის იყო ჩავიცვით, რომ თავზე სამი მონადირე წამოგვადგა. ერთი მათგანი გოგეშვილი იყო. გაგვიხარდა.

— ბიძინა ბიძია, — მივმართე აღელვებულმა, — თქვენი წიგნი წავიკითხეთ და გადავწყვიტეთ, ჩვენს კლასთან შეხვედრაზე მოგიწვიოთ... კიდევ ვაპირებდი რაღაცის თქმას, მაგრამ უცებ ხმა ჩამიწყდა: ბიძინას ერთ თანამგზავრს მოკლული შველი მოეგდო ბეჭებზე.

— ბიძინა ბიძია... — ჩურჩულით აღმოხდა რეზოს.

მე მოკლულ შველს თვალს ვერ ვაცილებდი.

— რაო, მოგწონს? — მკითხა სახეგაბადრულმა ბიძინამ. — ერთი სროლით გავაგორე. მწვადზე გეპატიჟებით. შეხვედრაზე მერე ვილაპარაკოთ.

— არა, არა! გვაპატიეთ! შევცდით! — საიდანღაც შორიდან, ყრუდ მომესმა საკუთარი ხმა. შემაკრთო ამ ხმამ. მე და რეზო ადგილს მოვწყდით და უკანმოუხედავად გავიქეცით.

— რა მოგეჩვენათ, რა მოხდა?! — მოგვწვდა ბიძინას გაკვირვებული შეძახილი.

ჩამოხუთული დღე იყო, მძიმე და ბლანტი...

იაგო აგსავა,
თბილისი, 36-ე საშუალო
სკოლა. VI კლასი.

## ჩვენი საყვარელი მასწავლებელი

მე და ჩემს ამხანაგებს გვიყვარს ჩვენი სკოლა და აღმზრდელები, მაგრამ, ვფიქრობ, არც ერთ მათგანს არ ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ გამორჩევით გვიყვარს ანა თათულიშვილი. ანა მასწავლებელი ჩვენ ქიმიას გვასწავლის. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი პედაგოგია, თითქოს არც განსაკუთრებულს აკეთებს რაიმეს, არც თეორიულ ნაშრომებს ქმნის ბავშვთა სწავლება-აღზრდის პრობლემებზე. ცხოვრობს და შრომობს უპრეტენზიოდ, გვიღვივებს ცოდნის სურვილს, შრომის მოთხოვნილებას, სამშობლოს სიყვარულს...

ამასთან, იგი გამორჩეულად სათნო და სიკეთით სავსე პიროვნებაა, ფანატიკოსი პედაგოგი, მართლაც რომ მოწოდებული ბავშვებთან მუშაობისათვის. ამიტომ გვიყვარს და მოგვწონს ის ჩვენ, ამიტომ უყვართ და მოსწონთ ის არა მარტო სკოლაში, არამედ მთელ სოფელშიც. ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი გვიხარია და გვეამაყება, რომ ასეთი — ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი მასწავლებელი გვყავს.

მთვარისა ქოჩიევა,
თელავი, სანიორეს საშუალო სკოლა, X კლასი.

## სიყვარული გავაფანეთ

როცა ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ პროსპექტს დავით აღმაშენებლის სახელი ეწოდა, სკოლაში ზეიმი გავმართეთ.

იმავე დღეს ჩვენს საკლასო ოთახში ყულაბა დავდგით — კლასს თავისი წვლილის შეტანა სურდა დიდი დავითის ძეგლის აგებაში.

ყულაბა რომ გავხსენით, შიგ 105 მანეთი აღმოჩნდა. ეს თანხა კონვერტში მოვათავსეთ და ყველანი დავით აღმაშენებლის პროსპექტს ვეწვიეთ. ჩვენი კლასის ხელმძღვანელი, მასწავლებელი იზო სართანიაც ჩვენთან ერთად იყო.

დიდ სახალხო ყულაბასთან რომ მივედით, თითოეულმა ჩვენგანმა ხელი მოუთათუნა კონვერტს, თითქოს სიყვარულს ვატანდით თან იმ პატარა თანხას, აღმაშენებლის სახელთან რომ იყო დაკავშირებული.

ზაზა ანთაძე,
თბილისი, მე-100 საშუალო სკოლა, V კლასი.

## მამამ ასე დამარიგა

მამამ ასე დამარიგა:
ხულ იყავი ალალიო,
სხვისი შრომა დააფასე,
არ ინდომო არაშიო,
გზად უფროსი თუ შემოგხვდა,
შენ დაასწარ სალამიო,
ავადმყოფი შეიბრალე —
მიუტანე წამალიო,
სხვისი რამ ნუ შეგშურდება,
შენი გქონს ალალიო,
შენი სამშობლო გიყვარდეს —
ყველაფერზე მთავარიო.

მაკა ბულბიანი,
ქუთაისი, მე-17 საშუალო სკოლა, VI კლასი.

# მზისმობილები...
## ოცნება და სინამდვილე



ანდრე კარბელაშვილი

დიდმა თუ პატარამ კარგად იცის, როგორ აჭუჭყიანებენ ჰაერს ავტომობილები გამონაბოლქვი აირებით. ეს უკვე საყოველთაო პრობლემად იქცა და კარგა ხანია ეძებენ ენერგიის წყაროს, რომელიც ბენზინის ძრავაზე უარის თქმის საშუალებას მოგვცემდა.

მეცნიერების, ინჟინრებისა და კონსტრუქტორების ერთ ნაწილს მიზანშეწონილად მიაჩნია ავტომობილების აკუმულატორებით აღჭურვა და მათგან მიღებული ელექტროენერგიით მოძრაობა. ასეთ მანქანებს ელექტრომობილები ეწოდება.

ახლა მოგაგონებთ, რა დიდი ინტერესი გამოიჩინა პირველი აკუმულატორების მიმართ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალმა გაზეთმა „ივერიამ".

„მეცნიერებამ შესძლო და მოახერხა ძალის შეგროვება, შენახვა, ისე, როგორც ჩვენ, მაგალითად, ვინახავთ ხოლმე ზაფხულის ხილს საზამთროდ. ეს შენახული, თითქოს წნილად ჩადებული, შეგიძლიათ იხმაროთ სადაც გინდათ, როდესაც გინდათ და რამდენიც გინდათ. იმ ნივთს, ჭურჭელს, იარაღს, — რაც გინდათ დაუძახეთ, — სადაც შეგროვილი ძალა ინახება, ცოტა ძნელად გამოსათქმელი სახელი ჰქვიან, მაგრამ მალე მთელ ქვეყანაზე მოიფინება ეს სახელი, და მაშინ არავის გაუჭირდება სიტყვა: „აკუმულატორი"...

„ივერიის" რწმენით, აკუმულატორების ძალით შესაძლებელი იქნებოდა ემოძრავათ ეტლებსა და დილიჟანებს. „მალე ცხენის მაგივრობასაც გაგვიწევს აკუმულატორი, კარგი იქნება, ღმერთმანი! მე ვიცი, სასმელსა და საჭმელს მოგვთხოვს, ან მოვლა მოუნდება!.." — წერდა გაზეთი.

მას შემდეგ ათეული წლები გავიდა. ბენზინის ძრავების კონსტრუქციების სწრაფმა სრულყოფამ თანდათან ჩრდილში მოაქცია ტრანსპორტზე აკუმულატორების გამოყენების იდეა. დღეს კი, როცა ადამიანებმა აშკარად დაინახეს, რომ გარემოს გაჭუჭყიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ბენზინის ძრავებია, ელექტრომობილებმა წინა პლანზე გადმოინაცვლეს.

ელექტრომობილი გამოჩნდა, მაგალითად, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში. მისი აკუმულატორები უზრუნველყოფენ 50-60 კილომეტრის გარბენას დაუმუხტავად. ტვირთამწეობა 300 კილოგრამია. მანქანა საათში 60 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობს. ფინელებს ძალზე მოსწონთ ეს ელექტრომობილი და მიღებულია გადაწყვეტილება მისი სერიული გამოშვების შესახებ.

როგორაა საქმე ჩვენში?

ამას წინათ რიგაში გამოჩნდა თეთრი მიკროავტობუსი „რაფ-ელექტ-

რო". აკუმულატორების ბატარეა სალონშია მოთავსებული, მაგრამ მას მცირე ადგილი უკავია. მიკროავტობუსს პროდუქტები მიაქვს სასადილოებში, კაფეებში, რესტორნებში.

საბჭოთა სპეციალისტებმა ელექტრომობილების რამდენიმე ექსპერიმენტული მოდელი შექმნეს. მათ შორისაა ელექტრომობილი ვაზ-2802. მას შეუძლია განავითაროს საათში 78 კილომეტრი სიჩქარე და გადაიტანოს 500 კილოგრამი ტვირთი. აკუმულატორების წონა 423 კილოგრამია. ელექტროძრავა მანქანის წინა ნაწილშია მოთავსებული, მისი სიმძლავრე 25 კილოვატია.

აკუმულატორების ბატარეა, რომელიც ელექტრომობილებზე გამოიყენება, არა მარტო საშუალებას იძლევა დაიზოგოს ნავთობპროდუქტები, არამედ, რაც მთავარია, გარემოს იცავს გაჭუჭყიანებისაგან.

მაშ, უფრო ხშირად რატომ არ ვხვდებით ელექტრომობილებს?

ელექტრომობილის მთავარი პრობლემა კვების წყაროა. ტყვიის აკუმულატორები მძიმეა, მცირეა მათი ენერგოტევადობა და ექსპლუატაციის ვადა. გარდა ამისა, მათ სჭირდებათ ელექტროენერგია აკუმულატორების დასამუხტავად. თუ ასეთი მანქანების გამოშვება მკვეთრად გაიზრდება, მათ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეები დასჭირდებათ. საჭირო გახდება გზებზე ბენზინის გამმართველი სადგურების ნაცვლად ელექტროგამმართველი სადგურების მოწყობა, სადაც შეიძლება ელექტრომობილების დამუხტვა.

იქნებ ელექტრომობილებს საკუთარი, ავტონომიური კვება მოვუწყოთ აკუმულატორების დასამუხტავად? მაგრამ როგორ?

მოდით, ისევ მივმართოთ ილიასეულ „ივერიას":

„...ვერც ქარი და ვერც წყალი, რასაკვირველია, ვერ შეედრება იმ დიდსა და უძლეველს ძალას, რასაც მზე გვაძლევს. მზე ასულდგმულებს ჩვენს დედამიწას, მზე აძლევს სიცოცხლეს ყოველს სულდგმულსა და მცენარეს და მაინც კიდევ რამდენი ძალა იკარგება ტყუილ-უბრალოდ. მეცნიერება დიდი ხანია ფიქრობს, რაიმე საქმეში გამოიყენოს ეს აუარებელი და დაუსრულებელი ძალა, მოახერხოს და ზოგიერთ საქმეში გამოიყენოს მზის ძალა.

მაგრამ ერთი დიდი და ძნელად თავიდამ ასაცილებელი დაბრკოლება ის იყო, რომ ეს ძალა დაუდგრომელია, მზიან-ჩრდილიანი, როგორც თვით მზე: მზიან ამინდში თუ ბლომად გვაქვს ეს ძალა, უმზეო დღეს უნდა იჯდე და გულხელდაკრეფილი შეჰყურო, აბა როდის გამოაშუქებს და თავის ძალას მოგვაწოდებსო". და შემდეგ: „აი, მზის ძალის შეგროვება და შენახვა რომ შეიძლებოდეს აკუმულატორის შემწეობით, მაშინ სულ სხვა საქმე იქნებოდა". დასასრულ: „თუკი დღესაც მეცნიერებამ იმდენად ხელი ჩაჰკიდა მზეს, რომ ამის ძალას საქმეში ხმარობს და ბორბლებსაც ატრიალებს, მაშინ დიდი მანძილი აღარ დარჩენილა, რომ მზის ძალას ფერი ვუცვალოთ, სხვაგვარ ძალად გარდავქმნათ, შევამწყვდიოთ და შევინახოთ აკუმულატორებში ისე, როგორც დღეს ელექტრონს ვუშვებით".



მინი ავტომანქანა „პინგვინი". გფრ

და დღეს ასრულდა ილიასეული გაზეთის დიდი ოცნება: აკუმულატორები მზის სხივებით იმუხტებიან.

ადამიანის გენიამ მზის ძალას სახე უცვალა და უშუალოდ ელექტრობად გარდაქმნა. ეს პროცესი მზის მოდულებით ხორციელდება. უკანასკნელ წლებში მოდულები სულ უფრო დიდ გამოყენებას პოულობენ ტრანსპორტში. ასეთ ავტომობილებს „მზისმობილები" დაარქვეს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ აშშ-ში, ლოს-ანჯელესის ქუჩებში გამოჩნდა ერთი თითქოსდა ჩვეულებრივი ავტომობილი, რომელიც გარეგნულად თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ათასობით სხვა მანქანისაგან. ეს იყო კომფორტაბელური ავტომობილი „ჰონდა". საჭესთან მჯდომი ფილოსოფიის პროფესორი მური მშვიდად მართავდა მას. თუმცა, თუ კარგად დააკვირდებოდი, უთუოდ შენიშნავდი მანქანის სახურავზე მოწყობილ სქელ პანელს. იგი მზის მოდულებს შეიცავდა.

პანელზე მოხვედრილი მზის სხივების ენერგია გარდაიქმნება ელექტროენერგიად. აი, ამ გარდაქმნის შედეგად მიღებული ელექტროენერგიის წყალობით დასეირნობს ხშირად ლოს-ანჯელესის ქუჩებში პროფესორი მური თავისი ოჯახის წევრებთან ერთად.

მოკლედ გაგაცნობთ ამ ელექტრომობილის ტექნიკურ მონაცემებს. მანქანის სახურავზე მზის ელემენტებიანი ცხრა მოდულია. თითოეულს 10,6 ვატი სიმძლავრე აქვს, რომლებიც 6 აკუმულატორს მუხტავენ. მოდული 44 მზის ელემენტისგან შედგება. მისი ღირებულება 317 დოლარია, მაგრამ ეს ღირებულება შეიძლება განახევრდეს, თუკი გამომავალი სიმძლავრე გაიზრდება. მანქანას ორი ელექტროძრავა აქვს, თითოეულის სიმძლავრე 2,58 კილოვატია.

ახლა კი ისეთ ავტომობილებზე გიამბობთ, რომლებსაც აკუმულატორები არა აქვთ და უშუალოდ მზის სხივებით მოძრაობენ. ასეთ მანქანებს მზისმობილები ეწოდება.

ამას წინათ შვეიცარიის ალპებში 400 კილომეტრის სიგრძის ტრასაზე გაიმართა 58 მზისმობილის შეჯიბრება. მზე უხვად ანათებდა და ერთიმეორის მიყოლებით მისრიალებდნენ ტრასაზე ლამაზი მანქანები.

ფინიშთან პირველი მივიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმა „მერსედეს-ბენცის", ხო-

ლო მეორე — შვეიცარიის ფირმა „ალფა-რეალის“ მზისმობილები.

ძალზე საინტერესო გამოდგა „მარათონული გარბენა“ ავსტრალიაში. აქ მზისმობილებმა გაიარეს 3120 კილომეტრი ქალაქ დარვინიდან ადელაიდამდე. მონაწილეობდა 17 სხვადასხვა კონსტრუქციის მანქანა, რომლებიც მხოლოდ მზის ენერგიით მოძრაობდნენ. გაიმარჯვა ფირმა „ჯენერალ მოტორსის“ მარკის მანქანა „სანრეისერმა“. მასში ერთი კაცი ეტევა. საათში ეს მზისმობილი ზოგჯერ 40 კილომეტრს გადიოდა.

შვეიცარიაში დაამზადეს მზისმობილი, რომელსაც მიბმული აქვს ორი სამგზავრო საზიდარი. მათში ათობით კაცი ეტევა. მზისმობილს ტურისტები ისეთ ადგილებში მიჰყავს, სადაც ჩვეულებრივი ტრანსპორტის გავლა ეკოლოგიურად დაუშვებელია.

საკუთარი კონსტრუქციის მზისმობილები დაამზადა ერთ-ერთი შვეიცარული ოტელის მეპატრონემ ა. კისტლერმა. იგი ამ მანქანებს ტურისტებს აქირავებს ხოლმე, ბევრს სურს ისეირნოს მანქანით, რომელიც სამართავად ძალზე მარტივია და თანაც — უხმაურო.

გფრ-ში პირველად ოფიციალურად რეგისტრირებულია მზის პანელებით აღჭურვილი ორადგილიანი მინი ავტომობილი „პინგვინი“, რომელიც საათში 50 კილომეტრს გადის.

ამავე ქვეყანაში ერთმა გამომგონებელმა შექმნა ერთადგილიანი მანქანა, რომლის ზედაპირის 8 კვადრატული მეტრი ფართობი მთლიანად მზის მოდულებითაა დაფარული. ამის შედეგად მიღებული ელექტროენერგია საშუალებას იძლევა, მზისმობილმა განავითაროს საათში 130 კილომეტრი სიჩქარე.

ძნელია ითქვას, როდის გამოჩნდებიან თბილისში და საქართველოს გზებზე ეკოლოგიურად „სუფთა“ ავტომობილები, რომლებიც ელექტროენერგიას უშუალოდ მზის სხივებიდან მიიღებენ. მაგრამ ცხადია, რომ ეს აუცილებლად მოხდება, რადგან მზე არის და იქნება ადამიანის ყველაზე უერთგულესი მეგობარი და ენერგიის უშრეტი წყარო.

# ამერიკული ფეხბურთი



ეს თამაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუმცა დასაბამს იგი ინგლისური რეგბისაგან იღებს, ახლა მხოლოდ ნაწილობრივ ჰგავს თავის წინამორბედს და მკვეთრად განსხვავდება იმ ფეხბურთისაგანაც, რომელსაც მთელ მსოფლიოში თამაშობენ.

ამერიკულმა ფეხბურთმა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა მას შემდეგ, რაც 1869 წელს პირველი მატჩი მოეწყო ქვეყნის აღმოსავლეთის ორი უმაღლესი სასწავლებლის — პრინსტონისა და როტგერის საუნივერსიტეტო გუნდებს შორის.

საფეხბურთო მინდვრის სიგრძე 91 მეტრია. თამაშის მთავარი მიზანია მეტოქის დაცვის გადალახვით ბურთის პირითი ხაზის იქით გატანა. ამას სჭირდება მოიერიშე გუნდის ტაქტიკური ხერხების მრავალფეროვანი სერია, ათასნაირი ხრიკი და ეშმაკობა, რათა მოთამაშეებმა მეტოქეს გვერდი აუარონ და პოზიცია აურიონ. თავდამსხმელებს უფლება არა აქვთ, ხელით შეეხონ მეტოქის მოთამაშეებს, მათ მხოლოდ ტანით შეუძლიათ მოქმედება, როცა თავიანთ ბურთიან მოთამაშეს იცავენ. იმ გუნდს, რომელიც თავს იცავს, შეუძლია ხელებიც იხმაროს, რათა შეტევა მოიგერიოს და ბურთიანი მოთამაშე შეაჩეროს. ბურთით წინ გაჭრის ცდას „დაუნი“ („მიწაზე დაშვება“) ჰქვია. როცა მეტოქე შეძლებს ბურთიანი მოთამაშის შეჩერებას, თამაში წყდება. თუ მოიერიშე მხარე ოთხი „დაუნის“ განმავლობაში 10 მეტრზე მეტს ვერ წაიწევს წინ, იგი იძულებულია ბურთი მოწინააღმდეგე მხარეს დაუთმოს და დაცვაზე გადავიდეს.

როგორც კი დამცველი გუნდი მეტოქის ბურთიან მოთამაშეს დაიჭერს, გაისმის სასტვენის ხმა. თამაში წყდება და ორივე გუნდი ახალი „დაუნისათვის“ ემზადება.



მატჩი ერთ საათს გრძელდება. მაგრამ გამოანგარიშებულია, რომ საკუთრივ თამაშზე სულ 15 წუთი იხარჯება. დანარჩენი დრო მოიერიშეებს სჭირდებათ იმისათვის, რომ თავი დააღწიონ დაცვას, რომელიც ადგილებს იცვლის და თან ფხიზლად ადევნებს თვალს მეტოქის მოქმედებას. მაგრამ სწორედ ეს მოჩვენებითი უმოქმედობის 45 წუთი ანიჭებს მაყურებელს ყველაზე დიდ სიამოვნებას.

თითოეულ გუნდში 11 მოთამაშეა და ჩვეულებრივი განლაგების დროს ასე გამოიყურებიან: მოიერიშე გუნდის შვიდი მოთამაშე ერთ რიგად დგება, მათ წინ დევს ბურთი;



ისინი წელში მოხრილი დგანან და მზად არიან, რომ მსაჯის პირველსავე ნიშანზე წინ გაიჭრან. ეს შვიდი მოთამაშე ქმნის ეგრეთ წოდებულ „მწყობრს". მათ ყველაზე უფრო ათლეტური, ღონიერი მოთამაშეებისაგან ირჩევენ. ერთ-ერთი მათგანი „ცენტრია". იგი მზადაა, მსაჯის ნიშნისთანავე ხელი სტაცოს ბურთს და ფეხებს შორის უკან ტყორცნოს პარტნიორისაკენ. ამ უკანასკნელმა ბურთით წინ უნდა იმოძრაოს. „მწყობრს" უკან დგას დანარჩენი ოთხი მოთამაშე, რომელთაგან ყველას შეუძლია, ბურთითურთ გაიჭრას წინ. მათ ჰქვიათ „კვარტერბეკი", „ფულბეკი" და „ჰავბეკი". „ჰავბეკებს" (ისინი ორი არიან), ჩვეულებრივ, უფრო სწრაფი მოთამაშეებისაგან, კარგი მორბენლებისაგან არჩევენ, ვინაიდან მათ დაცვის ხაზს ფლანგიდან უნდა შეუტიონ. „ფულბეკი" წონით სხვებზე მძიმეა, მას ხშირად უხდება წინ გაჭრა, დაცვის ხაზის გარღვევა. თამაშს წარმართავს „კვარტერბეკი" — გუნდის სტრატეგი, რომელიც ზოგჯერ თვითონ ატარებს ბურთს ან ხელს უშლის დაცვის მოთამაშეს ბურთით წინ გაჭრილი თავდამსხმელის დაჭერაში.

გუნდი, რომელიც თავს იცავს, ჩვეულებრივ, „მწყობრში" ექვს მოთამაშეს აყენებს. დანარჩენი ხუთი თავისუფლად ნაწილდება ამ ხაზის უკან და მზადაა, დაიცვას ამხანაგები.

ცენტრიდან ბურთის გადაცემის დროს ბურთიანი მოთამაშე წინ კი არ გარბის, არამედ უკან იხევს, ცდილობს დაუსხლტეს მეტოქეს, ვიდრე მისი გუნდის რომელიმე წევრი დაცვას არ გაექცევა. მაშინ ბურთი სწრაფად გადაეცემა ამ უკანასკნელს. თუ იგი ბურთს ვერ დაიჭერს, ან დაიჭერს, მაგრამ გაუვარდება, მოთამაშენი შეჩერდებიან და ბურთი გადაეცემა მოიერიშე გუნდს იმ ადგილას, საიდანაც იგი პირველად გადასცეს. როცა დაცვის მოთამაშე გადაცემის მიღებას მოახერხებს, მას შეუძლია მეტოქის კარისაკენ გაიჭრას და დაცვა ბურთის მიღებისთანავე თავდასხმად იქცევა.

ბურთის მიწაზე დაშვება მინდვრის პირით ხაზს უკან მხოლოდ ერთ-ერთია იმ ოთხი ხერხიდან, რისთვისაც მეტოქეებს ქულები ეძლევათ. ამას „ტაჩ დაუნი" ჰქვია, იგი 6 ქულას იძლევა. იქვე შეიძლება კიდევ ერთი ქულის მიღება, თუ ფეხბურთელები ზუსტად გამოიყენებენ თავისუფალ დარტყმას 40 მეტრიდან. ქულების მიღების ერთ-ერთი ხერხია „ფილდგოლი" — ბურთის გატანა თამაშის მომენტში, რაც 3 ქულას იძლევა. ამ ხერხს უფრო პროფესიონალები იყენებენ, რადგან მათ კარი უფრო ახლოს უდგათ. თუ მოთამაშე საკუთარი მოედნის პირით ხაზს უკან გადაისროლეს ბურთიანად, მისი გუნდი 2 ქულას კარგავს.

მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ხანმოკლეა, საფეხბურთო მატჩის მონაწილეები დიდ ფიზიკურ დატვირთვას იღებენ. წესებით ნებადართულია მოთამაშეთა შეცვლა. ეს ხდება ან მოთამაშის დაშავების შემთხვევაში, ან ტაქტიკური მიზნით, როცა საჭიროა თამაშში „ფილდგოლის" სპეციალისტების ან გადამცემების ჩაბმა.

ამერიკულ ფეხბურთს ფიზიკურად ძლიერი და სწრაფი მამაკაცები თამაშობენ. ამიტომ იქაურ კლუბებში ბლომად არიან წარსულში სპორტის სხვადასხვა სახეობებში სახელმოხვეჭილი სპორტსმენები.

ცნობილი საბჭოთა სატირიკოსი მწერლების ილია ილფისა და ევგენი პეტროვის პოპულარულ წიგნში „ერთსართულიანი ამერიკა" ერთი თავი დათმობილი აქვს ამერიკული ფეხბურთის აღწერას.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ წიგნიდან:

„იცით, რა არის ამერიკული ფეხბურთი? უდიდესი სტადიონი, ერთ ადგილზე ადამიანებისა და ავტომობილების უდიდესი თავმოყრა, უმძლავრესი ბლავილი, როგორიც კი შეიძლება გამოსცეს სულიერმა, რომელსაც აქვს ორი ხელი, ერთი თავი და გვერდზე მოქცეული შლიაპა. ეს არის უდიდესი სალარო, საგანგებო საფეხბურთო პრესა და განსაკუთრებული საფეხბურთო ლიტერატურა (მოთხრობები, ამბები და რომანები ფეხბურთელების ცხოვრებიდან). ამერიკაში დიდი საფეხბურთო შეჯიბრი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე სიმფონიური მუსიკის კონცერტი ტოსკანინის დირიჟორობით, ქარიშხალი ფლორიდაში, ომი ევროპაში ან თუნდაც განთქმული მილიონერის ქალიშვილის მოტაცება. თუ რომელიმე ბანდიტს სახელის მოხვეჭა უნდა, მან თავისი სენსაციური დანაშაული არმიისა და ფლოტის საფეხბურთო მატჩის დღეს კი არ უნდა ჩაიდინოს, არამედ სამისოდ უფრო შესაფერი, უფრო მშვიდი დრო მონახოს. მუსოლინიმ, მაგალითად, აბისინიაზე თავდასასხმელად ძალიან შესაფერი მომენტი შეარჩია: იმ დღეს ამერიკაში ფეხბურთის მატჩი არ ტარდებოდა და დუჩემ გაზეთების პირველ გვერდებზე კარგი პაბლისიტი მიიღო. თორემ იქნებ მეორე ან მესამე გვერდებზეც კი მოეყუჩებინათ.."

„ამერიკულ ფეხბურთს ევროპულთან საერთო სრულიად არაფერი აქვს. ეს ორი თამაში ერთიმეორისაგან იმდენად განსხვავდება, რომ როცა ნიუ-იორკის კინოქრონიკის დარბაზში ორი ევროპული გუნდის შეხვედრის ნაწყვეტები უჩვენეს, საზოგადოება სიცილისაგან კინაღამ გაიგუდა.

ჰოდა, ერთხანს ჩვენც ვერასგზით ვერ მოვისაზრეთ, თუ მოედანზე რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდებოდა. ტყავის მუზარადიანები, ცოტა არ იყოს, მყვინთავებივით ჩაცმული ადამიანები, ერთნი წითელ ფორმაში, მეორენი კი — თეთრში, ერთმანეთის წინ დგებოდნენ, ბეჭებში იხრებოდნენ, თავებსაც დაბლა ხრიდნენ და რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იდგნენ. მერე გაისმოდა სასტვენის ხმა და ადამიანები გიჟებივით მოწყდებოდნენ ადგილიდან, წითლები. და თეთრები ერთმანეთში აირეოდნენ და, როგორც ჩვენ გვეჩვენებოდა, ერთიმეორეს ფეხებში აფრინდებოდნენ. ასეთი ალიაქოთი საქათმეში ატყდება ხოლმე, როცა შიგ ქრცვინი შეძვრება. ჩვენ თითქოს ფრთების ფათქუნიც კი გვესმოდა. მერე ყველა ერთიმეორეზე ეცემოდა და სხეულის მოფუთფუთე გროვა შეიქმნებოდა. აქ საზოგადოება ფეხზე წამოდგებოდა და ყვირილს მოჰყვებოდა, მსაჯი უსტვენდა, ფეხბურთელები კი თავიანთ ადგილებს უბრუნდებოდნენ და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

პირველ წუთებში ჩვენ ბურთს ვერც კი ვხედავდით. უფრო ზუსტად, სადღაც კი დავლანდავდით ხოლმე, მაგრამ სულ ერთი ან ორი წამით, მერე ისევ თვალთაგან გვეკარგებოდა. მერე ნელ-ნელა შევეჩვიეთ ბურთისათვის თვალის დევნებას და მდგომარეობის შეფასებას. პირველი შესვენებისას ამერიკულ ფეხბურთში უკვე ვერკვეოდით, ხოლო მეორე შესვენებისას მისი დიდი მცოდნენი გავხდით, საუკეთესო მოთამაშეების გვარებს ვიმეორებდით და სხვა მაყურებელთან ერთად ვღრიალებდით.

აი, რას წარმოადგენს ზოგადად ამერიკული ფეხბურთი: არის ორი გუნდი. ყოველ მათგანს აქვს თავისი კარი, ოღონდ იმ კარს ზედა ძელები არ გააჩნია. ბალახიან მოედანზე თეთრი გარდიგარდმო ხაზებია გავლებული და ყოველ ამ ზოლს ბრძოლით იღებენ. თამაშის წესებს დაწვრილებით აღარ აგიწერთ, ისინი მეტად რთულია. მთავარი ხომ ის არის, თუ როგორ თამაშობენ, ბურთს რას უშვრებიან. ბურთი ტყავისაა, ოღონდ მრგვალი კი არა, მოგრძო. როგორც ჩანს, ეს იმიტომ, რომ შეიძლებოდეს ბურთის მაგრად, მოხერხებულად დაჭერა და მუცელზე მიხუტება. როცა გუნდები ერთიმეორის პირისპირ წელში მოხრილნი ჩამწკრივდებიან, უკან სამი მოთამაშე დგება. ცენტრალური მოთამაშე თავის გაჩაჩხულ ფეხებს შორის ერთ მათგანს ბურთს უკან ესვრის. მოწინაალმდეგე უცბად ვერ ხედავს, ბურთი ვის მიაწოდეს, და დამწყებთა უპირატესობაც სწორედ ამაშია. ბურთის მიმღები კი ბურთს ან ფეხს ურტყამს და შორს, წინ ტყორცნის იმ ვარაუდით, რომ მას ჩემივე გუნდის მოთამაშე დაიჭერსო, ან ცდილობს შეუმჩნევლად თავის პარტნიორს ხელიდან ხელში გადასცეს. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მიმღები ბურთს მუცელზე ან გვერდზე მიიხუტებს და წინ გაქანდება. მოწინააღმდეგეს უფლება აქვს, ხელი ჰკრას, ფეხებში ჩააფრინდეს ან სარმა გამოჰკრას. ზოგჯერ (ეს იშვიათად ხდება და მთელი სტადიონის ოვაციას იწვევს) მოთამაშე ახერხებს ყველა თავდამსხმელს გვერდი აუაროს და ბურთი მოწინააღმდეგე ბანაკის განაპირა ხაზს გადააცილოს. უფრო ხშირად კი დაიჭერენ ხოლმე და მიწაზე წააქცევენ, თუ ამ დროს ბურთი ხელიდან არ გააგდო. შემდგომი ტური იმ ადგილიდან იწყება, სადაც ბურთიანი მოთამაშე წაიქცა. თუ ბურთის მიმღები კარგი მორბენალია, ზოგჯერ იგი უზარმაზარ წრეს არტყამს, რათა მტრებს გვერდი აუაროს, მაგრამ მტრები მალე გამოიცნობენ, ბურთი ამასა აქვსო, და გზის მოსაჭრელად გაქანდებიან. იგი ბურთს მეორეს გადასცემს, მეორე — მესამეს, მაგრამ წინ გაჭრა ძალიან ძნელი და თითქმის შეუძლებელიცაა. ბურთიან კაცს ზოგჯერ მიწაზე გოლიდან უფრო შორს აქცევენ, ვიდრე ტურის დაწყების წუთში იყო, და ამგვარად რამდენიმე ფუტი იკარგება. ტურებს შორის ბურთის მფლობელი გუნდი შემდგომ ტაქტიკაზე თათბირობს. ტრადიციის მიხედვით, ისინი ცოტათი გვერდზე მიდგებიან ხოლმე, წრეს შეკრავენ, ისე, რომ მხოლოდ მოხრილი ზურგები და გაჩაჩხული ფეხები მოჩანს, თავებს ერთმანეთს მიადებენ და ჩურჩულებენ.

მაგრამ აი, ვერაგული გეგმა უკვე შემუშავებულია, მოთამაშეებიც დამწკრივდებიან და მომნუსხველი ძიძგილაობა თავიდან იწყება...“

1989 წლის სექტემბრის დასაწყისში სსრ კავშირში გაიმართება ამერიკული ფეხბურთის საუკეთესო გუნდების საჩვენებელი მატჩები.







გაბრიელ გარჯაძე

ჩვენი წარსულიდან

# ცხრა ძმა ხერხეულიძენი

1625 წლის მარტში, არაგვის ხეობაში, საფურცლის ველზე, ქართლის აჯანყების შედეგად განადგურდა სპარსთა ჭარბი სამხედრო ძალები. განრისხდა შაჰაბაზი, თითქმის მთელი სპარსეთი დასძრა საქართველოზე. მტერმა საქართველოს საზღვარი გადმოლახა და ალგეთის ხეობაში ბანაკი დასცა.

ქართველებმა ქუდზე კაცი გამოიყვანეს მტრის წინააღმდეგ. მტერი ადგილიდან არ იძვროდა. ქართველებმა ცხენთა რემაც მოსხლიტეს სპარსელებს, მაგრამ მაინც ადგილიდან ვერ დაძრეს. მაშინ მიუხტნენ ქართველნი. ბრძოლა მარაბდის ველზე მოხდა. სპარსელებმა ათასობით თოფი დააქუხეს. კვამლის საფარმა ზეცა დაფარა. ქართველებმა მხნედ და გმირულად შეუტიეს და გაიმარჯვეს. მეორე დღეს ბრძოლები გამძლავრდა. სპარსთა ჯარის სიმრავლემ სძლია ქართველნი, რომლებიც კოჯრის შემოგარენში უკუიქცნენ.

ამ უმაგალითო ბრძოლაში მონაწილეობდნენ ცხრა ძმა ხერხეულიძეებიც, რომელთაგან უფროსს სადროშოს დროშა ეპყრა ხელთ. ხალხური გადმოცემით, ცხრა ძმას დედაც თან ახლდა. გააფთრებულ ბრძოლაში იგი თურმე გმირულად დაცემულ ერთ შვილს დროშას ხელიდან ართმევდა და მეორე შვილს გადასცემდა. ასე ხელიდან ხელში გადადიოდა დროშა და მებრძოლთა სულ უფრო დიდ აღფრთოვანებას ჰნვევდა, ბოლოს კი ბრძოლის ველზე ცხრავე ძმა დაეცა. მათი საამაყო დედაც შვილებთან ერთად გმირულად შეაკვდა მტერს.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ ხალხმა გამოარჩია ხერხეულიძეთა ცხედრები, მარაბდის ეკლესიის ეზოში ცალ-ცალკე დაკრძალა, თითოეულის საფლავს ქვა დაადო და ზედ მებრძოლი ვაჟკაცების სახელები ამოკვეთა.

ასე გრძელდებოდა ისტორია.

XIX საუკუნის 60-იან წლებში მარაბდის სასაფლაო დაათვალიერა და შეისწავლა ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ანტონ ფურცელაძემ, იგი წერდა: „ერთ ალაგას მე მქონდა გაგონილი, რომ ესენი (ე. ი. ცხრა ძმა ხერხეულიძენი, ვ. ს.) მარხიან მარაბდ..ა სასაფლაოზე და განგებ წაველ და შევამოწმე. მარაბდის მოხუცებულთ მაჩვენეს შვიდი ქვა, რომელთაგან ზოგი ძლივ მოჩანდა მიწიდან. ყველა ქვაზე გამოხატული იყო ხმლიანი კაცი, ნიშანი, როგორც ვფიქრობ, მათი გმირობისა და გმირული სიკვდილისა. ამ მოხუცთა თქმითაც გამოდიოდა, რომ დახოცილან ცხრანი. ჩემს კითხვაზედ, ორი ქვა რა იქნა, მათ მიპასუხეს, რომ ცხრა არისო. ჩვენ კიდევ დავთვალეთ და შვიდი გამოვიდა. შესაძლებელია, ეს ორი ქვა მიწამ დაფარა და არ სჩანდა".

ხერხეულიძეთა ვინაობა და სადაურობა კარგად უნდა სცოდნოდა XVII საუკუნეში მცხოვრებ მეფე-პოეტ არჩილს, რომელიც თავის პოემაში: „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა", თეიმურაზის პირით გადმოგვცემს:

„ალათანგის ყორნელთა"



ეს ალათაგანი ხერხეულიძე, ზემოქართლის სადროშოს სარდალი, მარაბდის ომში გმირულად დაღუპული. ყორნელები იმას ნიშნავს, რომ მისი სადროშო, რომელშიც ალათანგის ძმანი ხერხეულიძენიც შედიოდნენ, ძირითადად, ყორნისელებისაგან შედგებოდა.

მაშასადამე, ხერხეულიძენი მდინარე ფრონის ხეობის სოფელ ყორნისიდან ყოფილან. არ არის გამორიცხული, რომ ხერხეულიძეთა პირველსაცხოვრისი მესხეთი იყო და მტრის მოძალების გამო ისინი ზემოქართლში გადმოსახლდნენ. ხერხეულიძეებს კიკეთშიც ჰქონიათ მამული, იქნებ მეფისაგან ნაბოძები, ქვეყნისა და მეფის წინაშე დამსახურებისათვის, როგორც ეს წესად იყო საქართველოში.

ხერხეულიძენი თვით XIX საუკუნეშიაც სახლობდნენ სოფელ ყორნისში, ფრონის ხეობაში. ეს ცხრა ძმა კი გმირები იყვნენ: ალათანგ ხერხეულიძე იყო ქართლის დიდებულთაგანი, გიორგი სააკაძის მეგობარი და თანამებრძოლი, მრავალი ომის მონაწილე, ცალთვალა სარდალი; კახაბერ (ბაკა) ხერხეულიძე მეფე ლუარსაბ მეორის ფარეშთუხუცესი, რომელმაც 1612 წელს აგარაკ წავკისში გასცა მეფისა და თავადების შეთქმულება და სიკვდილისგან იხსნა მოურავი; პაატა ხერხეულიძე დიდი გმირი, მეომარი, ქართლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, 1625 წლის მარტის აჯანყების დროს მან, გიორგი და ავთანდილ სააკაძეებთან, ელია დიასამიძესთან და პაპუნა ვაშაყმაშვილთან ერთად, აჩეხა სპარსთა სარდლობის ბანაკი, ასეთივე იყო ბეჟან ხერხეულიძეც.

დანარჩენ ძმათა სახელები ან ისტორიამ არ შემოგვინახა, ან ჯერ-ჯერობით მიკვლეული არ არის.

სამშობლოს დამცველი გმირების — ცხრა ძმა ხერხეულიძეთა სახელი მარად უკვდავია ქართველი ხალხის ხსოვნაში.

ვახტანგ სიდამონიძე

# როგორ გადაარჩინა კოლხეთი მტრედმა



კოლხური ლეგენდა

ჩემი ალთა ბალთასთან
რადგან ძლიერ შორია,
მოამბე რომ გავგზავნო,
ჯერაც ვერ მიშოვნია.
კაცი არ მეგზავნება,
კუს რომ ვუთხრა, წადიო,
მეტყვის: იქ მისვლა-მოსვლას
უნდა წელიწადიო.
ასეთი საუბარი
ჰქონდათ თურმე წინაპრებს,
მერე წერილს ატანდნენ
ან მხედარს, ან მეაფრეს...
ტელეფონი სად იყო,
ან მორზე, ან რადიო...
ავალებდნენ მალემსრბოლს,
საამბობლად წადიო.
მალემსრბოლიც გარბოდა
ან ქვეითად, ან ცხენით,
კოლხეთს ატყობინებდა
მტრის თავდასხმას სამცხელი;
სამცხეს მოვარდებოდა
მალემსრბოლი მესხეთით:
მტერი მოდის ურიცხვი,
ციხეებში შესხდით!..
ბევრი მალემსრბოლისთვის
გზაზე თავში ჩაუკრავთ,
აუკლიათ ქვეყანა
და სიცოცხლე ჩაუკლავთ...
მტრის მოსვლას კოცონით
ციხე ციხეს ამცნობდა,
ეს ხერხიც არ გამოდგა,
ბუნება რომ გაცოფდა, —
კოკისპირული წვიმით
კოცონი რომ ჩაუქრათ,
ბუკი გამოიგონეს,
არ უშველათ ამ ბუკმაც.
მტრედი გაწვრთნა მოამბედ
მაშინ კოლხმა ჭაბუკმა.
მტრედი კოლხეთის ცაზე
ისარივით დაჰქროდა
და სასწრაფო ამბები
აქეთ-იქით დაჰქონდა.
გადუღლახავს ათასჯერ
ცა ზღვისა და რიონის,
ასე იქცა წინაპრად
მტრედი ფოსტალიონის.
ერთ დღეს მტერი მოადგა
კოლხეთის ავისმზრახველი,
დაჯდა მტრედის გამწვრთნელი
ბიჭი ამის მნახველი
და წერილი მისწერა
მეფეს ხალხის სახელით:
„მტერი მოდის, არ გძლიოს
მეფე დაუძლეველი,
რომ არ შერყვნას კოლხეთის
ძველი საკურთხეველი,
თადარიგი დაიწყე
თუ გაქვს დაუწყებელი!..“
მტრედს შეაბა წერილი
ავის მაუწყებელი.
მტრედმა შეუსვენებლივ
გადიფრინა სერები,
ტაფობი თუ ტყე-ველი,
ტურფა, ნაირფერები...
კოლხი ბიჭის გაწვრთნილი
შურდულივით მიჰქროდა,
ქვეყნის გადამრჩენელი
„ამანათი“ მიჰქონდა.
ჰა, კიდევაც მიფრინდა, —
სასახლეა ზღაპრული,
მთაზე ნათლის სვეტივით
დგას წალკოტში ჩაფლული.
აქედან ჩანს კოლხეთი
მთვარით გადალამპრული,
ბნელში მოიკლაკნება
გველეშაპი გზაკრული,
დილამდე რომ მოასწროს
თავის საქმე მზაკვრული...
მეფეს სარკმლის მინაზე
ესმის ნაზი კაკუნი.
— ვინ ამოწვდა, მატყუებს
ან გუმანი, ან ყური...
თვალის სრესვით წამოდგა,
დაიძახა: ვინა ხარ!
შეკრთა მეფე, სარკმელთან
მტრედი რომ დაინახა.
დადიოდა რაფაზე
გამარჯვებულ იერით,
ისე ყელყელაობდა,
თითქოს სძლია ძლიერი.
მეფემ მარჯვენა ფეხზე
მტრედს რომ მოხსნა და გახსნა, —
წერილი აუწყებდა
მტრის უეცარ თავდასხმას.
ჯარს მოუხმო სასწრაფოდ,
საბრძოლველად დარაზმა,
დედაწული გახიზნა,
ციხეები ჩარაზა.
მომხდურის შესახვედრად
კარგად რომ გაემზადა,
შეიტყუა ჭაობში,
ჩაესაფრა გეზად და
თავზე ლაფი დაასხა
ლაფში ჩაფლულს გეზათთან...
მოსულები თუ ნახეს,
წასული არ უნახავთ,
ჭაობების საფლავში
ისე ღრმად დაუმარხავთ.
ჰეი, შავო ღრუბლებო,
ჩვენ ნუ შემოგვეჩვევით,
გირჩევნიათ გაბრუნდეთ,
გირჩევნიათ შეჩერდით,
თორემ დაიჩეხებით
ციხეთა საჩეხელით.
აქ ჭაობიც ციხეა,
მტრისგან აუღებელი,
აქ მთაც ცხრაკლიტულია,
მტრისგან გაუღებელი,
აქ კლდეც გალავანია,
მტრისგან გაურღვეველი,
აქ მდინარეს არ რჩება
მტერი წაუღებელი.

●

ეს ამბავი ძველია
გორდში გამიგონია,
სტრიქონ-სტრიქონ სტროფების
ძნებად ამიკონია.
თქვენთვის მომირთმევია,
არ ღირს ამის დაკარგვა,
მეფემ ბიჭის სამტრედეს
სამტრედია დაარქვა.
ბრძანა: იყოს ქალაქი,
კოლხმა ბიჭმა განაგოს,
სანამ მტრედი არსებობს,
მანამდე იქალაქოს.
თქვენ კი, ვინაც კოლხეთში
სიკვდილისთვის მოხვედით,
შინ ვინც დაგრჩათ, იცოდეს —
მტრედიც იბრძვის კოლხეთის,

# »მტვრის ბავშვები«

ჩვენი პლანეტის მილიონობით ბავშვს დღეს ბავშვობა არა აქვს. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრ განვითარებად ქვეყანაში მეწარმენი ქირაობენ ღარიბი ოჯახის მცირეწლოვან შვილებს და ხშირად მძიმე, მათთვის აუტანელი შრომის საფასურად მათხოვრულ გასამრჯელოს უხდიან. ასეთი პრაქტიკა არსებობს ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც ინდოეთია, სადაც ბავშვთა შრომის ექსპლოატაცია კანონით იკრძალება.

განეშისათვის უსასრულოდ გრძელი სამუშაო დღე დილის ხუთ საათზე იწყება. მის საუზმეს შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ ჩაპატი (აგურის გამოსაწვავ ღუმელზე გამომცხვარი ლავაში). განეში ცხოვრობს და მუშაობს შილიგურში. უკვე ექვსი საათისათვის იგი თავზე იდგამს ფიცარს, ზედ დაწყობილი აგურების პირველი პარტიით, და ღუმელთან მიაქვს. დღის ბოლოსათვის კი, როცა მზე აგურის მტვრის კორიანტელში ჩაესვენება, ღუმელთან უკვე 3 ტონაზე მეტი აგური ექნება მიტანილი. ეს ჯოჯოხეთური სამუშაოა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ განეში მხოლოდ 8 წლისაა.

მთელ ინდოეთში ასეთივე ბავშვები შრომობენ რამდენიმე რუპიის, ჩაპატისა და ერთი მუჭა ბრინჯისთვის. და ეს ხდება 1986 წელს გამოცემული იმ კანონის მიუხედავად, რომელიც კრძალავს 14 წლამდე ასაკის ბავშვის შრომის გამოყენებას პოტენციურად საშიშ სამუშაოზე (მათ ეკუთვნის სამშენებლო წარმოებაც).

ამ კანონის დარღვევისათვის საწარმოს მეპატრონე უნდა დაჯარიმდეს სულ მცირე 500 ფუნტი სტერლინგით, ან უნდა მისაჯოს სამი თვის პატიმრობა. მაგრამ შრომის სამინისტრო აღიარებს, რომ იგი უძლური აღმოჩნდა, დაეცვა ეს კანონი, ვინაიდან ბავშვების ხელფასი იმდენად მნიშვნელოვანია მათი ოჯახებისათვის, რომ, მიუხედავად მძიმე შრომისა და სულშემხუთავი მტვრის ბუღისა, შილიგურში არ იგრძნობა სამუშაოს მაძებარი მოზარდის ნაკლებობა. ინდოეთში იმდენად გავრცელებულია სიღატაკე, რომ ყოველგვარი სამუშაო ღვთის წყალობად აღიქმება.

განეშსა და მის თანატოლებს არ განუცდიათ თამაშის სიხარული, არა აქვთ წარმოდგენა სკოლაზე. ისინი ინდოეთის საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენას „ხარიჯანებს" ეკუთვნიან. მათი მშობლები უკიდურესად ღარიბები არიან. და ეს ბავშვები თავიანთი სუსტი ხელებით ებღაუჭებიან მძიმე შრომით სავსე ცხოვრებას. მათთვის ეს ერთადერთი შანსია, თავი დააღწიონ მათხოვრობას.

ასეთი ბავშვები მალე კაცდებიან. ათი წლისანი უკვე პატარა მამაკაცები არიან, 30 წლისანი კი მოხუცები. ორმოცი წლის ასაკში იხოცებიან მძიმე სამუშაოსაგან და აგურის მტვრით გამოწვეული სილიკოზისაგან.

განეშს ჰყავს მეგობარი — მასზე უფროსი ბიჭი, რომელიც ლაპარაკობს დინჯად, მისი ასაკისათვის შეუფერებელი სერიოზულობით. ის კარგადაა ჩახედული ცხოვრების სიდუხჭირეში. სწორედ ამიტომ შეურქმევიათ ზედმეტსახელად „ბაბაჯი" (ასე უწოდებენ აქ ბრძენ მოხუცებს).

ბაბაჯიმ თავისი მდიდარი გამოცდილების წყალობით კარგად იცის, როგორ დაზოგოს ენერგია ღუმელის დატვირთვის ქანცისგამწყვეტი სამუშაოს დროს, მას გადატანილი აქვს დიზენტერიის შეტევა, იცის, რა დიდი სიკეთეა ძილი, როცა ქანცი გაგიწყდება. მას ემარჯვება ჩაპატის გამოცხობა, იცის ანგარიში და შეუძლია გააგრძელოს მუშაობა მაშინაც კი, როცა ყოველი კუნთი დასვენებას თხოულობს.

ბაბაჯი შუამავალია, გარდამავალი




# 26 პიონერის ოცნების გუნდი

თბილისის 67-ე სკოლის შოთა გამცემლიძის სახელობის პიონერული რაზმი საშეფო მუშაობისათვის და შრომითი საქმიანობისათვის კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდა. ჯილდომ სიხარულით აავსო მეშვიდეკლასელები.

ვნახოთ, რისთვის დააჯილდოეს ისინი.

მეშვიდეკლასელებმა, რომელთა რაზმიც საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის სახელობისაა, დიდი საკვალმაძიებლო მუშაობა ჩაატარეს გმირის ცხოვრების შესასწავლად. ისინი შეფობენ ოქტომბრელებს; მეგობრობენ ფაბრიკა „კომკავშირელის" მუშებთან; მიმოწერა აქვთ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის სკოლების მეშვიდეკლასელებთან; აწყობენ გამოფენა-ბაზრობებს, „ნორჩი მხატვრის" დღეს (რაზმში მხატვრებიცა ჰყავთ), აქტიურად მონაწილეობენ თბილისის საქალაქო და კიროვის რაიონის პიონერთა შტაბების მუშაობაში; მზრუნველობენ ლეხელიძის ქუჩის ნარგავებს. და, რაც მთავარია, ეძიებენ პიონერული მუშაობის გარდაქმნის გზებს, ფიქრობენ მომავლის გეგმებზე, კამათობენ, ბჭობენ იმაზე, თუ როგორი სურთ იხილონ თავიანთი ორგანიზაცია. გვინდა, თქვენც გაგაცნოთ მათი მოსაზრებები.

ხათუნა: — დისკუსიებზე ხშირად გაისმის ხოლმე, რომ რაზმეულში ბევრი რამ ფორმალურად, „აღნიშვნისათვის" კეთდება და ამასაც ბავშვების არც ისე დიდი ჯგუფი ასრულებს; ეს არ მომწონს და არც მესმის, რატომ? მიზეზი ვერ გამიგია.

გია: — ჩემი აზრით, ამაში თვითონ პიონერები არიან დამნაშავენი; ზოგიერთ რაზმში იმათ გამო, ვისაც არაფრის გაკეთება არ სურს, თურმე ყველა საქმე ჭმლება.

ნათია: — ბევრს ლაპარაკობენ თვითმმართველობაზე, ამბობენ, ჩვენს ნაცვლად

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რგოლია უფროს მუშებსა და ბავშვებს შორის. აქ, აგურის გამოსაწვავ ღუმელთან იგი უამბობს რვა წლის მოზარდებს, რომ ისიც იყო ახალბედა, ისეთივე უგერგილო და მოუქნელი, როგორიც ექვსი თვის წინათ მოსული განეშია.

ბაბაჯი ცხრა წლისა ყოფილა, როცა მამა გარდაეცვალა და თავისი დედისა და ოთხი და-ძმის ერთადერთი მარჩენალი გამხდარა.

იგი ბევრს ეცადა, ეშოვა სამუშაო კალკუტაში, მაგრამ ძალიან პატარა აღმოჩნდა რიქშად მუშაობისათვის და ძალზე გამოუცდელი საიმისოდ, რომ ფეხსაცმელების მწმენდავების „კლანში" მოხვედრილიყო. სასოწარკვეთილმა გადაწყვიტა თავისი სისხლი გაეყიდა, იკვებებოდა მხოლოდ ნასუფრალით. ერთხელაც თანასოფლელს შეხვდა, რომელმაც უთხრა, რომ შილიგურში შეიძლებოდა სამუშაოს შოვნა. ეს იყო დიდი ხნის წინათ. ახლა ბაბაჯი უკვე 13 წლისაა.

მტვერია ყველგან. ის ფაფუკ ხალიჩად აფენია მიწაზე, შედის ცხვირის ნესტოებში. დღის ბოლოს თმა, კანი, ტანსაცმლის ყველა ნაოჭი სავსეა მტვრით. ვახშმად პურსა და კარტოფილსაც მტვრის გემო დაკრავს. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ბავშვები თავიანთ სამუშაოს „მტვრიანს" ეძახიან.

ამ „მტვრის ბავშვებისთვის" არ არსებობს დღესასწაული, არც დასვენების დღე. რვა წლის ბავშვებს მხრებზე არა მარტო იმ აგურების სიმძიმე აწევთ, რომლებსაც ეზიდებიან, არამედ ოჯახის ერთადერთი მარჩენალის ტვირთიც. მათთვის უცხოა გართობა, ალერსი, სიცილი.

ბავშვები ყოველ ათასი გადატანილი აგურისათვის 15 რუპიას ღებულობენ (100 ინდურ რუპია 4,3 მანეთია). ბაბაჯის ერთდროულად შეუძლია 12 აგური გადაიტანოს, განეში და მისი თანატოლები კი მხოლოდ 8 ცალს ერევიან. დღის განმავლობაში 1500 აგური (თითო აგური 2,5 კილოგრამს იწონის — ასეთია სიღატაკის სამწუხარო მათემატიკა.

მარჯვე მუშები კვირაში 200 რუპიამდე გამოიმუშავებენ. აქედან 40 რუპიას ჭამაში უკავებენ; ასევე უკავებენ გზის ფულს. მაგრამ ის მცირედიც კი, რაც რჩებათ, მათთვის მთელი სიმდიდრეა.

განეში და ბაბაჯი, როგორც შილიგურში მომუშავე ყველა ბავშვი, აგურის ყველა გადატანილ პარტიაში ღებულობენ ლითონის ჟეტონს. კვირის ბოლოს ამ ჟეტონს ისინი წარუდგენენ დამქირავებელს და ის ანგარიშობს, ვინ რამდენი გამოიმუშავა. ყოველ ბავშვს აქვს უბის წიგნაკი, რომელშიც იწერება ეს თანხა. სეზონის ბოლოს, შვიდი თვის შემდეგ, ხდება ანგარიშსწორება. ფულს მშობლებს უგზავნიან. ასეთია პირობა.

შილიგურში 50 ბავშვი და 30 კაცი მუშაობს. აქ გოგონები და ქალები არ არიან. „მტვერი მამაკაცის სამუშაოა", — ამბობს ბაბაჯი სიამაყით.

მხოლოდ ივნისში, მუსონური წვიმების სეზონის მოახლოებისას, ქრება ვეება ღუმელი.

ბაბაჯი ბომბეიში აპირებს წასვლას. „გავიგე, იქ, პორტში, მარცვლის გადმოტვირთვაზე სჭირდებათ მუშები, — ამბობს ბაბაჯი. — იქ უფრო მეტს უხდიან, ვიდრე აქ". მაგრამ არც ესაა ნაკლებად ქანცისგამწყვეტი შრომა. „მტვრის ბავშვებს" არა აქვთ მომავალი, ისინი სიკვდილამდე ვერ გაგლეჯენ სიღარიბის დახშულ წრეს.

**განვითარებად ქვეყნებში სხვადასხვა სამუშაოებზე გამოყენებულია 52 მილიონზე მეტი 15 წლამდე ასაკის ბავშვი.**

ბევრ რამეს უფროსები აკეთებენ, არ გვაცლიანო, მაგრამ იქნებ ესეც თავად ჩვენი, პიონერების ბრალია!? ალბათ არ ვინდომებთ.

ლალი: — სხვების არ ვიცი და, ჩვენი და ჩვენი კლასის ხელმძღვანელის გულიკო გაბისონიას ინტერესი ყოველთვის ერთმანეთს ემთხვევა ხოლმე. უფროსი პიონერხელმძღვანელი მანანა კენჭოშვილი ძალიან გამგებიანი გვყავს, ყოველთვის ხელს გვიწყობს ჩვენი ჩანაფიქრის შესრულებაში.

ლელა: — თუ პიონერებს მუშაობა გაუჭირდათ, ეს მხოლოდ კომკავშირელების მიზეზით ხდება. არ შეიძლება საქმეები ცალცალკე დავყოთ, ეს პიონერებისაა, ეს კი კომკავშირელებისო.

თემური: — რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ, ვინც გვინდოდა, ის ავირჩიეთ, ამიტომ მხარში უნდა ამოვუდგეთ მას, მასთან ერთად უნდა ვიმუშაოთ; თუ საქმე არ გამოგვივა, სხვას ნუ დავაბრალებთ.

ნათია: — მომავალში კი იცით, როგორ გავაკეთოთ? მოდით, კანდიდატურები თვითონ მათ წამოაყენონ, ვისაც ამ მოვალეობის შესრულების სურვილი აქვს. მე ვფიქრობ, ეს რაღაც გამოხტომად არ უნდა ჩაეთვალოთ. თავმჯდომარეობის კანდიდატმა თვითონ გაგვაცნოს, რის გაკეთებას აპირებს მომავალში.

ხათუნა: — ეგეც შეიძლება, და ისიც, რომ პიონერებმაც დაასახელონ კანდიდატურა. შემდეგ კი დაე, იმან გაიმარჯვოს რომელიც ყველაზე მეტ ხმას შეაგროვებს, კანდიდატურის შერჩევის დროს შეიძლება ძალიან მხიარული კონკურსი გაიმართოს.

— როგორ მიგაჩნიათ, კიდევ როგორ შეიძლება პიონერული აქტივის არჩევა? — ვკითხეთ მეშვიდეკლასელებს.

დათო: — ამბობენ, რაზმები შეიძლება ინტერესების მიხედვით შეიქმნასო: შეიძლება მასში სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა კლასის პიონერები გაერთიანდნენ, რომლებიც ერთი საინტერესო საქმით იქნებიან ერთმანეთთან დაკავშირებულიო. არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ მე ჩემი კლასის რაზმთან მირჩევნია ყოფნა. ჩვენ ხომ ოცდაექვსივენი კარგი მეგობრები ვართ.

თეა: — რაზმი შეიძლება მეგობრობის მიხედვით შეიქმნას. ვერ წარმომიდგენია, რომ ჩვენი კლასი, ესე იგი ჩვენი რაზმი დაიშალოს, სხვადასხვა რაზმებში დანაწილდეს. ასე მგონია, ერთმანეთს რომ დავცილდეთ, მეგობრობაც ისეთი აღარ გვექნება, როგორც ახლა.

ირაკლი: — ჩემი აზრით, ყველას, გარდა რაღაც თავის გატაცებებისა, უნდა ჰქონდეს მუშაობის მთავარი მიმართულება. ვი-



პიონერული აქტივის კლუბი

# კოცონი

მუშაოთ არა მოჩვენებით, არამედ ისე, რომ მუდამ გვაღელვებდეს საერთო საზრუნავი და საქმეები.

გამოვიკითხე: — კიდევ რა მიმართულებებს თვლიან პიონერები აუცილებლად პიონერთა ორგანიზაციისათვის?

ლალი: — ჩემი აზრით, მაინც ყველაზე მთავარია, ყველა ჩაერთოს საქმეში; საქმემ, შრომამ უნდა დაამეგობროს კოლექტივი; ამ დროს ვსწავლობთ ერთმანეთის დახმარებას, პასუხისმგებლობას ერთმანეთის წინაშე; და მინდა, ყველაფერი ეს ისე კეთდებოდეს, რომ თავი ავარიდოთ ხმამაღალ სიტყვებს, ტყუილ დაპირებებს. კიდევ ერთი რამ: კომკავშირის რიგებში მოსწავლეები მხოლოდ რაზმეულის რეკომენდაციით უნდა შედიოდნენ, თორემ ისე გამოდის, რომ ყველას იღებენ, იმასაც, ვინც პიონერთა ორგანიზაციაში აქტიურობს, და იმასაც, ვისაც ხელი არაფერზე გაუნძრევია.

მეშვიდეკლასელებმა კიდევ დიდხანს იკამათეს და კამათის დროს რამდენჯერმე შეახსენეს ერთმანეთს — ჩვენ ხომ 21-ე საუკუნეში უნდა ვიცხოვროთო.

გადავწყვიტე მეკითხა, როგორ წარმოუდგენიათ თავი მომავალ 21-ე საუკუნეში. ბავშვებმა მაშინვე მოხსნეს თავიანთი ოცნების გუდას პირი.

მაია ნადირაშვილი: — მათემატიკოსი უნდა გამოვიდე. ეს ისეთი საგანია, ყოველთვის საჭირო იქნება. ჩვენ ხომ ისეთ საუკუნეში მოგვიწევს ცხოვრება, როცა ტექნიკა უმაღლეს მწვერვალებს დაიპყრობს.

ლალი მაღრაძე: დედაჩემი ფიზიკოსია, პედაგოგი. მეც მასწავლებლობას ვაპირებ.

ეკა ტიკარაძე: — მსურს, რომ ყველა თანაკლასელი უაღრესად განათლებული შეხვდეს მომავალ საუკუნეს. წარმომიდგენია: სირთულეებს რობოტები გადაჭრიან, სამსახურში რთულ დავალებებს კომპიუტერები შეასრულებენ. ცხოვრება ერთფეროვანი რომ არ იქნეს, მოეწყობა სხვადასხვა სახის შეჯიბრებები პლანეტების მცხოვრებთა შორის; დედამიწაზე მშვიდობა იქნება, ხალხი დაუსახლებელ პლანეტებზე დასახლდება; იმედი მაქვს, მომავალში ამ ჩემი ოცნების შესრულებაში თვით მივიღებ აქტიურ მონაწილეობას.

ანა მეგრელიშვილი: — მსურს კარგი დედა გავხდე და მეტი არაფერი. კარგი ოჯახი შევქმნა, კარგი ბავშვები აღვზარდო.

ლალი მაღრაძე: — არ ვიცი, ოცნება ამიხდება თუ არა, პედაგოგობაც მინდა და კინორეჟისორობაც. სულ ერთია, რომელი სურვილიც ამიხდება; ვეცდები, წინაპართა დაწყებული საქმეებიც, ქართველების ღირსეული ტრადიციებიც გავაგრძელო: წარსულის პატივისცემა, წინაპართა ხსოვნა, სტუმარ-მასპინძლობა, გულუხვობა, უფროსის პატივისცემა.

გიორგი მგალობლიშვილი: — დიდი სურვილი მაქვს მხატვარი გამოვიდე, ჩემი ნახატებით ხალხს სიხარული მოვუტანო, ახლა ძალიან ბევრს ვხატავ.

ზია ამირიძე: — მე კი ინჟინრობა მსურს. თბილისში ისეთი სახლები უნდა ავაშენო, ყოველგვარ მიწისძვრას გაუძლოს.

თეა ხუციშვილი: — ბავშვთა ექიმი უნდა გამოვიდე, მებრალებიან უდედმამო ბავშვები, ამიტომ ექიმი რომ გავხდები, მათთან ვიმუშავებ.

დათო ჭიჭინაძე: — მე კოსმონავტობაზე ვოცნებობ, მარსზე გაფრენაზე, კოსმოსური სადგური უნდა ავაშენო...

ნათია ბუზუნაური: — მე კი ხშირად მეცვლება სურვილები. თავიდან მასწავლებლობაზე ვოცნებობდი, შემდეგ ექიმობა მსურდა. ახლა, ვფიქრობ, სულაც შინ ვიყო. დიასახლისობა მსურს, გემრიელი კერძები დავამზადო და სახლი მუდამ დალაგებული მქონდეს, კარგი დედა გავხდე.

თემურ მაჭავარიანი: — ოქრომჭედელი უნდა გამოვიდე. 21-ე საუკუნეში ყველა უნდა გავაკვირვო ჩემი ნახელავით.

...ბავშვების ოცნების გუდის თავის მოკვრა ცოტა გამიჭირდა. მიზიარებდნენ ნაოცნებარს ვიქტორია ჯინჯიხაშვილი, გიორგი გიგიაძე, ბექარ ჯუმუტია, შოთა ინწკირველი, ალექსანდრე პაპავა, ლელა არაბული, მაგდა ცინცაძე, ანრი თამაზიძე, ხათუნა მონიავა, ლალი ბარამიშვილი, ბორის კაციტაძე, ირაკლი კაციტაძე, გულსუნდა კაკიაშვილი, მამუკა მინდორაშვილი — თბილისის 67-ე სკოლის ერთი რაზმის 26 პიონერი.

ისინი ყველანი ერთად ფიქრობენ, როგორ აუწყონ სიახლეს ფეხი, ხვალ რა გააკეთონ, რათა თითოეულმა მათგანმა 21-ე საუკუნეში საქართველოს ღირსეული მოქალაქის სახელი, თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს შინ თუ გარეთ.

ნათელა ფაილოძე



## ახალი რეკორდი

კასკადიორმა ედი სალივენმა შარშან ზაფხულში მანქანით ახტომის რეკორდი დაამყარა: „ფოლკსვაგენ — გოლფით“ მან ნიცის ნავსადგურის თავზე 85, 82 მეტრი გაიფრინა და 5 მეტრით გააუმჯობესა თავისივე რეკორდი.

## უძველესი ხიდი

ლარიქსი თავისი მედეგობით სჯობს ხის სხვა ძვირფას ჯიშებს, მუხასაც კი. მაგალითად, ლარიქსის ხიდმა, რომელიც რომაელებმა იმპერატორ ტრაიანეს ეპოქაში ააგეს, დღემდე მოაღწია, მაშასადამე, მისი ასაკი 1700 წელზე მეტია.

## კენგურუ... ქალაქში

ავსტრალიაში კენგურუზე ნადირობის აკრძალვამ იმდენად გაათამამა ეს ცხოველები, რომ ისინი თავხედურად შეიჭრნენ ადამიანთა სამფლობელოში. ფერმერები ძაღლებით იგერიებენ მათ. პოლიციამ გზებზე აბრები გამოაკრა: „ფრთხილად, კენგურუ!“ გათამამებულმა ცხოველებმა არც ქალაქი დაინდეს და მწვანე ნარგავებს დაერივნენ. ფერმერებისაგან განსხვავებით, ქალაქელები იმათ საკმაოდ მშვიდად შეხვდნენ. კვისლენდის შტატის ქალაქ ოიპუნის გოლფის კლუბის წესდებაში, მაგალითად, წერია: „თუ ბურთი კენგურუს შეეხება, თამაში ჩვეულებრივ გაგრძელდება“.

## შიშველი ხელით

თურმე შხამიანი გველების შიშველი ხელით დაჭერა შესაძლებელი ყოფილა.

აშშ-ში პენსილვანიის შტატში ხშირად იმართება შეჯიბრებები, რომლის მონაწილეებმაც შიშველი ხელით უნდა დაიჭირონ



და ტომარაში ჩასვან ხუთი ქვეწარმავალი.

ერთ-ერთმა ბუნების დაცვის ორგანიზაციამ მოითხოვა სპორტის ამ სახეობის აკრძალვა, რამაც აღაშფოთა როგორც „სპორტსმენები“, ისე მათი გულშემატკივრებიც.

კანონის მსახურნი იძულებულნი გახდნენ მოეხსნათ აკრძალვა იმ პირობით, რომ შეჯიბრების შემდეგ გველებს გაათავისუფლებდნენ.

## ხუთკარიანი „ფავორიტი“

„შკოდას“ ოჯახს, რომელიც ყველაზე მძლავრი საავტომობილო ფირმაა ჩეხოსლოვაკიაში, ახალი წევრი შეემატა. ესაა ხუთადგილიანი „ფავორიტი“. იგი ძალზე ეკონომიური, სწრაფი და კომფორტული მანქანაა. ვარაუდობენ, რომ თავის პატრონს იგი 15 წლის განმავლობაში მოემსახურება კაპიტალური რემონტის გარეშე. „ფავორიტი“ ხუთკარიანია. 1990 წელს გამოუშვებენ 180 ათას ახალ ავტომობილს.



## ათი პროცენტით....

ვთქვათ, ქუჩაში კოკისპირული წვიმა წამოგეწიათ, ქოლგა კი არა გაქვთ. რა სჯობს ამ დროს, გაქცევა თუ ჩვეულებრივი ნაბიჯით გზის გაგრძელება? უმეტესობა გაქცევას ირჩევს. სწორად იქცევიან თუ არა ისინი? ერთმა იტალიელმა მეცნიერმა ითავა ამის შემოწმება. საკმაოდ რთული მათემატიკური გაანგარიშებებით მან დაადგინა, რომ, მიუხედავად ადრინდელი შეხედულებისა („დასველების ხარისხი არაა დამოკიდებული მოძრაობის სიჩქარეზე“), აუჩქარებელ სვლას თურმე გაქცევა სჯობს. სწრაფად მოსიარულე ადამიანიც კი 10%-ით უფრო მეტად დასველდება, ვიდრე სპრინტერი, რომელიც წამში 10 მეტრის სიჩქარით მირბის.

## ახალი პროთეზი

საუთჰემპტონის (ინგლისი) უნივერსიტეტის ელექტრონიკის კათედრის თანამშრომლებმა გამოიგონეს ხელის პროთეზი, რომელიც კომპიუტერიანი სერვომოტორებით მოქმედებს. თითები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოძრაობენ. ამის მეოხებით შეიძლება გაკეთდეს 14 სხვადასხვა საკმაოდ ზუსტი მოძრაობა (ჩვეულებრივი პროთეზი მარწუხის პრინციპით მოქმედებს — საგანს იგი „ხელისგულითა“ და ცერით იღებს). ახალი კონსტრუქცია საშუალებას იძლევა, ხელის შეხებით განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ესა თუ ის ნივთიერება, მაგალითად, რკინა და მატყლი.

- ეგეოსის ზღვის კუნძული კიმოლოსი შედგება ცხიმოვან საპნისებური ნივთიერებისაგან, რომელსაც იქაური მცხოვრებლები უხსოვარი დროიდან იყენებენ საპნის მაგივრად. როცა წვიმს, კუნძული საპნის ქაფით იფარება ხოლმე.

- ყარაყუმის უდაბნოში (თურქმენეთში) აღმოაჩინეს მიწისქვეშა ზღვაში მოტივტივე მტკნარი წყლის ლინზა, რომლის მოცულობა დაახლოებით 10 კუბური კილომეტრია.

- ჰიმალაის მთები იზრდება. მარტო 1955 წლიდან (როცა იქ ძლიერი მიწისძვრა მოხდა) 1961 წლამდე მწვერვალების სიმაღლე 30 მეტრით გაიზარდა.

- დედამიწის ცენტრში წნევა 3,5 მილიონ ატმოსფეროს აღწევს.

- მზე, რომ ჩაქრეს, დედამიწა, გარდა თოვლისა და ყინულისა, დამატებით გაყინული ჰაერის თორმეტმეტრიანი ფენით დაიფარება.

- მილიონ 380 ათასი კვადრატული კილომეტრი — ასეთია მდ. ვოლგის აუზის ფართობი. იგი იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის ტერიტორიათა ჯამზე მეტია.

ვოლგის აუზში ცხოვრობს რუსეთის მოსახლეობის ორი მესამედი.

- მას შემდეგ, რაც ადამიანმა ლაპარაკი ისწავლა, დედამიწაზე გაჩნდა დაახლოებით 7 ათასი სხვადასხვა ენა. ამჟამად მათგან მხოლოდ სამიოდე ათასია ცოცხალი.

- სპექტროსკოპიული გამოკვლევების თანახმად, ადამიანის ორგანიზმში შედის სხვა-



დასხვა ლითონი: გულში — სპილენძი, ალუმინი, რკინა; ფილტვებში — სპილენძი, ალუმინი, ტიტანი; კუჭქვეშა ჯირკვალში — კობალტი, ნიკელი, ტყვია; ღვიძლსა და თირკმელებში — სპილენძი, ტყვია, ვერცხლი; ელენთაში — ვერცხლი, კალა, სპილენძი; ტვინში — კალა; ფარისებურ ჯირკვალში — კალა, ვერცხლი, ტყვია, თუთია.

- 1959 წლის ივლისის მეორე ნახევარში მოულოდნელად შენელდა საკუთარი ღერძის გარშემო დედამიწის ბრუნვის სიჩქარე: დღე-ღამის ხანგრძლივობა დაახლოებით 0,0008 წამით შემცირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ქსოვა მთელს მსოფლიოში ხალხური მხატვრული რეწვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა. ჩვენში უხსოვარი დროიდან ჰყვარებიათ ქსოვა, განსაკუთრებით, თუშეთსა და ხევსურეთში. ქსოვდნენ ტანსაცმელს, ფეხსამოსს, ჯაჭვის საომარ პერანგებსაც... საქვეყნოდ არის განთქმული ჩვენი ოსტატი ქალების ნახელავი ორნამენტირებული ქსოვილები — მანდილები და სათაურები, ჩითაები და ფარდაგები, ნაქსოვი ფეხსამოსელი — პაჭიჭები, ჩუსტურები; ხევსურთათვის განსაკუთრებით მოსაწონი შალის ქსოვის სახეები — ორშიანი, წალუკულმა, ცალპირა...

ქალის ქალობა, სხვა გარეგნულ და შინაგან ღირსებებთან ერთად, საქართველოში ხელსაქმითაც ფასდებოდა მუდამ. მით უფრო, მოსაწონია, თუ ქართველი ქალი ხელსაქმეს დღესაც ერთგულობს. ესეც რომ არ იყოს, განა რამე სჯობია საკუთარი ნახელავი კაბით, ქუდით, სვიტერით, ჟაკეტით ან ხელთათმნით გარეთ გამოსვლას და თავის მოწონებას?!

ქსოვა თავისებური გამოვლენაა ადამიანის მხატვრული აზროვნებისა. იგი ავლენს თითოეული ჩვენგანის ფანტაზიას, ფერის, კომპოზიციის გრძნობას, შემოქმედებით შესაძლებლობებს, გვანიჭებს გარკვეულ ესთეტიკურ სიამოვნებას, ამასთან, იგი ექიმებისგან რეკომენდებული, დასვენების შესანიშნავი საშუალებაცაა.

მაშ, ასე: მოვამზადოთ ქსოვისათვის საჭირო მასალა და განვეწყოთ ამ დიდებული ხელობის შესასწავლად.

უპირველეს ყოვლისა, ცოტა რამ ქსოვისათვის საჭირო მასალის შესახებ: ესაა ძაფი, ყაისნაღი, ჩხირები და ნემსი ცალ-ცალკე მოქსოვილი ნაწილების შესაერთებლად.

ძაფი შეიძლება იყოს შალის, ბამბის, აბრეშუმის, ვისკოზის, ნეილონისა და სხვა მასალისაც. იგი უნდა შეირჩეს იმის მიხედვით, თუ რა გვაქვს მოსაქსოვი. ხელით საქსოვად ყველას სჯობია შალის ან ბამბის ძაფი. იმ შემთხვევაში, თუ ძაფი ძალზე წმინდაა, იგი უნდა გავამსხვილოთ — რამდენიმეფად გავაწყვეროთ და ამოვახვიოთ.

ჩხირები არსებობს რამდენიმე სახისა: ალუმინის, ხის, ძვლის, ფოლადის, პლასტმასის, ნეილონის და ა. შ. ამათგან ყველაზე გავრცელებულია ხისგან ან ფოლადისგან დამზადებული ჩხირები. ჩხირების წაწვეტებული დაბოლოებები არ უნდა იყოს ისეთი წამახული, რომ ქსოვისას თითი გვატკინოს, ან ძაფი დაგვიწეწოს. უმჯობესია ჩხირები, რომლის ბოლოებიც ერთმანეთს წვრილი ტროსით უერთდება.

დიამეტრის ზომის მიხედვით, ჩხირები არსებობს სხვადასხვა ნომრისა: 1 მმ დიამეტრის მქონე ჩხირი № 1-ია, 2 მმ-იანი — № 2; არსებობს № 1, 5, № 2, 5, ასევე, № 3 და № 4 ზომის ჩხირებიც. ქსოვის დაწყებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქსოვი ძაფის სისქისა და ჩხირების ნომრის მოხერხებულად შერჩევას. ეს იმიტომ, რომ ნაქსოვი არც მეტისმეტად მჭიდრო გამოგვივიდეს და არც მეტისმეტად ფარღალალა. „ჰაერს“ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქსოვისას — ნაქსოვი უნდა „სუნთქავდეს“.

წმინდა ჩხირებით ბევრი რამ შეიძლება მოიქსოვოთ: მაგალითად, წინდა, ხელთათმანი, ბავშვის კაბა. მსხვილით — ჟაკეტი, კაშნე, ქუდი, მამაკაცისა და ქალის ჯემპრი, სვიტერი.

ორიოდე სიტყვა ვთქვათ ნაქსოვის სახეობაზეც. იგი ძირითადად ორგვარია — მჭიდრო და თხელი ე. ი. აჟურული.

აჟურული ნაქსოვი განსა-

დასასრული გარეკ. მე-4 გვ.

## სარჩევი


ა. კონონოვი — მდინარე შუშზე (მოთხრობა) . . გარეკ. 2
გრ. აბაშიძე — შენი პატრიოტული ვალი (წერილი) . . 2
ქ. გოჟორიშვილი — როგორ ვიმუშაოთ ხალისიანად (ნარკვევი) . . . 3
მუხრან მაჭავარიანი—60 . . . 5
ე. მერაბიშვილი — ნაკრძალში (მოთხრობა) . . . 6
ნაირფერი ყელსახვევების კავშირი . . . 12
ნ. ხარაზიშვილი — მუდამ ასეთი ყოფილიყოს (ნარკვევი) 13
ქ. კობერიძე — აპრილის გახსენება (მოთხრობა) . . 15
დ. ნინიძე — დავით აღმაშენებელი და სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის საკითხი (წერილი) . . 18
„აისი“ . . . 20
ა. კარბელაშვილი — მზისმობილები... ოცნება და სინამდვილე (წერილი) . . . 21
გ. ბარჯაძე — ამერიკული ფეხბურთი (წერილი) . . 23
ვ. სიდამონიძე — ცხრა ძმა ხერხეულიძენი (წერილი) . . 26
გ. წერეთელი — როგორ გადაარჩინა კოლხეთი მტრედმა (პოემა) . . . 27
შენი უცხოელი თანატოლები . . . 28
კოცონი . . . 28
ჯადოსნური სარკე . . . 31
საინტერესო სიახლენი . . . 31
თურმე . . . 31
ქსოვა . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. 3



გარეკანის 1-ელ გვერდზე ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-21-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01.
გადაეცა ასაწყობად 28.02.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.04.89 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 507. ტირაჟი 151000. ეგზ., უე 09255.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 151 000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი“, 1988 წ.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ხელოვნების რამდენიმე დარგის მიღწევათა ჩვენება; 5. ამერიკის სახელმწიფო; 6. მატყლის საპალტოე ქსოვილი; 8. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; 10. ზოგი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი; 12. ახალშენი; 15. წერილობითი პირობითი ნიშნების სისტემა; 16. ინგლისის მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე XVIII საუკუნეში; 17. მრგვალთავიანი დიდი ჯოხი; 19. უკრაინული მუსიკალური საკრავი; 24. ჩავარდნილი ადგილი მთებს შორის; 26. მდინარე ობის მარცხენა შენაკადი; 28. სამხედრო გემების ან ტანკების დიდი შენაერთი; 30. დროის ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 31. აფრიკის სახელმწიფო; 32. ძველებური რუსული ოქროს ფული.

**შვეულად:** 1. რაიმე მიზნისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრები; 2. ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე ადგილი. 3. საფრანგეთის ქალაქი; 4. ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. ციმბირის მდინარე; 7. ბერძნული ანბანის უველაზე პატარა ასო; 8. მბრუნავი ჯვრის სახის მოწყობილობა მომსვლელთა თითო-თითოდ შესაშვებად; 9. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში. 10. ცხიმში ასვრემილი მოხალული გულიანი ნამცხვარი; 11. შემოწმების შედეგად მოწონების ოფიციალურად გამოხატვა; 13. ჰიდროტექნიკური ნაგებობა; 14. ხის სოკო, გამოხარშული ნაცარტუტის ხსნარში; 18. სპირტში გახსნილი ფისი; 20. ერთხმიანი სიმღერა; 21. ქართველი საოპერო მომღერალი; 22. პატარა ჩიტი; 23. ფაეტონი; 25. განსხვავებული ფერის ადგილი რისამე ზედაპირზე; 27. სხეულის დასადაღავი გახურებული რკინა; 29. ხარისხი, თანრიგი.

შეადგინა ბ. ქურდოვანიძემ

## გამოცანები

●

მცენარემ რომ იხაროს,
რომ მოისხას ხემ,
დღე და ღამე მიწაში
ჩუმად ვშრომობთ ჩვენ.

●

მკაზმავენ, ზედ მასხდებიან,
მაგრამ არა ვარ ცხენი.
ტვირთს ვზიდავ, მაგრამ
არა ვარ
არც სახედარი შენი.
თუკი შემაბეს მარხილში,
ქარაშოტივით მივქრი
(ჩრდილოეთისკენ მიმართე,
ყმაწვილო, შენი ფიქრი!).

●

დიახ, ამაოდ დაშვრება
უჩემოდ ყველა ძრავა.
არ იბრუნებენ თვლები და
მანქანაც ველარ წავა...
დაუღალავად ვგორავ და
მაინც ადგილზე ვდგავარ.

●

ფიცარს ხვნეშით გადავუვლი,
ვაპრიალებ, სახეს ვუცვლი,
იმას, რასაც კბილით
დავტკავერ,
დაგიბრუნებ უკან მუცლით.

ალ. ნამორაძე



### ჟურნალ № [illegible]-ში მოთავსებულ „სხრ[illegible]ზე“

### კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ინტერნაციონალიზმი; 9. იხვი; 10. გავა; 11. იელი; 14. იოტა; 15. აისი; 18. აბგა.

**შვეულად:** 2. ნომინატივი; 3. ეთერი; 4. ასიმილაცია; 5. ინტეგრაცია; 6. ამილახვარი; 7. ირისი; 8. ინიციატივა; 12. ობი; 13. ფცა.

### გამოცანები

ჩირი, გათბობის რადიატორი, ირემი.

### შარადები

მარტი, შვილი, მარტვილი, ნაზი, მუქი, ნაზუქი.

## ლოგიკური თავსატეხი (პასუხი)

| № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | ქულები | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ○ | ½ | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | 1 | 0 | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | 10 | V-VI |
| 2 | ½ | ○ | 0 | 1 | 0 | 1 | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | ½ | ½ | 9 | VII-X |
| 3 | ½ | 1 | ○ | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | ½ | ½ | 1 | 11,5 | I |
| 4 | ½ | 0 | ½ | ○ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 0 | 0 | 1 | ½ | 0 | 0 | 8 | XII-XIII |
| 5 | 0 | 1 | ½ | 0 | ○ | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | ½ | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | ½ | 6,5 | 15-16 |
| 6 | 1 | 0 | ½ | ½ | 1 | ○ | 1 | ½ | 1 | 0 | 1 | ½ | 1 | 0 | 1 | ½ | ½ | 1 | 11 | II-IV |
| 7 | ½ | ½ | 0 | 0 | 1 | 0 | ○ | 1 | 1 | 0 | 1 | ½ | 0 | 1 | ½ | ½ | 0 | 1 | 8,5 | XI. |
| 8 | ½ | 1 | 0 | ½ | 0 | ½ | 0 | ○ | 1 | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | 1 | 0 | 6,5 | 15-16 |
| 9 | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | ○ | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 1 | 4 | 17-18 |
| 10 | 1 | 0 | 0 | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | ○ | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | 0 | 0 | ½ | 11 | II IV |
| 11 | ½ | 0 | 0 | ½ | 1 | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | ○ | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 17-18 |
| 12 | 0 | 1 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | ○ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 9 | VII-X |
| 13 | ½ | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | ½ | 1 | ½ | 0 | ½ | 0 | ○ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 9 | VII-X |
| 14 | ½ | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | ½ | 0 | 1 | ½ | ½ | ○ | 0 | 0 | ½ | ½ | 8 | XII-XIII |
| 15 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 0 | ½ | 1 | ○ | 0 | ½ | ½ | 7 | XIV |
| 16 | 0 | 1 | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | ○ | 0 | 0 | 11 | II-IV |
| 17 | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | ○ | ½ | 10 | V-VI |
| 18 | ½ | ½ | 0 | 1 | ½ | 0 | 0 | 1 | 0 | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | ○ | 9 | VII-X |

ჟურნალ „პიონერის“ 1988 წლის მე-8 ნომერში გამოქვეყნებული „ლოგიკური თავსატეხის“ ამოხსნაში ბევრმა ნორჩმა პიონერმა—ჭადრაკის მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა. ყველაზე სრულყოფილი, ამომწურავი პასუხი გამოგზავნა ბათუმის მე-18 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა **ნათია რევაზის ასულმა კახიძემ**. შეპირების თანახმად, იგი დაჯილდოვდება საჭადრაკო ლიტერატურით (მსოფლიო ჩემპიონის, მაია ჩიბურდანიძის ავტოგრაფითურთ).

ვულოცავთ ნათიას ამ გამარჯვებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. № 1



სურ. № 2



სურ. № 3



სურ. № 4

ქუთრებით უყვართ გოგონებსა და ქალებს, რადგან იგი ძალიან უხდება შარფებს, საზაფხულო ბლუზებს. ამასთან, აჟურული ნაქსოვი, ორნამენტირებულთან ერთად, დღეს ძალიან მოდურად ითვლება ახალგაზრდებს შორის.

რაც შეეხება ნემსს რომელიც ტანსაცმლის მოქსოვილი ნაწილების შესაერთებლად შეიძლება დაგვჭირდეს, მას ჩვეულებრივ ნემსზე საკმაოდ უფრო გრძელი ყუნწი აქვს, მეტად მოხერხებული საქსოვი ძაფის შიგ გასაყრელად.

მაშ ასე, ქსოვისათვის საჭირო ყველა მასალა ხომ ხელთა გვაქვს, ახლა შეგვიძლია საქმესაც შევუდგეთ. თავდაპირველად, რამდენიმე რჩევა იმათთვის, ვისაც ჯერ არასდროს არ უცდია ქსოვა:

ქსოვისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად ბუნებრივ პოზაში დაჯდები ან ხელებს რამდენად მოხერხებულად დაიჭერ. დავჯდეთ თავისუფლად, წელში არ მოვიხაროთ. ქსოვისას თავი მხოლოდ ოდნავ დავღუნოთ. ხელები კი ისეთ დონეზე დავიჭიროთ, რომ საკუთარ ტანს მხოლოდ იდაყვებით ვეხებოდეთ.

### თვლების აკრეფა

უპირველეს ყოვლისა. დავიხსომოთ: არსებობს თვლების აკრეფის რამდენიმე წესი. ამჯერად შევისწავლოთ ერთ-ერთი მათგანი: ვთქვათ, გვინდა ავკრიფოთ 20 თვალი. ამისათვის დაახლოებით 60 სმ. სიგრძის ძაფი იკმარებს. გადმოვახვიოთ გორგლიდან ამდენი: თუ 10 თვალის აკრეფა დაგვჭირდა, 30 სმ სიგრძის ძაფს გამოვახვევთ, თუ 30 ან 40 თვლისა, მაშინ შესაბამისად — 90 ან 120 სმ სიგრძისა...

თვლები იკრიფება შეტყუპებულ წყვილ ჩხირზე. გავიჩეროთ ძაფი მარცხენა ცერსა და საჩვენებელ თითზე იმგვარად, რომ გორგლიდან გამოსული ძაფი ცერის მხარეს დაგვრჩეს, ხოლო მისი მეორე ბოლო — საჩვენებელი თითის მხარეს, ძაფის გადანაკეცები დანარჩენი სამი თითით ხელისგულთან დავიჭიროთ (სურ. № 1):

მარჯვენა ხელში ვაეჭიროს წყვილად შეტყუპებული ჩხირები, დავადოთ იგი ზევიდან ცერსა და საჩვენებელ თითს შორის მოყოლილ ძაფს, დავწიოთ იგი მარცხნივ და ქვემოთ (სურ. № 2):

ახლა ჩხირები გორგლიდან გამოსულ ძაფს შუა, ცერთან შევუყაროთ, შემოვაბრუნოთ მარჯვნივ. საჩვენებელი თითისკენ მიმართული ძაფი ჩხირებზე გადავდოთ და მერე ისევ გამოვატაროთ ცერთან დაჭიმულ ძაფებს შორის (სურ. № 3):

გადავიძროთ ძაფი ცერიდან. ორივე ბოლოთი ქვევით დავჭიმოთ. დავინახავთ ჩხირებზე აკრეფილ ორ თვალს. ამ წესით აიკრიფება დანარჩენი თვლებიც (სურ. №4):

ამის შემდეგ ჩხირებზე ამოკრეფილი თვლებს უნდა გამოვაძროთ ცალი ჩხირი და გადავიტანოთ იგი მარჯვენა ხელში, ხოლო თვლებაკრეფილი ჩხირი იმავე ხელში დავიტოვოთ. ასეთი უნდა იყოს ძაფისა და ჩვენი ხელების ჩვეულებრივი მდგომარეობა ქსოვის დროს. შევუდგეთ ქსოვას ან, უფრო ზუსტად, ამოკრეფილი თვლებიდან ახალი თვლების გამოქსოვას.

### თვლების გამოქსოვა

უპირველეს ყოვლისა, ჩხირების მდგომარეობის შესახებ: ჩხირები უნდა დავიჭიროთ იმგვარად, რომ ორივე ხელის ცერები მოხვდეს მის შიგნითა მხარეს, დანარჩენი თითები კი გარეთ დაგვრჩეს. ძაფის გორგალი ვიქონიოთ მარცხენა მხარეს. გორგალიდან წამოსული ძაფი გავატაროთ არათითსა და ნეკს შორის, წავიღოთ იგი ხელისუგლისაკენ, გამოვაძვრინოთ შუათითსა და საჩვენებელ თითს შუა და გადავილოთ საჩვენებელ თითზე (სურ. № 5).

თვლები გამოიქსოვება წალმით და უკუღმით. თავის მხრივ, თვლის წალმითა და უკუღმით გამოქსოვის ორ-ორი ხერხი არსებობს. გავეცნოთ თითოეულ მათგანს. იქამდე კი დავიხსომოთ, რომ მარჯვენა ჩხირით პირველი თვალი ყოველთვის გამოუქსოვლად გადაგვაქვს — ეს თვალი ე. წ. ნაწიბურის თვალია. გამოქსოვას, ჩვეულებრივ, მეორე თვლიდან ვიწყებთ.

**წალმით ქსოვა ზევიდან:** მარჯვენა ჩხირი თვალში მარცხნიდან შეგვყავს, მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობით გამოვდებთ ძაფს ჩხირს და იმავე თვალში გამოვატარებთ (სურ. № 6). გამოქსოვილ თვალს გადავიტანთ მარჯვენა ჩხირზე.

**წალმით ქსოვა ქვევიდან:** მარჯვენა ჩხირი უნდა შევიყვანოთ გამოსაქსოვ თვალში ისე, რომ მარცხენა ჩხირი ზევით მოექცეს: მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობით გამოვდოთ ჩხირი ძაფს და უკანვე გამოვიტანოთ. გამოსაქსოვი თვალი გადავიტანოთ მარჯვენა ჩხირზე. ამ წესით გამოვქსოვოთ დარჩენილი თვლებიც (სურ. № 7).

**უკუღმით ქსოვა ქვევიდან:** მარჯვენა ჩხირი შეგვყავს გამოსაქსოვ თვალში, ისე, რომ მარცხენა ჩხირი ქვემოთ მოექცეს. ძაფი გადაგვაქვს გამოსაქსოვი თვლის მარცხენა მხარეს. მარჯვენა ჩხირით ეს ძაფი თვალში გამოვატაროთ და გამოქსოვილი თვალი გადავიტანოთ მარჯვენა ჩხირზე (სურ. № 8).

**უკუღმით ქსოვა ზევიდან:** მარჯვენა ჩხირის წვერი შეგვყავს თვალში ისე, რომ ძაფი მოექცეს ზევით და გამოსაქსოვი თვლის მარჯვნივ. მარჯვენა ჩხირის წვერს მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობით ძაფს გამოვდებთ და გავატარებთ გამოსაქსოვ თვალში. გამოვქსოვთ და გადავიტანთ მეორე ჩხირზე. მივიღებთ უკუღმა ნაქსოვს. (სურ. № 9).



სურ. № 5



სურ. № 6



სურ. № 7



სურ. № 8



სურ. № 9